

186
1987/2

საქართველოს
საბჭოთავო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

ISSN—0132—4241



საქართველოს სსრ მთავრობის დარგენილებათა კაბუდი

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1987 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნომერი—დეკემბერი

1987 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

55. მართვის რესპუბლიკური ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის შესახებ.
56. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში რესპუბლიკაში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ.
57. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში დივერსიფიკაციის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ.
58. „ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 16 ოქტომბრის № 748 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
59. საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლად არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს
დადგენილება

60. აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშაობის გაძლიერებისა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

61. ხარისხის გათვალისწინებით ბოსტნეული, ბაღეული კულტურებისა და საკვები ძირხეუნების ჭიშინი თესლისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ.
62. „საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივთა შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 სექტემბრის № 1042 დადგენილების თაობაზე.
63. მიწების მელორაციის სამუშაოთა დაგეგმვის, სამელორაციო ობიექტების მშენებლობის წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებისა და დამტკიცების საქმეში საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ.
64. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ.
65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 დეკემბრის № 627 დადგენილების მე-2 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
66. „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სივრცის დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
67. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ს. ჩიქობავას ხსოვნის უკვდავოფის შესახებ.
68. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ.

18619

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

55 მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის
შესახებ

სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის, მათი მუშაობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 824 დადგენილება „მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დააჩქარონ გადასვლა ხელმძღვანელობის სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური

პოტენციალის უფრო დინამიკურ ზრდას, პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნიონ მართვის გარდაქმნის ხელშეწყობის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებსა და მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლა და დაამთავრონ გარდაქმნა ძირითადად 1988 წელს, იმ ვარაუდით, რომ დაიწყონ ახალი ხუთწლიედი გამართული სამეურნეო მექანიზმით.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ საწარმოო ძალთა ყოველმხრივი განვითარების, შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის უზრუნველყოფის ფუნქციების შესრულებისათვის საუკეთესო პირობების შექმნის მიზნით გააუმჯობესონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის განვითარებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

4. ამდღედეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, მართვის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა და დაინტერესება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობისათვის. ამ მიზნით განახორციელონ ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა, უზრუნველყონ გადასვლა ავტონომიური ფორმირებების, ქალაქებისა და რაიონების ფინანსთა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, ამასთან საფუძვლად დაუდონ მათ ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც აწესებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოკიდებულებას შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. ამვე დროს მხედველობაში იქონიონ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 824 დადგენილებით საჭიროდ ჩაითვალა, რომ ყველა — საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები ვალდებული არიან:

— მონაწილეობდნენ ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებაში;

— შექმნიდნენ ადგილობრივ ბიუჯეტებში ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით გამოყენებული შრომითი და ბუნებრივი რესურსების გადასახდელის ნაწილი, აგრეთვე გარემოს გაქუჩუყიანებისათვის ჯარიმების მთელი თანხა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს წინადადებანი შესაბამის ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან მიღებულ ბრუნვის გადასახადსა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრო-

ბის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე ადგილობრივი და რეგიონული ბის შემოსავლის პირდაპირი დამოკიდებულების დაწესების შესახებ.

5. დაეკისროთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი დაქვემდებარების ახალ საწარმოთა მშენებლობის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ღონისძიებათა დაფინანსება თავიანთი ბიუჯეტების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს სსრ ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ორგანოების სახსრების ხარჯზე გადასაწყვეტი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების რეგიონალური ამოცანების ნუსხისა და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი რესურსების ფორმირების წესის შემუშავებაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა ყურადღება ძირითადად დაეთმოს უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილებათა, პირველ რიგში სახალხო მოხმარების საქონელზე, დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას, მისი ხარისხის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ღარგების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნეს, როგორც წესი, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1996-2000 წლების კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ დავალებათა განუხრელი შესრულების, სხვადასხვაგვარი მაღალხარისხიანი საქონლით ბაზრის უზრუნველყოფის დაჩქარების და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მათთვის მინიჭებულ უფლებათა გამოყენებით მიიზიდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაში აქტიური მონაწილეობისათვის ყველა საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე კოოპერაციული საწარმოები, ამასთან მიაღწიონ მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის სრულ შეწონასწორებას რეგიონში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომლებიც ავალებენ მათი საქმიანობის ზონაში განლაგებულ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს შეასრულონ მათი გეგმებით გაუთვალისწინებელი სამუშაოები (მომ-



სახურება), უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადგენა და ხარვეზის ანაზღაურება იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებისთვისაც სრულდება ეს სამუშაოები (მომსახურება).

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 824 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოხმარებული საქონლის გამოშვები საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და გაერთიანებანი ვადაეცეს რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა ნაწილი — ადგილობრივ დაქვემდებარებაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად განიხილონ საკავშირო ორგანოების მიერ დადგენილი წესით რესპუბლიკურ და ადგილობრივ დაქვემდებარებაში საწარმოთა და გაერთიანებათა ვადაცემისათვის მუშაობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრისა და დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციით შეუფერხებელი მომარაგების საკითხებში შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღონ ზომები მათ შორის კოოპერაციის განვითარებისათვის, ამასთან მათი გაერთიანებული ღონისძიებანი მოახმარონ:

— წარმოების რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ კვლავაღჭურვასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამკარებასთან, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივად შესრულებას;

— დარგთაშორისი წარმოებების, კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების, სარემონტო, სამშენებლო და სხვა საწარმო-ორგანიზაციების შექმნას სამეურნეობათაშორისო საფუძველზე, საწარმოთა კოოპერირების უნიკალური მოწყობილობისა და მეორეული რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით;

— საწარმოო ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების აშენებასა და ექსპლუატაციას.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების სტრუქტურით და უწყებებთან ერთად:

— უზრუნველყოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, იმ ვარაუდით, რომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგებისათვის მუშაობა დამთავრდეს 1988 წელს;

— განაგრძოს მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის შიგნით საწარმოო და ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის ახალი ტიპის ფორმირებების — აგროსამრეწველო კომბინატების, აგროფირმების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, საწარმოო სისტემებისა და სხვათა დანერგვის საფუძველზე;

— მართვის რაიონული რგოლის საქმიანობა წარმართოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ვადამუშავებელი საწარმოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შესაქმნელად მიწის, ძირითადი ფონდების, შრომითი რესურსებისა და ნედლეულის უკეთ გამოყენების, სახელმწიფო შეკვეთების უცილობლივ შესრულების მიზნით.

9. წარმოების მართვის ძირითადი რგოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, სამშენებლო ორგანიზაციათა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ცენტრალიზებული მართვის ობტიმალური შეხამების მიზნით საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაონ და 1988 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი წერილი, არარენტაბელური და პარალელურად მოქმედი ორგანიზაციების ლიკვიდაციის გზით მათი გამსხვილების, მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ.

10. საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობის მოცულობის გადიდების, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით შექმნან საჭიროების კვალობაზე დადგენილი წესით ქალაქებში, ავტონომიურ ოლქში, ავტონომიურ რესპუბლიკებში ინდუსტრიული სახლთმშენებლობის საწარმოთა ბაზაზე საბინაო-სამოქალაქო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის სპეციალიზებული საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო ორგანიზაციები.

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:



— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი განვითარებასთან, სახალხო მეურნეობის თანამედროვე მაღალგანვითარებულ დარგის — მომსახურების სფეროს შექმნასთან დაკავშირებულ საკითხთა ეფექტიანად გადაწყვეტას, მათ შორის მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად ყველა საწარმოსა და გაერთიანების (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) მიზიდვის, გასაწევი მომსახურების ნუსხის მნიშვნელოვანი გაფართოების, მოსახლეობის მომსახურების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების ხარჯზე;

— მიაღწიონ ადგილობრივი მრეწველობის მაქსიმალურ განვითარებას, მის საწარმოებში მასობრივი მოთხოვნილების სხვადასხვა მაღალხარისხოვანი, უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და მეორეული რესურსების გამოყენებით დამზადებული საქონლის გამოშვების გადიდებას.

მთელ ამ მუშაობაში დამყარონ იმას, რომ ცენტრალური ამოცანაა უზრუნველყონ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასაღების შეწონასწორება, როგორც მშრომელთა მაღალეფექტიანი მუშაობის სტიმულირების, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის თანამიმდევრული რეალიზაციის ერთ-ერთი პირობა, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შესაბამის ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს და დამტკიცდეს არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, არამედ რესპუბლიკის ყველა ქალაქის საკასო გეგმები.

12. სამუშაო ადგილების რაოდენობისა და შრომითი რესურსების რიცხოვნობის შეწონასწორების მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების ბალანსებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ პერსპექტივისათვის მუშაკთა რიცხოვნობის გაანგარიშებითი მონაცემები შესაბამის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყონ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს შრომით რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, აგრეთვე დაკავშირებულია ორ და სამცხლიან მუშაობაზე საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანასთან, საჭირო შემთხვევებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ხელის, ნაკლებკვალიფიციური, მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების შემცირებასთან.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ რესპუბლიკის სხვა ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან ერთად და წარმოუდგინონ 1987 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემა, რომელიც გათვალისწინებულია სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 824 დადგენილების 23-ე პუნქტით, რათა შემდგომ წარედგინოს 1988 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

14. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების საქმიანობის გარდაქმნა და როლის ამღლება, როგორც ცენტრალური ეკონომიკური ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რესპუბლიკური მეურნეობის ეფექტიანი მართვა, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების ყველა ეკონომიკური ორგანოს, უწყებისა და სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შემუშავების საშუალებით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— წარმოადგინოს წინადადებანი იმ საკითხთა წრის გადასინჯვის შესახებ, რომელთა გადაწყვეტა ამჟამად ეკისრება მას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებს, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ გადასცეს თავისი ფუნქციებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების ფუნქციების ნაწილი მართვის დარგობრივ და ადგილობრივ ორგანოებს;

— მიიღოს ზომები საგეგმო ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მუშაობაში კომპლექსური მიდგომის გასაძლიერებლად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის გათვალისწინებით თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის, აგრეთვე თავისი აპარატის მაღალკვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით:

— მიიღოს ზომები იმისათვის, რათა რესპუბლიკური სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად წარიმართოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით მეურნეობის სპეციფიკისა და რესპუბლიკის სპეციალიზაციის, არსებული სამეცნიერო კადრებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმ მიმართულებებში გამოკვლევათა და სამუშაოთა განვითარებას, რომლებშიც რესპუბლიკაში შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებენ დიდი სამეცნიერო სკოლები, წარმოების მარეგულაციურებელი

პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების წარმოების ორგანიზაციას;

— შეიმუშაოს და განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, რესპუბლიკაში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების ორგანიზაციათა ქსელის სრულყოფისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ უზრუნველყოს მეცნიერების განვითარება მთლიანად ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარებასთან ორგანული ერთიანობით.

16. სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ძირეული ამაღლების, წარმოებასთან მეცნიერებია ინტეგრაციის გაძლიერების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების ურთიერთმოქმედების განვითარება გამოკვლევათა და მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა შესრულების საუწყებათაშორისო პროგრამების ფორმირების, გამოყენებითი მეცნიერების მიერ ფუნდამენტური კვლევის მიღწევათა, ხოლო წარმოების მიერ — გამოყენებითი კვლევისა და სამუშაოთა შედეგების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის გზით;

— სრულყონ მოქმედ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა სტრუქტურა, წარმართონ იგი, უწინარეს ყოვლისა, დარგთაშორისი ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების, აგრეთვე დარგთა წინაშე დასახული და რესპუბლიკის მეურნეობის ძირითადი სპეციალიზაციის განმსაზღვრელი პრობლემების გადასაჭრელად.

17. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1987-1988 წლებში გადასვლა მართვის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, რომელთაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პრინციპები და დებულებანი და შეესაბამებთან ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნებს.

ამ მიზნით შეიმუშაონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგთა მართვის გენერალური სქემის საფუძველზე თითოეული სამინისტროსა და უწყების მიხედვით მართვის გენერალური სქემები, ამასთან გაითვალისწინონ მათში:

— სამინისტროსა და უწყების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა ახალ მოთხოვნებთან, მართვის დარგობრივი ორგანოს ცენტრ-

ლური აპარატის მუშაობის ორგანიზაცია უპირატესად ფუნქციონირებს ფუნქციონირებს
ფუნქციონირებს;

— მართვის სტრუქტურის გამარტივება, როგორც წესი, მართვის ორგანოების სისტემაზე გადასვლის დამთავრება; მართვის რგოლების რაოდენობის შემცირება საწარმოებისა და გაერთიანებების უფლებათა გაფართოების გათვალისწინებით;

— საჭიროების შემთხვევაში საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებთან ერთად ახალი ფორმების მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა შექმნა;

— წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, მისი შემდგომი კონცენტრაციის უზრუნველყოფა, საწარმოო გაერთიანებათა გამსხვილება, საჭიროების კვალობაზე მათ შემადგენლობაში ამჟამად დამოუკიდებელ საწარმოთა შეყვანა. ამასთან გაერთიანებათა შემადგენლობაში წვრილ და საშუალო საწარმოთა შეყვანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნეონ მოწინავე საწარმოთა და გაერთიანებათა მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის გამოყენება ტექნიკურად ჩამორჩენილი საწარმოების თანამედროვე დონეზე გაყვანის მიზნით;

— იმის გათვალისწინებით, რომ წვრილ მაღალსპეციალიზებულ და ტექნიკურად კარგად აღჭურვილ, ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე საწარმოებს შესწევთ უნარი, შექმნილი კონიუნქტურიდან გამომდინარე, უფრო ოპერატიულად გარდაქმნან წარმოება და განაახლონ პროდუქცია. გაააქტიურონ მუშაობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ, მეორეული ნედლეულის დამამზადებელ და გადამამუშავებელ, ფართო გამოყენების სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის დამამზადებელ ასეთ საწარმოთა შესაქმნელად, პროდუქციისა, რომელზეც მოთხოვნილება მოცემულ ტერიტორიაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ადგილობრივი წარმოების ხარჯზე;

— მიაღწიონ ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლის შედეგად მმართველობის აპარატის არსებითად შემცირებას და ამავე დროს მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

18. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სამეურნეო და სოციალური პრობლემებისადმი თანამედროვე მიდგომისა და პრინციპების დამკვიდრებას. აღამაინის ფაქტორის გააქტიურებასა და კადრების ახლებური ეკონომიკური აზროვნების გამომუშავებას, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მართვის ყველა რგოლის აპარატის განმტკიცება მაღალკვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც შესწევთ უნარი კომპეტენტურად გადაწყვიტონ ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში დასახული ამოცანები. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი სპეცია-



ლისტა ატესტაციის ჩატარებისა და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელების ჩვეულებრივ შემოღების, კოლექტივების თვითმმართველობის განვითარების საფუძველზე.

უპირველესი მნიშვნელობის საქმედ ჩაითვალოს ადგილებზე კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის კარდინალური გაუმჯობესება მათ მიერ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების დაუფლების, მშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის ყოველმხრივი განვითარების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწიოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის სასწავლებელთა, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა ბაზაზე მართვის თეორიისა და პრაქტიკის დარგში იმ მუშაკთა სპეციალური მომზადება, რომელთაც დადებითად გამოიჩინეს თავი, როგორც წარმოების ორგანიზატორებმა.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ ეკონომიკური სწავლების მასშტაბის გაფართოება და გაღრმავება უშუალოდ გაერთიანებებსა და საწარმოებში ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი მჭიდროდ დაკავშირება შრომითი კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან და მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებთან.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერაქიანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 824

1987 წლის 17 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ კურსის რეალიზაცია, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, მეურნეობის გაძლიერების სოციალისტური სისტემის უპირატესობათა რაც შეიძლება სრულად გამოყენება, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაცია და განახლება, მოითხოვს მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა მუშაობის დონის არსებითად ამაღლებას. მართვის გარდაქმნა, სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, შრომითი კოლექტივებისა და ტერიტორიების ინტერესებთან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ორგანული შეხამების უზრუნველყოფას.

სკკპ XXVII ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებანი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად. ხორციელდება რესპუბლიკების მეურნეობის მართვაში დემოკრატიული საწყისების გაღრმავების ღონისძიებანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს გადასვლა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე და ძირითადი რგოლის — საწარმოთა და გაერთიანებთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაძლიერება, მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.



ამასთანავე რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილი სრულად არ იყენებენ. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში, რომლებიც ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, ზშირად ჰარბობს კუთხური ინტერესები. ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, ქვეყნის ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან მართვის ტერიტორიულ ორგანოთა ურთიერთმოქმედების მექანიზმი. ამავე დროს ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულება თავისი ამოცანების გადაწყვეტაში სუსტად ემყარება მართვის ტერიტორიულ რგოლებს.

შენარჩუნებულია მიდრეკილება ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდებისადმი, რომლებიც ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების პირობებში დამკვიდრდა. მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის ორგანიზაციაში არ ითვალისწინებენ სოციალური ფაქტორების მზარდ როლს, რაც საწარმოო და სოციალური განვითარების პროცესთა ერთად შეკავშირების საშუალებას არ იძლევა. დიდი ნაკლია რეგიონების განვითარების კომპლექსურობის დარღვევა, რაც მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს სერიოზულ გადახრებს საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, ჩამორჩენას სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარებაში.

ნელა მიმდინარეობს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფა. რესპუბლიკებში უზომოდ გაიზარდა მმართველობის აპარატი, გაუმართლებლად დიდია რესპუბლიკურ ორგანოთა რაოდენობა, გართულებულია მათი სტრუქტურა. მართო მოკავშირე რესპუბლიკებში რვაასზე მეტი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტრო და უწყება ფუნქციონირებს. ყველა მათგანს აქვს თავისი ორგანოები ადგილებზე, რომელთაგან ბევრი არაეფექტიანად მუშაობს და ვერ ახდენს საჭირო ზემოქმედებას საქმეთა ვითარების გაუმჯობესებაზე. მართვა რესპუბლიკებში ორგანიზებულია ერთობლივად, არ ითვალისწინებს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის მასშტაბებსა და სპეციფიკას, იმეორებს, როგორც წესი, ცენტრში დამკვიდრებულ მართვის სტრუქტურას. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში გაუმართლებლად დაქუცმაცებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

მართვის სისტემის მრავალსაფეხურიანობა, დუბლირება მუშაობაში ხშირად იწვევს საწარმოთა წვრილმან მეურვეობას. ამით იბოჭება შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპს გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის, მათი მუშაობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, იხელმძღვანელონ რა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ, გა-



ნახორციელონ მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა ძირეული გარდაქმნა, დააჩქარონ გადასვლა ხელმძღვანელობის სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის უფრო დინამიკურ ზრდას, თითოეული რესპუბლიკის წვლილის გადიდებას ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში, პარტიის მძლავრი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას.

მიიჩნიონ მართვის გარდაქმნა — გადასვლა ხელმძღვანელობის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებსა და მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ სტრუქტურებზე პირველი რიგის სოციალურ-პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანად. დაამთავრონ გარდაქმნა ძირითადად 1988 წელს, იმ ვარაუდით, რომ დაიწყონ ახალი ხუთწლედით გამართული სამეურნეო მექანიზმით.

აღნიშნულ მუშაობაში დაემყარონ იმას, რომ რესპუბლიკებში და ადგილებზე მართვის თითოეული ორგანო მოწოდებულია შექმნას ყველა შრომითი კოლექტივის მაღალნაყოფიერი საქმიანობისათვის რაც შეიძლება ხელშემწყობი პირობები, უზრუნველყოს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის განუხრელი განხორციელება.

სახალხო მეურნეობის მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი პრინციპები

2. მართვის საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა უფრო ზუსტი და ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფის, ხელმძღვანელობის დონის ამღობვისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის უკეთ შეხამების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს გადაისინჯოს და მოწესრიგდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა შემადგენლობა და ფუნქციები, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები სრულად შეესაბამოს მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გაზრდილ როლსა და მეურნეობის გაძლიერების ახალ ეკონომიკურ მეთოდებს.

მართვის რესპუბლიკურ, ადგილობრივ და საკავშირო ორგანოთა ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის დარგში

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების ყოველმხრივ განვითარებას, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას რესპუბლიკების ტერიტორიაზე, პასუხს აგებენ მათი სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საუკეთესო პირობების შექმნის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს:

გადასვლა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და დიდი ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავებაზე, რომლებიც უნდა მოიცავდნენ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის განვითარებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა: დაეგზავნოთ, მოყოლებული 1988 წლიდან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ცენტრალიზებულად გამოყოფილი მატერიალური რესურსები, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულებები რესპუბლიკური მეურნეობის განსავითარებლად მთლიანად რესპუბლიკის ხაზით დარგებისა და მიმართულებების მიხედვით განაწილების გარეშე, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს სახსრებისა და რესურსების მიზნობრივი გამოყოფა მოკავშირე რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსის, რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების ან სახმშენების განსავითარებლად.

დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აერთიანებენ და წარმართავენ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას, აგრეთვე ახორციელებენ სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, კოორდინაციასა და კონტროლს უწყვეტ მათს საქმიანობას მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობისათვის განკუთვნილ საკითხებში.

სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ საქმიანობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები მის ტერიტორიაზე მეურნეობის კომპლექსური განვითარებისათვის.

4. მართვის საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ ორგანოთა შორის ფუნქციების ზუსტი განაწილების, სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში მათი ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ:

ა) საერთო-საკავშირო სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ უშუალო ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი საქვეუწყებო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი. გეგმების შემუშავების პროცესში, აგრეთვე მათი შესრულების მსვლელობაში ისინი ითვალისწინებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებებს, რომელთა მიზანია რესპუბლიკებისა და რეგიონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილებზე არსებული რეზერვების ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის ზუსტი ურთიერთმოქმედება;



ბ) სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და ავტონომიური რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ შესაბამის დარგებსა და საქმიანობის სფეროებს. საკავშირო რესპუბლიკებში მოკავშირე რესპუბლიკების იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს ან უწყებას. ისინი ახორციელებენ აგრეთვე უშუალო ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების ცალკეული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი;

გ) მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიმართ:

საკავშირო დაქვემდებარებისა — აღნიშნულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას მეურნეობის გაძლიერების ეფექტიანობის ამაღლების, წარმოების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით, განამტკიცებენ ამის საფუძველზე რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას სოციალური სფეროს განვითარების, მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების გამოყენების, ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის დარგში;

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებისა — უშუალო ხელმძღვანელობას საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაობისადმი, რაც დაკავშირებულია წარმოების განვითარებასთან და თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე მის განახლებასთან პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით, სოციალური სფეროს ფორმირებასთან და სრულყოფასთან, მართვის სისტემის გარდაქმნასთან საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანის გათვალისწინებით.

5. ამაღლდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მართვის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა და დანტერესება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობისათვის. ამ მიზნით განახორციელონ ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა, უზრუნველყოთ გადასვლა რეგიონების ფინანსთა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, ამასთან საფუძველად დაუდონ მათ ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც აწესებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოკიდებულებას შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა — საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების გაერთიანებანი და ორგანიზაციები:

მონაწილეობდნენ ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებაში;

შექონდეთ ადგილობრივ ბიუჯეტებში ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით გამოყენებული შრომითი და ბუნებრივი რესურსების გადასახდელის ნაწილი, აგრეთვე გარემოს გაქუჩყიანებისათვის ჯარიმების მთელი თანხა.

დაწესდეს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია შესაბამის ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან მიღებულ ბრუნვის გადასახადსა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გვემის შესრულებაზე.

დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ადგილობრივი დაქვემდებარების ახალ საწარმოთა მშენებლობის, რეგიონალური საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების და რეგიონალური მნიშვნელობის სხვა ღონისძიებათა დაფინანსება თავიანთი ბიუჯეტების ხარჯზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ორგანოების სახსრების ხარჯზე გადასაწყვეტი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების რეგიონალური ამოცანების ნუსხისა და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი რესურსების ფორმირების წესის შემუშავებაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან თანამიმდევრულად განახორციელონ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის კარდინალური გაუმჯობესების ხაზი, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება საქსპორტო ბაზის განვითარებასა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, საქსპორტო საქონლისა და ნაყეთობათა წარმოების გაფართოებაში და არარაციონალური იმპორტის შეცვლაში. მათ უნდა მიიღონ ზომები საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმების სრულყოფისათვის, უპირატესად სავაჭრო ურთიერთობიდან წარმოებულ ღრმა სპეციალიზაციაზე, საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკურ კოოპერაციაზე გადასვლის დასაჩქარებლად საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა პირდაპირი კავშირის და სამეურნეო ურთიერთობის სხვა ახალი პროგრესული ფორმების ფართოდ გამოყენების საფუძველზე.



საგარეო-ეკონომიკური კავშირთა თვითმართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა აქტიურად უნდა დაწინაურდნენ მართვის ეკონომიკური მეთოდები, მიაღწიონ სამეურნეო ანგარიშის, სახელშეკრულებო ურთიერთობის, სავალუტო თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპების ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, უზრუნველყონ სავალუტო სახსრების რაციონალური გამოყენება.

მრეწველობის დარგში

7. მძიმე მრეწველობის საწარმოების (გაერთიანებების) და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნეს ძირითადად მართვის საერთო-საკავშირო ორგანოებში. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული მძიმე მრეწველობის ისეთი დარგების მართვის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოები, როგორცაა ენერჯეტიკა და ელექტრიფიკაცია. ქვანახშირის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობა, აგრეთვე გეოლოგია, და გადაეცეს ამ დარგების საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები რესპუბლიკურიდან საკავშირო დაქვემდებარებაში.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ყურადღება ძირითადად დაეთმოს უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილებათა, პირველ რიგში სახალხო მოხმარების საქონელზე, დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას, მისი ხარისხის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი დარგების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნეს, როგორც წესი, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში.

ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოხმარებული საქონლის გამომწვევები საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და გაერთიანებანი გადაეცეს რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა ნაწილი — ადგილობრივ დაქვემდებარებაში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის დავალებათა განუხრელი შესრულების, სხვადასხვაგვარი მაღალხარისხოვანი საქონლით ბაზრის უზრუნველყოფის დაჩქარების და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მათთვის მინიჭებულ უფლებათა გამოყენებით მიიზიდავენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაში აქტიური მონაწილეობისათვის ყველა საწარმოს, გაერთიანებასა და ორგანიზაციას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, კოოპერაციულ საწარმოებს, ამასთან ხელმძღვანე-



ლობენ რეგიონში მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის წონასწორობის მიღწევის ამოცანით. ამავე დროს მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სხვა რეგიონებთან ზემოაღნიშნული საქონლის რაციონალური გაცვლის გაფართოებას, აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საქონლის ეკონომიკურად დასაბუთებულ გაცვლას, სანაპირო და საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარებას.

სახალხო დებუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომლებიც ავალევენ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს შეასრულონ მათი გეგმებით, გაუთვალისწინებელი სამუშაოები (მომსახურება), უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება და ხარჯების ანაზღაურება იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებისთვისაც სრულდება ეს სამუშაოები (მომსახურება).

9. იმის გათვალისწინებით, რომ ერთ ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს აქვთ საერთო ინტერესები საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში, დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციის შეუფერხებელ მომარაგებაში, საქიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლი ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის კოორდინაციაში.

ამ მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იღებენ ზომებს იმისათვის, რათა განავითარონ კოოპერაცია შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა დარგის საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათი შორის, ამასთან მათი გაერთიანებული ღონისძიებანი მოახმარონ:

წარმოების რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ კვლავაღჭურავასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივად შესრულებას;

დარგთაშორისი წარმოებების, კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების, სარემონტო, სამშენებლო და სხვა საწარმო-ორგანიზაციების შექმნას სამეურნეობათაშორისო საფუძველზე, საწარმოთა კოოპერირებას უნიკალური მოწყობილობისა და მეორეული რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით;

საწარმოო ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების აშენებასა და ექსპლუატაციას.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში

 ეკონომიკური
 მნიშვნელობის

10. დაწესდეს, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკურ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს და მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ადგილობრივ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრული გამოყენების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში სურსათის მიწოდების სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფისათვის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პრობლემის გადაჭრისათვის.

უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, დაამთავრონ მუშაობა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგებისათვის.

11. გაგრძელდეს მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის შიგნით საწარმოო და ეკონომიკური კავშირურობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, ამასთან ფართოდ იქნეს გამოყენებული სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის, მეურნეობის გაძლიერების საბოლოო შედეგებისათვის კოლექტივების პასუხისმგებლობისა და ურთიერთდანიტერესების პრინციპები.

მართვის ადგილობრივი ორგანოები, აგროსამრეწველო კომიტეტები მოვალენი არიან გამოიყენონ თავიანთი რეგიონების სასურსათო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ბერკეტი და საშუალება პროდუქციის წარმოების გადიდებით მეურნეობათა გაზრდილი დანიტერესება.

უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელ და სხვა საწარმოთა ყველა საწარმოო ქვედანაყოფის თანამიმდევრული გადაყვანა კოლექტიური და ოჯახური იჯარის, სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებზე, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი პროდუქციის წარმოების ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების უზნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენენ, აძლიერებენ საბოლოო შედეგებისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას. უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების, მებაღეობა-მებოსტნეობის კოოპერატივებისა და მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობანი.

ახალი ტიპის ფორმირებების — აგროსამრეწველო კომბინატების, აგროფორმების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, საწარმოო სისტემებისა და სხვათა მუშაობის გამოცდილების გამოყენების საფუძველზე მართვის რაიონული რგოლის საქმიანობა წარმართოს კოლმეურნეობების, საპკოთა მეურნეობების, გადამმუშავებელი საწარმოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შესაქმნე-

ლად მიწის, ძირითადი ფონდების, შრომითი რესურსებისა და ნედლეულის უკეთ გამოყენების, სახელმწიფო შეკვეთების უცილობლივ განხორციელებისა და მისი უზრუნველყოფის მიზნით.

მშენებლობის დარგში

12. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სამშენებლო კომპლექსის მართვის ახალი სტრუქტურის პირობებში ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მშენებლობის მდგომარეობისა და საწარმოო სიმძლავრეთა, ძირითადი ფონდებისა და სოციალური სფეროს ობიექტების ამოქმედების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, აგრეთვე საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის ეფექტიანობისათვის.

13. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო პროგრამას ადგენენ:

ა) საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებისათვის (აგროსამრეწველო კომპლექსის საიჯარო ორგანიზაციათა მიერ მშენებარე ობიექტების გარდა) — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით;

ბ) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტებისათვის, აგრეთვე სოციალური სფეროს ობიექტებისათვის, უწყებრივ კუთვნილების მიუხედავად, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამისად მართვის რესპუბლიკური ორგანოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით. კონკრეტული წინადადებანი მშენებლობის გეგმების პროექტების ფორმირების შესახებ შეაქვთ ტერიტორიულ სამშენებლო ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები, უწყებები, მათი საქვეუწყებო საწარმოები და გაერთიანებანი უზრუნველყოფენ, რომ დროულად შეიმუშაონ და გადასცენ მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს ასაშენებლად დასახული ობიექტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამოყონ ამ ობიექტებისათვის კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების ზუსტი შესაბამისობით, აგრეთვე შემკვეთის მიერ მისაწოდებელი მოწყობილობა და მასალები.

აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საკავშირო დაქვემდებარების ობიექტების მიხედვით შეაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმშენში წინადადებანი დაშვებულ დარღვევათა აღმოფხვრის ან შესაბამისი ობიექტების მშენებლობის შეჩერებისა და სხვა ობიექტების ამოქმედების დასაჩქარებლად სამშენებლო ორგანიზაციათა ვანთავისუფლებული

სიმძლავრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების შესახებ, ხოლო სხვა ობიექტების მიხედვით იღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად.

14. მოკავშირე რესპუბლიკებში მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ქმედითობის ამაღლების, საიჯარო სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოების, მართვაში ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გადაყვანის პირობებში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებისა და რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების, ხოლო საჭირო შემთხვევებში — სხვა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე შეიძლება შეიქმნას დადგენილი წესით საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტები (მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენები).

დაწესდეს, რომ შემდგომში, საამისო პირობების შექმნის კვალობაზე, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტები იკისრებენ ხელმძღვანელობას რესპუბლიკებში მთელი მშენებლობისადმი, მათ შორის საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისადმი შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე, სსრ კავშირის სპეციალიზებული სამინისტროების მიერ შესასრულებელი სპეციალური სამუშაოებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საიჯარო ორგანიზაციების მიერ შესასრულებელი სამუშაოების, აგრეთვე სამეურნეო წესით განსახორციელებელი სამუშაოების გარდა.

დაეკისროთ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვა. მათს უშუალო კომპეტენციას უნდა განეკუთვნებოდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წინმსწრებ განვითარებასთან, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა საწარმოების საქმიანობის კოორდინაციასთან, მართვის შუალედური რგოლების ლიკვიდაციასთან, სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცებასთან, სამშენებლო წარმოების სპეციალიზაციისა და კომბინირების რაციონალურ შეხამებასთან, საიჯარო ორგანიზაციათა სოციალური სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

15. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა პირველი რიგის ამოცანაა 1987-1988 წლებში სსრ კავშირის სახმშენთან ერთად სამშენებლო წარმოებაში სამეურნეო მექანიზმის დამუშავება, იმ ვარაუდით, რომ იგი უზრუნველყოფდეს საინვესტიციო პროცესის ყველა სტადიის მჭიდრო დაკავშირებას, ასტიმულებდეს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების და შექვევების სამსახურების ნაყოფიერ და ხარისხიან მუშაობას, მათს ერთობლივ დაინტერესებას მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს — დროულად

ამოქმედონ საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები, საცხოვრებელი სახლები და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის შეიმუშაონ და ფართოდ დანერგონ მშენებლობაში სტაბილური ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების სისტემა, სახელშეკრულებო ფასები, რაც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

სამშენებლო წარმოების მართვის ძირითადი რგოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, სამშენებლო ორგანიზაციათა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ცენტრალიზებული მართვის ოპტიმალური შეხამების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ 1987-1988 წლებში მუშაობა მათი გამსხვილებისათვის წვრილი, არარენტაბელური და პარალელურად მოქმედი ორგანიზაციების ლიკვიდაციის გზით, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

16. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ რესპუბლიკური დაქვემდებარების ტრანსპორტის დარგების (საავტომობილო და სამდინარო) მუშაობის დაკავშირებას საკავშირო დაქვემდებარების ტრანსპორტის დარგებთან (რკინიგზის, საავიაციო და საზღვაო), ამასთან აღწევენ რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემის შეთანხმებულ და შეუფერხებელ ფუნქციონირებას ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემასთან ორგანული შეხამებით, ზუსტ ურთიერთმოქმედებას სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობას შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის რაციონალური განაწილების, მეტისმეტად შორი და ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ტვირთზიდვის აღმოფხვრის გზით.

ტრანსპორტის მართვის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილების გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ შესაბამისი დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მგზავრთა გადასაცვანად მოსახლეობის მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას.

17. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საავტომობილო გზების ფართო ქსელის, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის, შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით იმას, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადიდდეს მშენებლობის მასშტაბები: საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა — სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა — ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების და კანონმდებლობით დაწესებული სხვა წყაროების ხარჯზე.

თანამედროვე კეთილმოწყობილ გზებზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სწრაფად დაკმაყოფილების მიზნით, მოქმედებენ შირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აქტიურად იყენებენ შრომითი კოლექტივების თანხმობით გზების ასაშენებლად საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), აგრეთვე კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამატებით ფინანსურ რესურსებს.

18. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სრულ კომპეტენციას განეკუთვნება რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა კავშირგაბმულობის საშუალებებთან შეთანხმებული საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ყველა სახეობის განვითარებასთან და კავშირგაბმულობის მომსახურებით სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) და მოსახლეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

სოციალური განვითარების დარგში

19. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა უზრუნველყონ სსრ კავშირის საერთო-ხაკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით რეალიზაცია სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული აქტიური სოციალური პოლიტიკისა.

ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ რეგიონების საწარმოო და სოციალური განვითარების ორგანულ შეხამებას, ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, სოციალური კომპლექსის ყველა დარგს, წარმართავენ და კოორდინაციას უწყვენ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

საჭიროდ ჩაითვალოს გადასვლა სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების უზრუნველყოფაზე მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების ფართოდ გამოყენების გზით, რომლებიც რეგიონებში საწარმოო მშენებლობის მასშტაბებს მჭიდროდ უკავშირებენ აღნიშნული სფეროს განვითარებას, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების დარგში მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

20. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას წარმართავენ საბინაო პრობლემის დაჩქარებული გადაჭრის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველ-

ყოფის, სახალხო განათლების, კულტურის სისტემის მატერიალურ-საინფრასტრუქტურული განმტკიცების, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მთელი სოციალური ინფრასტრუქტურის უპირატესი განვითარების მიზნით.

უპირველესი ყურადღება დაუთმონ პარტიის მიერ დასახული განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას — 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით უზრუნველყოფას. უკვე უახლოეს წლებში საბინაო მშენებლობაში ძირეული ძვრების მიღწევის მიზნით მიიღონ ზომები შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის ყველა საწარმოს საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი განვითარებისა და სრული დატვირთვისათვის.

საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობის მოცულობის გადიდების, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

შექმნან დადგენილი წესით საპირობების კვალობაზე ქალაქებში, ოლქებსა და მხარეებში ინდუსტრიული სახლთმშენებლობის საწარმოთა ბაზაზე საბინაო-სამოქალაქო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის სპეციალიზებული საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო ორგანიზაციები;

უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების ასაშენებლად ერთიანი შემკვეთის სამსახურების შექმნის გამოცდილების ფართოდ გავრცელება, რომელმაც გაამართლა პრაქტიკულად და საშუალებას იძლევა სახსრების კონცენტრაციის, მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლის გზით არსებითად შემცირდეს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ვადები და ამაღლდეს ხარისხი, მიღწეულ იქნეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კომპლექსური განაშენიანება.

21. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მართვის რესპუბლიკური ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში მთავარი მიმართულება უნდა გახდეს მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებასთან, სახალხო მეურნეობის თანამედროვე მაღალგანვითარებული დარგის — მომსახურების სფეროს შექმნასთან დაკავშირებულ საკითხთა ეფექტიანი გადაწყვეტა, მათ შორის მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად ყველა საწარმოსა და გაერთიანების (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) მიზიდვით. თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, მნიშვნე-

ლოვნად გააფართოონ გასაწევი მომსახურების ნუსხა, მკვეთრად გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს: ადგილობრივი მრეწველობის განვითარება; მის საწარმოებში მასობრივი მოთხოვნილებების სხვადასხვა მაღალხარისხოვანი, უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და მეორეული რესურსების გამოყენებით დამზადებული საქონლის გამოშვების გადიდება; უახლოეს 2-3 წელიწადში საბალე ნაკვეთებსა და ბოსტნებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მთელ ამ მუშაობაში დაემყარონ იმას, რომ მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა ცენტრალური ამოცანაა უზრუნველყონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის სრული შეწონასწორება, როგორც მშრომელთა მაღალეფექტიანი მუშაობის სტიმულირების, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის თანამიმდევრული რეალიზაციის ერთ-ერთი პირობა.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შესაბამის ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის. ამისათვის საჭიროდ ჩაითვალოს დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსები და მომავალში შემუშავდეს და დამტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების საკასო გეგმები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობის დაწესებისას განსაზღვრავენ შესაბამისი რეგიონისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტს, რომელიც ითვალისწინებს მათზე მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და სხვადასხვა შემოსავლის მქონე ოჯახების მოთხოვნილებას. ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის საქმეში უნდა მიიზიდონ ყველა საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

22. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მშრომელთა დასაქმების სოციალური გარანტიები, ამასთან გააძლიერონ ხელმძღვანელობა შრომითი რესურსების გამოყენების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობისადმი. საწარმოო ძალების განვითარების საკითხთა გადაწყვეტისას ისინი მოვალენი არიან უზრუნველყონ შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება, ამასთან შექმნან განთავისუფლებულ მშრომელთა შრომითი მოწყობისათვის, მუშაკთა კვალიფიკაციის დროულად ამაღლებისა

და მათ მიერ ახალი პროფესიების დაუფლებისათვის საჭირო პირობების შექმნის რულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

რეგიონში სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების შეწონასწორების მიღწევის მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების ბალანსებიდან გამომდინარე, შეიმუშავენ პერსპექტივისათვის მუშაკთა რიცხოვნობის გაანგარიშებითს მონაცემებს თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ორგანიზაციას უწყვენ მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, დაკავშირებულია ორ და სამცხლიან მუშაობაზე საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანასთან, საჭირო შემთხვევებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ხელის, ნაკლებკვალიფიციური, მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების შემცირებასთან.

მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომის გაძლიერება

23. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ გეგმაზომიერი მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, შეიმუშაონ ამ დადგენილებაში აღნიშნული მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად და წარმოუდგინონ 1988 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემები.

აღნიშნული სქემების შემუშავებისას მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა მუშაობის კარდინალური გარდაქმნა, ეკონომიკურ ორგანოთა, სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის სფეროებისა და მიმართულებების ზუსტი გამოჯვანა შრომის საერთო-საკავშირო განაწილებაში თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის როლის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენერალურ სქემებში გათვალისწინებულ იქნეს:

ერთგვაროვანი დარგების, განსაკუთრებით არასაწარმოო სფეროს, ხელმძღვანელობის განმხორციელებელ სამინისტროთა, უწყებათა და სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა გაერთიანება, მათი საერთო რაოდენობის არსებით შემცირება, იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ რესპუბლიკაში იგი მინიმალური უნდა იყოს და განისაზღვრებოდეს სახალხო მეურნეობის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის ამოცანებით;

მართვის სხვადასხვა ორგანოს შორის ფუნქციების უფრო სწორად განაწილების ხარჯზე საუკეთესო შესაძლებლობათა შექმნა იმისათვის, რომ მართვის ზედა რგოლების ძირითადი საქმიანობა მოხმარდეს რესპუბლიკისათვის საკვანძო ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას და ამავე დროს მიმდინარე მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების დონეზე, რომლებიც სოციალისტური თვითმმართველობის ყველაზე მასობრივი რგოლია, აგრეთვე საწარმოთა და გაერთიანებათა დონეზე;

ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებსა და ქალაქებში მართვის ინტეგრაცია სამინისტროთა, უწყებათა და მართვის სხვა ორგანოთა გაუმართლებელი დაქუცმაცებულობის, მათს მუშაობაში დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრის გზით. ამასთან გაითვალისწინონ, რომ მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა შემადგენლობა, განსაკუთრებით არასაწარმოო სფეროში, აუცილებელი არაა იმეორებდეს საკავშირო დონის ორგანოთა შემადგენლობას.

მართვის ორგანოთა გაერთიანებისა და გამსხვილების საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყონ დიფერენცირებული მიდგომა რესპუბლიკებში და ადგილებზე ორგანოთა სტრუქტურის ფორმირებისადმი სახალხო მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

24. რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ოლქებად დაყოფილ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის სრულყოფის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროდ ჩაითვალოს არსებითად ამაღლდეს სახალხო დემუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების როლი, ამოქმედდეს ხელისუფლების ამ ორგანოთა უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი, გადაიქცნენ ისინი ნამდვილად, როგორც გათვალისწინებულია პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში, შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის სრულყოფიანი და პასუხისმგებელ ბატონ-პატრონებად.

მხარეებსა და ოლქებში სახალხო მეურნეობისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად შეიქმნას სახალხო დემუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოები შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეების მეთაურობით.

შეყვანილ იქნენ ამ მთავარ სამმართველოთა შემადგენლობაში სამხარეო და საოლქო საგეგმო კომისიები, ამასთან დაწესდეს, რომ მთავარ სამმართველოთა საგეგმო სამსახურების ხელმძღვანელები არიან სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეები — მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოების უფროსთა პირველი მოადგილეები.

დაეკისროთ ზემოაღნიშნულ მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოებს:

შესაბამისი მხარის, ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება და მათი შესრულების უზრუნველყოფა,

პასუხისმგებლობა წარმოებისა და სოციალური სფეროს პროპორციულ განვითარებისათვის;

ხელმძღვანელობა მთელი ეკონომიკური მუშაობისადმი მხარის, ოლქის ტერიტორიაზე ადგილობრივი საფინანსო, საბანკო, სტატისტიკური და სხვა ორგანოების აქტიური მიზიდვის;

სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, ადგილობრივი საშენი მასალების, საავტომობილო ტრანსპორტისა და სხვა სამმართველოთა (განყოფილებათა) საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

მხარისა და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია, მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა გეგმების შესრულებაში, აგრეთვე მუდმივი კონტროლი მათი მუშაობისადმი იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას.

დაწესდეს, რომ მთავარ საწარმო-ეკონომიკურ სამმართველოთა მიერ მომზადებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ხუთწლიანი გეგმები მტკიცდება სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების სესიებზე, ხოლო ამ გეგმების ძირითადი მაჩვენებლები შედის მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემადგენლობაში.

თავიანთ მუშაობაში მთავარი საწარმო-ეკონომიკური სამმართველოები მჭიდროდ ურთიერთმომედებენ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან და სხვა ეკონომიკურ ორგანოებთან, ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა განვითარების საკითხებზე — სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, ოლქებად დაყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით განიხილონ და ექვსი თვის ვადაში გადაწყვიტონ ზემოაღნიშნულ მთავარ სამმართველოთა შექმნის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით დაგეგმვის წესის, ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის შეცვლის საკითხები. ამავე დროს განიხილონ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების ფუნქციათა და უფლებათა გაფართოების საკითხი. საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, იმავე ვადაში წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

შენარჩუნებულ იქნეს ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების მოქმედი წესი, აგრეთვე შესაბამისი საქალაქო და საოლქო საგეგმო კომისიების სტატუსი.

მხარეებსა და ოლქებში მთავარ საწარმო-ეკონომიკურ სამმართველოთა შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს ამჟამად რუსეთის სფს რესპუბლიკაში არსებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულთა აპარატი.

25. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების საქმიანობის გარდაქმნა და როლის ამაღლება, როგორც ცენტრალური ეკონომიკური ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რესპუბლიკური მეურნეობის ეფექტიანი მართვა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ყველა ეკონომიკური ორგანოს, უწყებისა და სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შემუშავების საშუალებით.

აქედან გამომდინარე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადასინჯონ იმ საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტა ეკისრებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებს, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მათი ფუნქციების ნაწილი გადასცენ მართვის დარგობრივ და ადგილობრივ ორგანოებს. განახორციელონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების საქმიანობის გაუმჯობესების, მათს მუშაობაში კომპლექსური მიდგომის გაძლიერების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის გათვალისწინებით ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების განმტკიცების ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკებში მეცნიერების ორგანიზაციის სრულყოფა

26. ამაღლდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების როლი სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაში. ამასთან დაკავშირებით მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფრო ფართო უფლებანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისათვის.

დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებენ და ახორციელებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების ორგანიზაციათა ქსელის სრულყოფისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს, ამასთან უზრუნველყოფენ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებას



მთლიანად ჭვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარებასთან ერთად განვიხილოთ მისი მნიშვნელობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით მიიღონ ზომები იმისათვის, რათა რესპუბლიკური სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად წარმართოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებით მეურნეობის სპეციფიკისა და თითოეული რესპუბლიკის სპეციალიზაციის, არსებული სამეცნიერო კადრებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ მიმართულებებში გამოკვლევათა და სამუშაოთა განვითარებას, რომლებშიც რესპუბლიკებში შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებენ დიდი სამეცნიერო სკოლები, წარმოების მარეგულაციურებელი პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შემუშავების ორგანიზაციას.

მართვის რესპუბლიკური ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ჭვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამითა და სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ მეცნიერულ გამოკვლევათა და სამუშაოთა განუხრელ შესრულებას მაღალ დონეზე.

27. სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ძირეული ამოცანების, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გაძლიერების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების ურთიერთმოქმედების განვითარება გამოკვლევათა და მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა შესრულების საუწყებათაშორისო პროგრამების ფორმირების, გამოყენებითი მეცნიერების მიერ ფუნდამენტური კვლევის მიღწევათა, ხოლო წარმოების მიერ — გამოყენებითი კვლევისა და სამუშაოთა შედეგების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის გზით. უფრო სრულად გამოიყენონ დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად აკადემიური და დარგობრივი ორგანიზაციების თანამშრომელთა და უმაღლესი სკოლის დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერთაგან დროებითი მეცნიერული კოლექტივების შექმნის შესაძლებლობანი;

სრულყონ მოქმედ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა სტრუქტურა, წარმართონ იგი, უწინარეს ყოვლისა, დარგთაშორისი ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების, აგრეთვე დარგთა წინაშე დასახული და რესპუბლიკის მეურნეობის ძირითადი სპეციალიზაციის განმსაზღვრელი პრობლემების გადასაჭრელად.



უზრუნველყონ მეცნიერების საქარხნო სექტორის განმტკიცება და გაერთიანებათა შემადგენლობაში ამჟამად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილის შეყვანის გზით. ამასთან სამინისტროთა უშუალო დაქვემდებარებაში უნდა დარჩეს მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც მთავარი არიან დარგში.

28. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უახლოეს პერიოდში თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიიჩნიონ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომლებიც საშუალებას იძლევიან მკვეთრად განმტკიცდეს მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, სამეცნიერო დაწესებულებებს მიზნად დაუსახონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობაში წარმოქმნილი პრაქტიკული ამოცანების ეფექტიანი გადაწყვეტა.

ამ მიზნით უზრუნველყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის გარდაქმნა, თანდათანობით გადასეულა ეკონომიკურ მეთოდებზე, რომლებიც ასტიმულებენ საწარმოთა, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებათა, სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა დაინტერესების გაძლიერებას წარმოების ტექნიკური ღონის ამალღებით, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების ვადების შემცირებით იმის საფუძველზე, რომ:

ყოველმხრივ განავითარონ სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და საწარმოთა შორის მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოებისა და მომსახურებისათვის სახელშეკრულებო ფასების გამოყენებით და გაძლიერონ მათი ეკონომიკური ურთიერთობასუხისმგებლობა გამოკვლევათა და სამუშაოთა შედეგების მეცნიერულ-ტექნიკური ღონისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროულად შექმნისა და წარმოებაში ათვისებისათვის;

თანამიმდევრულად გადაიყვანონ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მიერ მიღებული მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდების გამოყენებით;

გადაიყვანონ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი უმთავრესად შემკვეთებთან დადებულ პირდაპირ ხელშეკრულებათა მიხედვით მუშაობაზე.

29. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სხვადასხვა მიმართულებათა მიჯნაზე არსებულ მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო პრობლემათა ეფექტიანი გადაჭრის უზრუნველსაყოფად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მართვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ორგანიზა-



ციათა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანება-თი და საწარმოთა ერთობლივი მუშაობის ახალი პროგრესული ფორმის დანერგვა უფრო აქტიურად შემოიღონ პრაქტიკაში საინჟინრო ცენტრების შექმნა, რომლებიც მოწოდებული არიან რეალური დახმარება გაუწიონ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებაში, აგრეთვე სხვადასხვა პროფილის დანერგვითი და საკონსულტაციო ორგანიზაციების შექმნა.

დაწესდეს, რომ საინჟინრო ცენტრების, დანერგვითი და საკონსულტაციო ორგანიზაციების მუშაობა უნდა ემყარებოდეს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს შემკვეთებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გამარტივება

30. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ 1987-1988 წლებში გადასვლა მართვის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, რომელთაც საფუძველად უდევს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პრინციპები და დებულებანი და შეესაბამებინ ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნებს.

ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორგანიზაცია გაუწიონ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგთა მართვის გენერალური სქემების საფუძველზე რესპუბლიკის თითოეული სამინისტროსა და უწყების მიხედვით მართვის გენერალური სქემების შემუშავება, აღნიშნულ გენერალურ სქემებში გაითვალისწინონ:

რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების შესაბამისობა ახალ მოთხოვნებთან. ამასთან მართვის დარგობრივ ორგანოთა ცენტრალური აპარატის მუშაობის ორგანიზაცია უნდა ემყარებოდეს უპირატესად ფუნქციურ საფუძველს;

მართვის სტრუქტურის გამარტივება, როგორც წესი, მართვის ორგანოების სისტემაზე გადასვლის დამთავრება. შეამცირონ საწარმოთა და გაერთიანებათა უფლებების გაფართოების გათვალისწინებით მართვის რგოლების რაოდენობა, მათ შორის რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა გაუქმების გზით;

საჭიროების შემთხვევაში საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებთან ერთად ახალი ფორმების მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა შექმნა;

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, მისი შემდგომი კონცენტრაციის უზრუნველყოფა, საწარმოო გაერთიანებათა გამსხვილება, საჭიროების კვალობაზე მათ შემადგენლობაში ამაჟამად დამოუკიდებელ საწარმოთა შეყვანა. ამასთან გაერთიანებათა შემადგენლობაში წვრილ და საშუალო საწარმოთა შეყვანის ერთ-ერთი უმნიშვნელოფანესი ამოცანა უნდა გახდეს მოწინავე სა-



წარმოთა და გაერთიანებათა მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო მუშაობების გამოყენება ტექნიკურად ჩამორჩენილი საწარმოების თანამედროვე დონეზე გაყვანის მიზნით.

21. უზრუნველყოფილ იქნეს მსხვილ, საშუალო და წვრილ საწარმოთა რაციონალური შეხამება იმის გათვალისწინებით, რომ წვრილ მაღალსპეციალიზებულ და ტექნიკურად კარგად აღჭურვილ, ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე საწარმოებს შესწევთ უნარი, შექმნილი კონიუნქტურიდან გამომდინარე, უფრო ოპერატიულად გარდაქმნან წარმოება და განაახლონ პროდუქცია.

წვრილი საწარმოების ზემოაღნიშნულ უპირატესობათა გათვალისწინებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გაააქტიურონ მუშაობა იმისათვის, რათა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეიქმნას ასეთი საწარმოები, მათ შორის კოოპერაციული, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი, მეორეული ნედლეულის დამამზადებელი და გადაამუშავებელი, ფართო გამოყენების სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები, პროდუქციისა, რომელზეც მოთხოვნილება მოცემულ ტერიტორიაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ადგილობრივი წარმოების ხარჯზე, აგრეთვე მომსახურებისათვის განკუთვნილი მსხვილი საწარმოები და გაერთიანებანი.

32. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვაგვარი ფორმების განვითარებას. მიიღონ ზომები სადგომების დროულად მიცემისათვის, აღმოუჩინონ დახმარება საჭირო მოწყობილობისა და მასალების შეძენაში. გადაჭრით აღკვეთონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ნებისმიერი გამოვლინებანი.

კოოპერატივების მუშაობა და მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა წარმართონ, უწყინარეს ყოვლისა, სახალხო მოხმარების იმ საქონლის საწარმოებლად და მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად, რომელშიც იგრძნობა ყველაზე დიდი დეფიციტი.

33. მიზანშეწონილად ჩაითვალოს განხორციელდეს მართვის სისტემის გარდაქმნისათვის ამ დადგენილებით დასახული ღონისძიებანი რესპუბლიკებში და ადგილებზე ეტაპობრივად, თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით ახალ პირობებში მუშაობისათვის საჭირო წინამძღვრების შექმნისა და გამოცდილების დაგროვების კვალობაზე. ამასთან უზრუნველყონ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების განმტკიცების, სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებების შექმნის ღონისძიებათა მჭიდრო დაკავშირება მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლასთან, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანასთან.



ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლის შედეგად მიღწეულ მმართველობის აპარატის არსებითად შემცირებას და ამავე დროს შაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

მმართველობის აპარატის გაიფხვებით და ამის საფუძველზე მისი რიცხოვნობის შემცირებით რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით ნება დაერთოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ზემოაღნიშნულ ორგანოებს გამოიყენონ რიცხოვნობის შემცირებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის 70 პროცენტამდე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აპარატის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანოების აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების გასაღიდეზღად, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ მუშაკთათვის თანამდებობრივი სარგოების დანამატების დასანიშნად.

34. უფლება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე მართვის ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელებს დაამტკიცონ აპარატის საშტატო განრიგი ნორმებისა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობის გაუთვალისწინებლად და დაუნიშნონ მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ამ აპარატის ხელფასის ფონდის ფარგლებში.

35. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სამეურნეო და სოციალურ პრობლემებისადმი თანამედროვე მიდგომისა და პრინციპების დამკვიდრებას, აღამიანის ფაქტორის გააქტიურებასა და კადრების ახლებური ეკონომიკური აზროვნების გამომუშავებას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მართვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მართვის ყველა რგოლის აპარატის განმტკიცება მაღალკვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც შესწევთ უნარი კომპეტენტურად გადაწყვიტონ ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში დასახული ამოცანები. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისა და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა არჩევითობის შემოღების, კოლექტივების თვითმმართველობის განვითარების საფუძველზე.

უპირველესი მნიშვნელობის საქმედ ჩაითვალოს რესპუბლიკებში და ადგილებზე კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის კარდინალური გაუმჯობესება მათ მიერ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების დაუფლების, მშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის ყოველმხრივი განვითარების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწყონ კადრების



კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის სასწავლებლებში რეგულარულად უმაღლეს სასწავლებელთა ბაზაზე მართვის თეორიისა და პრაქტიკის დარგში იმ მუშაკთა სპეციალური მომზადება, რომელთაც დადებითად გამოიჩინეს თავი, როგორც წარმოების ორგანიზატორებმა. ამავე დროს ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით უზრუნველყონ ეკონომიკური სწავლების მასშტაბის გაფართოება და გაღრმავება უშუალოდ გაერთიანებებსა და საწარმოებში, მისი მჭიდროდ დაკავშირება შრომითი კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებთან.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა აღნიშნა ტერიტორიული მართვის გარდაქმნის განსაკუთრებით დიდი როლი და მნიშვნელობა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკაში მართვის დემოკრატიზაციამ, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა მუშაობის ხარისხის კარდინალურად გაუმჯობესებამ უნდა ამოქმედოს ხალხის უშრეტო შემოქმედებითი ძალები, წარმართონ ისინი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებების განსახორციელებლად, გახდნენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის დაჩქარების მძლავრი ფაქტორი.

სკკპ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი



56

მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებში რესპუბლიკაში სა-
 ფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და სპარტველოს სსრ ფი-
 ნანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრ-
 თა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში მიზანდასახული მუშაობა მიმდინა-
 რეობს ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის, სამეურნეო მექანიზმის
 სრულყოფის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და სა-
 ზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე საფინანსო-საკრედიტო
 ბერკეტების ზემოქმედების გაძლიერების შესახებ სკკვ ცენტრალური კომიტე-
 ტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის, საქართველოს
 კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკვ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის
 ივნისის პლენუმისა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუ-
 მის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების თანამედროვე მოთხოვ-
 ნების შესაბამისად რესპუბლიკაში აქტიური საფინანსო პოლიტიკის განხორ-
 ციელებისა და პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ქმედით ინსტრუმენტად სა-
 ფინანსო მექანიზმის გადაქცევის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომი-
 ტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სა-
 ქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა,
 აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის
 ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დე-
 პუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩ-
 ნიონ განუხრელი შესრულება სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავში-
 რის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 819 დადგენილებისა „მეურ-
 ნეობის გაძლიერების ახალ პირობებში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და სსრ
 კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ“ (თან ერთად).
 ამ მიზნით:

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე სა-
 ფინანსო-ეკონომიკური მუშაობის განმტკიცებას, რესპუბლიკის ეკონომიკური
 და სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაციაში საფინანსო ორგანო-

ებისა და სამსახურების როლის ამაღლებას და მათ გადაქცევას პერსონალურ-ნომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად;

— გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა შრომითი კოლექტივების მიერ შინასაწარმოო რეზერვების გამონახვის, სამეურნეო ბრუნვაში მათი ჩართვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოთა (გაერთიანებათა), კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყონ მათი ნორმალური ფუნქციონირება მეურნეობის გაძღოლის, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ახალ პირობებში.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სხვა ეკონომიკურმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— საფინანსო სისტემის გარდაქმნის მთავარ ამოცანად მიიჩნიონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერება, ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სხვა ფინანსური რესურსების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში;

— გარდაქმნას საფუძვლად დაუდონ სახალხო მეურნეობაში საფინანსო ურთიერთობის ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელიც იმყარება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. წარმართონ საფინანსო მექანიზმი წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების სტიმულირებისათვის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, დანაკარგების ლიკვიდაციისათვის;

— ამაღლონ ფინანსების სახელმწიფო მართვის ქმედითობა ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვის, საწარმოო და სოციალურ განვითარებაში საწარმოების (გაერთიანებების), სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების დამოუკიდებლობის გაფართოების საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტთან და მართვის ზემდგომ ორგანოებთან საწარმოთა (გაერთიანებათა) საფინანსო ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები და საფინანსო ნორმები, აღკვეთონ საქონლის საბოლოო რეალიზაციის გარეშე შემოსავლის მიღების ყველა შესაძლებლობა;

— განამტკიცონ რესპუბლიკის, სახალხო დემუკრატთა საბჭოების საკომების საფინანსო ბაზა. გადავიდნენ რეგიონების ფინანსთა მინისტრის მეთაურობით, ამასთან საფუძველად დაუდონ მათ ხანგრძლივი ნორმატივები, რომლებიც აწესებენ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოკიდებულებას მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის შედეგებზე;

— თანამიმდევრულად გაადიდონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის სიმყარე, მისი როლი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში, ეფექტიანობის ამაღლებაში. გადააქციონ გამოყენებული რესურსებისათვის საწარმოთა გადასახდელები სოციალისტური საწარმოებისაგან ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროდ. უზრუნველყონ რესპუბლიკის ფულადი რესურსების რაც შეიძლება რაციონალური და ეკონომიური გამოყენება და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებითი დაბალანსების მიღწევაზე საფინანსო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— საწარმოთა (გაერთიანებათა) საფინანსო გეგმების საფუძველზე შეადგინონ დარგის საფინანსო გეგმები სამინისტროს, უწყების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებთან ყოველგვარი საფინანსო-საკრედიტო რესურსების დასაბალანსებლად. აღნიშნულ გეგმებში განსაზღვრონ ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ოდენობა და მათი გამოყენების მიმართულებანი საერთო-დარგობრივი ამოცანების გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ ფინანსთა მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე საწარმოებისათვის (გაერთიანებებისათვის) დასამტკიცებელი ეკონომიკური ნორმატივების ღრმა დამუშავება და დასაბუთებულობა, მათი სტაბილურობა და დროულად დაგზავნა;

— გააძლიერონ პასუხისმგებლობა ფინანსთა მდგომარეობისა და დარგის მუშაობის შედეგებისათვის, გაუწიონ საწარმოებს (გაერთიანებებს) პრაქტიკული დახმარება საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დაყენების გაუმჯობესებაში, მიიღონ ზომები მათი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისა და ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, მთლიანად დარგში მოგების გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელოთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

— გააძლიერონ საწარმოთა (გაერთიანებათა) ეკონომიკური პასუხისმგებლობა ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშების უტყუარობისათვის. შემოსავლის წინასწარგანზრახვით და-

მალვის ან წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებზე მათთან დაუკავშირებლად ან ხარჯების მიკუთვნების შედეგად შემოსავლის შემცირების შემთხვევაში წარმოები (გაერთიანებები) უხდინან ბიუჯეტს შემცირებული მოგების მთელ თანხას.

4. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს ჩაერიონ საწარმოთა (გაერთიანებათა) ოპერატიულ საფინანსო საქმიანობაში, რომელთაც ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მეურნეობის გაძღოლის შედეგებისათვის, რენტაბელური, უხარალო მუშაობის უზრუნველყოფისათვის, რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ფორმირებისა და დაცვა-შენარჩუნებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საფინანსო გეგმების საფუძველზე რესპუბლიკის საფინანსო გეგმა, რომელშიც განისაზღვრება შემოსავლის ძირითადი სახეობანი და მათი გამოყენების მიმართულებანი, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმიდან გამომდინარე. ამასთან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის განკარგულებაში საერთო-სახელმწიფო შემოსავლიდან მიღებული სახსრების თანხა განისაზღვრება მოცემული ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონისათვის დაწესებული სტაბილური ნორმატივის მიხედვით.

დაწესდეს, რომ საწარმოები (გაერთიანებები), ახორციელებენ რა თვითდაფინანსების პრინციპს, საეალდებულო წესით მონაწილეობენ სტაბილური ნორმატივების საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში საერთო-რესპუბლიკურ ღონისძიებათა დროული და შეუფერხებელი დაფინანსების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდებისა და რესპუბლიკის სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

6. ამაღლდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის საფინანსო გეგმების სისტემაში, გაძლიერდეს მისი სოციალური მიმართულება. ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ფორმირება მოხდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და საფინანსო გეგმებში გათვალისწინებული მაჩვენებლებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე.

რესპუბლიკის ცენტრალიზებული შემოსავლისა და გასავლის გამსხვილებული მაჩვენებლები ხუთწლეულისათვის განისაზღვროს გაანგარიშებით.

7. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ძირითადად უნდა მოხმარდეს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, კომპლექ-



სური მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას, მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალისტური ციალის ზრდას, რესპუბლიკის სოციალური განვითარების დაჩქარებას.

8. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესაბამისი წლის მაჩვენებლებიდან, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საფინანსო გეგმიდან, რესპუბლიკის კრებისით საფინანსო გეგმიდან, გამომდინარე და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოხსენების პროექტთან ერთად საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და ხუთწლედის მორიგი წლის საგეგმო დავალებების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

9. მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებზე გადასვლის ფინანსური ვითარების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით:

— საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი თითოეული საქვეუწყებო საწარმოს (გაერთიანების) ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად და უზრუნველყონ მათი თანამიმდევრული განხორციელება;

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მრეწველ-მეცნიერ-საქართველოს რესპუბლიკურ ბანკებთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადონ წინადადებანი მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების უზრუნველყოფის შესახებ და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საკონტროლო ციფრებიდან, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მაჩვენებლებიდან, ლიმიტებიდან, ეკონომიკური ნორმატივებიდან და საფინანსო ნორმებიდან გამომდინარე, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საგეგმო წლის შესაბამისი ბიუჯეტების შემოსავალ-გასავალი. არ დაუშვან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით გამონახული და დაზოგილი, კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი, სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება ბიუჯეტებს შორის. ბიუჯეტებში შემოსავლის მიღების გეგმის შეუსრულებლობისას სახალხო დეპუტატთა საბჭოები უზრუნველყოფენ საგეგმო ხარჯების დაფინანსებას მიღებული შემოსავლისა და მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რეზერვების ფარგლებში.

11. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— დააწესოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 819 დადგენილების შესაბამისად და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ზრდის პირდაპირი დამოკიდებულება მოცემულ ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან შემოსულ ბრუნვის გადასახადზე და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე;

— როგორც რესპუბლიკურმა საფინანსო-ეკონომიკურმა ორგანომ ორგანიზაცია გაუწიოს ფინანსებისადმი საერთო ხელმძღვანელობას, განახორციელოს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახელმწიფოს ერთიანი საფინანსო პოლიტიკა, უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და შესრულება, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების ფართოდ გამოყენება საფინანსო დაგეგმვის პრაქტიკაში.

— განახორციელოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საფინანსო ორგანოთა აპარატის საქმიანობის გარდაქმნის ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მათი მეცადინეობის კონცენტრაციას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფინანსებისა და საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის სტრატეგიულ მიმართულებებზე;

— ვააძლიეროს ურთიერთმოქმედება რესპუბლიკურ ეკონომიკურ უწყებებთან, რესპუბლიკის დარგობრივ სამინისტროებთან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ფულადი დაგროვების გადიდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების გაღრმავების, ახალი სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტებთან საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების კურსის თანამიმდევრული განხორციელებისათვის, უზრუნველყოს მეურნეობის გაძლიერების ეფექტიანობისადმი ნამდვილი კონტროლი მანეთით;

— გააძლიეროს ურთიერთმოქმედება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მოგების, როგორც რესპუბლიკის ცენტრალიზებული ხარჯების დაფინანსების, საწარმოთა (გაერთიანებათა) საწარმოო და სოციალური განვითარების ძირითადი წყაროს, ფორმირების საკითხებში. დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და საქმიანობის სახეობათა მიხედვით მოგების დაგეგმვას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით;

— განახორციელოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან ერთად ფულის მიმოქცევის განმტკიცების, ფულადი რესურსების მთელი ერთობლიობით ფულის ბრუნვის გეგმიანი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყო-

ფის, მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისთან მისი შესაბამისობაზე საფინანსო-საკრედიტო მეთოდების ზემოქმედების გაძლიერების მიზნით; ლონსძიებანი მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების მიღწევის; მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდების მიზნით;

— განახორციელოს სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნებთან უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის, რესპუბლიკის შემოსავლის ფორმირებაში მათი წვლილის გადიდებისათვის კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სტიმულირების, აგრეთვე მოსახლეობაში ასაკრეფი გადასახადების სისტემის სრულყოფის მიზნით, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით;

— სრულყოს მეურნეობის გაძლიერების ახალი მეთოდის პირობებში დაბეჯვრის პრაქტიკა საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის სტიმულირების ამოღებისა და სახელმწიფო ფინანსთა განმტკიცების მიმართულებით;

— მეთოდიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის, როგორც ყოველგვარი რესურსების ეფექტიანი და რაციონალური ხარჯვისადმი, საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობისადმი, დოკუმენტბრუნვის შემცირებისადმი კონტროლის უმნიშვნელოვანესი საშუალების, დაყენებას;

— გააუმჯობესოს დაზღვევის დაწესებულებათა მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, ამაღლოს მომსახურების კულტურა, აქტიურად დანერგოს დაზღვევის ახალი პერსპექტიული სახეობანი და განავითაროს სადაზღვევო საქმე უშუალოდ შრომითს კოლექტივებში;

— უმოკლეს ვადებში დასძლიოს სხვაობა საქართველოს სსრ დიდ და პატარა ქალაქებში დაზღვევის ორგანოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის მხრივ;

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის არსებითად გაუმჯობესებასა და განვითარებას, იმ ვარაუდით, რომ სახდაზღვევის ორგანოთა საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების საყოველთაო გამოყენების საფუძველზე;

— მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების დაგეგმვაში საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების პირობებში გაძლიეროს ეკონომიკური და ანალიზური მუშაობა რესპუბლიკის მმართველობის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და მისი შენახვის გაიაფებისათვის;

— საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონსენება მმართველობის აპარატის განვითარების მდგომარეობისა და ტენდენციების, მისი შენახვის ხარჯებისა და გაიაფების ღონისძიებათა შესახებ;



— კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტში, სამინისტროთა და უწყებებში აღმასრულებელ ფონდებსა და რეზერვებში მოგების ანარიცხებისა და გადასახდელთა ნორმატივების ეკონომიკურ დასაბუთებულობასა და სტაბილურობას, რაც უწყსდებათ საწარმოებს (გაერთიანებებს);

— შეიტანოს სსრ კავშირის სახბანკოს საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან ერთად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ განსახილველად წინადადებათა იმ საქვეყნურობა საწარმოთა (გაერთიანებთა) დადგენილი წესით ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ვერ უზრუნველყოფენ რენტაბელურ მუშაობას და ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის, ბანკების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე;

— გააძლიეროს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებების (სამმართველოების), აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საფინანსო სამსახურების საფინანსო მუშაობისადმი;

— გადასინჯოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდოლოგიური მითითებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს მათი შესაბამისობა ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებთან, გააუქმოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების (გაერთიანებების) და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა დაუსაბუთებელი შესუღუღებები;

— ძირეულად გარდაქმნას მეურნეობის გაძლიერის ახალ პირობებში ცენტრალური აპარატისა და საფინანსო ორგანოთა მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები. განახორციელოს საფინანსო სისტემაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი. გააძლიეროს სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის;

— უზრუნველყოს ფინანსების, კრედიტის, ფოლის მიმოქცევის, საბუღალტრო აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დარგში მუშაკთა პროფესიული ღონის ამაღლება, გააუმჯობესოს თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში სპეციალისტთა მომზადება;

— განამტკიცოს ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კავშირი კონკრეტულ წინადადებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზანია ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მთელი კომპლექსის უფრო ეფექტიანი გამოყენება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის პრაქტიკაში;

— მიიღოს აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორ-



განიზაცებში ეკონომიკური ექსპერიმენტების მომზადებასა და მომზადდის წინადადებანი ეკონომიკური ექსპერიმენტების შედეგების ფართოდ გავრცელების შესახებ;

— გაააქტიუროს მუშაობა საქართველოს სსრ საფინანსო და სადაზღვევო ორგანოებში საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემებისა და ავტომატიზებული სამუშაო ადგილების დანერგვისათვის.

12. საფინანსო პოლიტიკის განხორციელების, რესპუბლიკის ფინანსური რესურსების ზრდის უზრუნველყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებზე მათი კონცენტრაციის, ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის, სოციალური სფეროს განვითარების, სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს როლის ასამაღლებლად:

— დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა კრებსითი საგეგმო-საფინანსო მუშაობის მდგომარეობისათვის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებითი დაბალანსების უზრუნველყოფისათვის;

— გათვალისწინებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ კრებსით საფინანსო გეგმას, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსს შემუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აქტიური მონაწილეობით. უზრუნველყოს მათი გულდასმით და ღრმად დამუშავება, დროულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკისა და მოსახლეობის დასახული შემოსავალ-გასავლის შესახებ, აგრეთვე მათი დაბალანსების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

13. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში ფინანსური სახსრების რეზერვი სახალხო მეურნეობისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარების ცალკეული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც წამოიჭრება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესარულების მსვლელობაში. რეზერვის კონკრეტული ოდენობა განისაზღვროს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტიციებისას ყოველწლიურად.

14. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ ეკონომიკის რეჟიმის, სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი ფინანსური კონტროლის ქმედითობა, სრულყოფილი ეკონომიკური და საკოლმეურნეო-სარევიზიო მუშაობა, არ დაუშვან საწარმოთა (გაერთიანებთა) წვრილმანი ფინანსური რეგლამენტაცია და ზედმეტი მეურვეობა, მკაცრად დაიცვან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით დაწესებული მათი უფლებანი. მუდმივი კონტროლი გაუწიონ საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას სამინისტროებისა

და უწყებების მიერ. აღმოუჩინონ მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საწარმოებში (გაერთიანებებში) საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის ორგანიზაციაში.

15. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა გააძლიეროს აპარატის კომუნისტთა ავანგარდული როლი ფინანსების გარდაქმნაში, კადრებთან მუშაობაში, ჩაუნერგოს მათ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა საქმისადმი, გაღრმავებული დემოკრატიის, ფართო საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ადამიანთა საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის აღმავლობის პირობებში მუშაობის უნარი.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. ნიკოლსკი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ჩერქეზია

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭომ

დადგენილება № 819

1987 წლის 17 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

**მეურნეობის გაქოლოვის ახალ პირობებში საფინანსო მექანიზმის
პარდაქმენისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს
როლის ამაღლების შესახებ**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება მოითხოვს პრინციპულად ახალი საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, საფინანსო მექანიზმის რადიკალური რეფორმის გატარებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და სახელმწიფოს ფინანსთა განმტკიცებაზე, საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებასა და პასუხისმგებლობის ამოღებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერებას.

წინათ საფინანსო სისტემის, მართვის ეკონომიკური მეთოდების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეუფასებლობამ, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაში სამეურნეო-ანგარიშიანი საწყისების შესუსტებამ უარყოფითად იმოქმედეს სახალხო მეურნეობის საფინანსო შედეგებზე, გამოიწვიეს დარგების, გაერთიანებებსა და საწარმოების ფინანსთა მერყეობა. ბევრი სამინისტროს, უწყების, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამეურნეო ხელმძღვანელის მხედველობის ფარგლებს გარეთ პრაქტიკულად დარჩა მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანი — საფინანსო-ეკონომიკური მუშაობა. ისინი უფრო მეტად წარმოების მიმდინარე საკითხებს წყვეტდნენ და ნაკლებ ყურად-



ღებას უთმობდნენ ეკონომიკისა და ფინანსების განმტკიცებას, წარმოების განვითარებას, მეურნეობის მართვის ყველა დონეზე შემცირებული იყო პასუხისმგებლობა მეურნეობის ყაარათიანი გაძღოლისათვის, საფინანსო გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. სახალხო მეურნეობაში გაუარესდა საფინანსო დისციპლინა, გადიდა იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ასრულებენ მოგებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს.

დაუშვებლად გაიზარდა ზარალიანობა და დოტაციების ოდენობა. ბევრ ხელმძღვანელს ისინი სავსებით ნორმალურ და ასატან მოვლენად მიაჩნდა.

არსებითად შესუსტდა საფინანსო მექანიზმის ზემოქმედება საწარმოთა ინტერესებზე რესურსების ეკონომიისა და მომჭირნეობით გამოყენების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში. უზრუნველყოფილი არ იყო დარგობრივი და ტერიტორიული საფინანსო დაგეგმვის შეკავშირება-შეხამება. საფინანსო მექანიზმი არ ქმნიდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებას მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკებისა და სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხარჯების ფორმირება ხორციელდება რეგიონების მეურნეობათა განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში მათი წვლილის მიუხედავად.

შესუსტდა ბიუჯეტის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმის, როლი. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ობიექტურად არ აფასებდა ფინანსურ მდგომარეობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს ხანგრძლივ საფინანსო პოლიტიკასთან, საფინანსო დაგეგმვის სრულყოფასა და საფინანსო მექანიზმის ქმედითობის ამაღლებასთან დაკავშირებულ წინადადებათა შემუშავებას. მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები არსებითად არ იცვლებოდა და ხელს არ უწყობდა ზემოქმედებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. გაუმართლებლად გაიზარდა მასშტაბი საფინანსო რეგლამენტაციისა. რომელიც ხშირად წვრილმან ხასიათს ატარებდა და ბოჭავდა საწარმოთა, ორგანიზაციათა, ადგილობრივ ორგანოთა და სამინისტროთა ინიციატივას. საფინანსო დაწესებულებათა მუშაობა შემოსავლის უზრუნველსაყოფად ხორციელდებოდა ძირითადად ადმინისტრაციული მეთოდებით. მრავალი ნაკლი დაგროვდა დაბეგვრის ორგანიზაციაში, სახელმწიფო დაზღვევის საქმეში.

ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის დარგში მთავარი ნაკლია საფინანსო და საკრედიტო რესურსების, ფულადი სახსრების ბრუნვის მოწყვეტა მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობისაგან, სახალხო მეურნეობის გადამეტვრება საგადასახდელო საშუალებებით. ახლანდელი მანეთი მთლიანად ვერ ასრულებს ეკონომიკის მდგომარეობისადმი ფინანსური კონტროლის აქტიური ინსტრუმენტის თავის როლს.

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აქტიური საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისა და პარტიის ეკო-

ნომიკური სტრატეგიის ქმედით ინსტრუმენტად საფინანსო მექანიზმის გადაქცევის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრის საბჭო ადგენენ:

1. საფინანსო სისტემის გარდაქმნის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს მისი ზემოქმედების გაძლიერება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სახელმწიფოს სხვა ფინანსური რესურსების განუზრგელი ზრდის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, გარდაქმნას საფუძვლად დაედოს სახალხო მეურნეობაში საფინანსო ურთიერთობის ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელიც ემყარება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. წარმართონ საფინანსო მექანიზმი წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების სტიმულირებისათვის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, დანაკარგების ლიკვიდაციისათვის.

ამაღლონ ფინანსების სახელმწიფო მართვის ქმედითობა ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვასთან, საწარმოთა და სოციალურ განვითარებაში საწარმოების (გაერთიანებების), სახალხო დეპუტატთა საბჭოების დამოუკიდებლობის გაფართოებასთან შეხამებით ცენტრალიზებული საწყისების გაძლიერების საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტთან და მართვის ზემდგომ ორგანოებთან საწარმოთა (გაერთიანებათა) საფინანსო ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები და საფინანსო ნორმები, აღკვეთონ საქონლის საბოლოო რეალიზაციის გარეშე შემოსავლის მიღების ყველა შესაძლებლობა.

განამტკიცონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო ბაზა. გადავიდნენ რეგიონების ფინანსთა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, ამასთან საფუძვლად დაუდონ მათ ხანგრძლივი ნორმატივები, რომლებიც აწესებენ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოკიდებულებას მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის შედეგებზე.

თანამიმდევრულად განამტკიცონ საერთო-სახელმწიფო ფინანსები, გააძლიერონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის სიმყარე. მისი როლის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში, ეფექტიანობის ამაღლებაში. გადააქციონ გამოყენებული რესურსებისათვის საწარმოთა გადასახდელები სოციალისტური საწარმოებისაგან ბიუჯეტის შემოსავლის ძირთად წყაროდ. უზრუნველყონ სახელმწიფოს ფულადი რესურსების რაც შეიძლება რაციონალური და ეკონომიკური გამოყენება. გააძლიერონ საფინანსო მექანიზმის ზემოქმედება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებითი დაბალანსების უზრუნველყოფაზე.



საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა ხრული სამეურნეო-საწარმოო
 და თვითდაფინანსების პირობებში

2. უზრუნველყოფილ იქნეს საფინანსო გეგმების სისტემის კომპლექსური გარდაქმნა, არსებითად ამოღლდეს მათი როლი სახალხო მეურნეობის მართვის ეფულა დონეზე, როგორც ეკონომიკისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი, ხუთწლიანი და მიმდინარე გეგმების რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა.

გამოიღონ პერსპექტიული საფინანსო დაგეგმვის როლი. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის კონცეფციისა და ძირითად მიმართულებათა შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნეს საფინანსო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი გზები.

საპიროდ ჩაითვალოს გადასვლა ხუთწლიანი საფინანსო გეგმების, როგორც სახალხო მეურნეობის, მისი დარგების, კომპლექსებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ორგანული შემადგენელი ნაწილის, შემუშავებაზე.

გარდაქმნას საფინანსო და საბიუჯეტო დაგეგმვა სტაბილური ხანგრძლივი ნორმატივების სისტემის ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, საწარმოების (გაერთიანებების) და სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებათა გაფართოებას ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და გამოყენებაში. გათვალისწინებულ იქნეს, რომ საფინანსო ურთიერთობის მარეგულირებელმა ეკონომიკურმა ნორმატივებმა უნდა უზრუნველყონ:

სახელმწიფოს თანაბარდაძებული მოთხოვნები საწარმოების მიერ საწარმოო, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი;

წარმოების სტრუქტურის ფორმირებისათვის, მისი ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ფინანსური პირობების შექმნა;

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების დაკლებათა რეალიზაციისათვის ფინანსურ რესურსებზე სახელმწიფოს, რეგიონების, მართვის ზემდგომი ორგანოებისა და საწარმოების (გაერთიანებების) მოთხოვნილებათა დაბალანსება;

საწარმოების (გაერთიანებების) და რეგიონების საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ოდენობის ურთიერთკავშირი მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობასთან და მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებთან;

საერთო-სახელმწიფოებრივი, კოლექტიური და პირადი ინტერესების ოპტიმალური შეხამება განაწილებითს ურთიერთობაში;

ფულადი დაგროვების გადიდების სტიმულირება მისი ზრდის ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე;

წარმოების განვითარების, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური წახალისების ხარჯების დაფინანსება მათ მიერ გამომუშავებული სახსრების ანგარიშში.

საწარმოს მოგებისა და სხვა ფინანსური რესურსების ჩამორთმევა და განაწილება დაწესებული ნორმატივების, ნორმებისა და განაკვეთების გადამეტებით, აგრეთვე კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში აკრძალულია.

ახალ სამეურნეო მექანიზმთან შეუთავსებლად ჩათვალოს საწყისი ბაზის მიხედვით ეკონომიკური ნორმატივების დაწესების ცდები, დანაწევრება წლებისა და ხარჯების მუხლების მიხედვით, შეცვლა მოცულობის დავალებებით.

დამთავრდეს მეთორმეტე ხუთწლედში მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივების შემუშავება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტების შედგენის უზრუნველყოფა ამ ნორმატივების საფუძველზე.

დაწესდეს, რომ საფინანსო ხუთწლიანი გეგმები წლების მიხედვით დანაწილებით შეიცავენ მართვისა და მეურნეობის გაძღოლის შესაბამის დონეებზე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გამსხვილებულ მაჩვენებლებს, შედგენილია საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთების, ლიმიტებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე და ფინანსური რესურსების საერთო მოცულობას უკავშირებენ მათს წყაროებსა და ხარჯვის მიმართულებებს.

3. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაში საფინანსო დაგეგმვის როლის ამაღლებისა და მართვის ყველა დონეზე საფინანსო გეგმების სისტემათა ერთიანობის უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ:

საწარმოები (გაერთიანებები) დამოუკიდებლად შეიმუშავენ და ამტკიცებენ საფინანსო გეგმებს, რომლებშიც განისაზღვრება მოგებისა და შემოსავლის განაწილების საგეგმო პროპორციები, აგრეთვე ხარჯების მოცულობანი, ბიუჯეტისა და ზემდგომი ორგანიზაციისათვის გადასახდელთა ჩათვლით. ამასთან ისინი ხელმძღვანელობენ დადგენილი წესით განსაზღვრული საფინანსო ნორმებით. მოგებისა და ბიუჯეტში გადასახდელთა ოდენობა ეცნობებათ საფინანსო ორგანოებს კონტროლისათვის;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები, უწყებები საწარმოთა (გაერთიანებთა) საფინანსო გეგმების საფუძველზე შეადგენენ დარგის საფინანსო გეგმებს სამინისტროს, უწყების ეკონომიკური და სოცია-

ლური განვითარების მაჩვენებლებთან ყოველგვარი საფინანსო და სასაქონლო რესურსების დასაბალანსებლად. აღნიშნულ გეგმებში განისაზღვრება ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ოდენობა და მათი გამოყენების მიმართულებანი საერთო-დარგობრივი ამოცანების გათვალისწინებით;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შეიმუშაებენ საქვეუწყებო სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო გეგმების საფუძველზე რესპუბლიკათა საფინანსო გეგმებს, რომლებშიც განისაზღვრება შემოსავლის ძირითადი სახეობანი და მათი გამოყენების მიმართულებანი, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებიდან გამომდინარე. ამასთან საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლიდან მოკავშირე რესპუბლიკის განკარგულებაში მიღებული სახსრების თანხა განისაზღვრება მოცემული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებული სტაბილური ნორმატივის მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, მოკავშირე რესპუბლიკათა, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო გეგმების საფუძველზე შეადგენს სახელმწიფოს კრებისით საფინანსო ბალანსს ხუთწლეულისათვის წლების მიხედვით დაყოფით.

4. ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ფულადი რესურსების ცენტრალიზებული ფონდის, მნიშვნელობა და მისი როლი სახალხო მეურნეობის საფინანსო გეგმების სისტემაში, გაძლიერდეს მისი სოციალური მიმართულება. ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ფორმირება მოხდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და საფინანსო გეგმებში გათვალისწინებული მაჩვენებლებისა და ხანგრძლივი ნორმატივების საფუძველზე. სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავლისა და გასავლის გამსხვილებული მაჩვენებლები ხუთწლეულისათვის განისაზღვროს გაანგარიშებით.

დაწესდეს, რომ საწარმოები (გაერთიანებები), ახორციელებენ რა თვითდაფინანსების პრინციპს, სავალდებულო წესით მონაწილეობენ სტაბილური ნორმატივების საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში საერთო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა დროული და შეუფერხებელი დაფინანსების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო ბიუჯეტთან საწარმოთა (გაერთიანებათა) ურთიერთობის ძირითად რეგულატორად ეკონომიკური ნორმატივების გადაქცევის და სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირებაში მათი როლის ამაღლების მიზნით გარდაიქმნას დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებით მოგების (შემოსავლის) განაწილებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისტემა საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსებისათვის ნორმატიულ გადასახდელთა საყოველთაო დანერგვის, აგრეთვე საწარმოთა იმ შემოსავლის დაბეგვრის მექანიზმის გამოყენების საფუძველზე, რომელიც რჩება

რესურსებისათვის პირველი რიგის გადასახდელთა შეტანისა და კრედიტისათვის პროცენტების გადახდის შემდეგ.

გაუმჯობესდეს ყველა ზემოაღნიშნული გადასახდელის შემტანის წესი, ამასთან ჩაითვალოს ისინი ფონდუკუგების ამოღებაზე, რესურსდაზოგვაზე, საწარმოო პოტენციალის აქტიური ნაწილის განახლებაზე, საერთო-სახალხო საკუთრების ეფექტიან გამოყენებაზე ზემოქმედების დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საპირობა თანამიმდევრულად დაინერგოს საწარმოო ფონდების გადასახდელის ერთიანი ნორმა დარგის ყველა საწარმოსათვის, ხოლო შემდგომში — ყველა დარგისათვის. დაშვებულ იქნეს ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური საწარმოებისათვის მისი დროებით გაუქმების ან შემცირების შესაძლებლობა.

შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბულობის შესაბამისად ქვეყნის რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული შრომითი რესურსების გადასახდელის მეშვეობით ანაზღაურდეს სახელმწიფოს ხარჯები მუშახელის მოსამზადებლად, მუშაკთა სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეულის) გადასახდელის მეშვეობით ამოღებულ იქნეს ამ რესურსების ბუნებრივი პროდუქტიულობის სხვაობათა გამო წარმოქმნილი დიფერენციული რენტა.

ბიუჯეტში რესურსების გადასახდელთან ერთად გამოყენებულ იქნეს საწარმოთა იმ შემოსავლის დაბეგერა, რომელიც რჩება რესურსებისათვის გადასახდელთა შეტანისა და კრედიტისათვის პროცენტების გადახდის შემდეგ.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ძირითადად უნდა მოხმარდეს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდას, სოციალური განვითარების დაჩქარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესაბამისი წლის მაჩვენებლებიდან, მოკავშირე რესპუბლიკების საფინანსო გეგმიებიდან, სახელმწიფოს კრებისთი საფინანსო ბალანსიდან გამომდინარე და მორიგი წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 თვისა წარმოუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოხსენების პროექტთან ერთად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და ხუთწლედის მორიგი წლის საგეგმო დავალებების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

სამინისტროებმა და უწყებებმა ფინანსთა მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე უზრუნველყონ საწარმოებისათვის (გაერთიანებებისათვის) დასამტკიცებელი ეკონომიკური ნორმატივების ღრმა დამუშავება და დასაბუთებულობა, მათი სტაბილურობა და დროულად დაგზავნა.

5. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადასვლის ფინანსური-საბიუჯეტო პოლიტიკის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით:

სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 3 თვის ვადაში მოამზადონ წინადადებანი სახალხო მეურნეობის დარგების ფინანსთა გაჯანსაღების შესახებ;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის საბანკოთან ერთად 1987 წელს შეიმუშაონ მთლიანად სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების სპეციალური პროგრამა.

6. სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ პასუხისმგებლობა ფინანსთა მდგომარეობისა და დარგის მუშაობის შედეგებისათვის, გაუწიონ საწარმოებს (გაერთიანებებს) დახმარება საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დაყენების გაუმჯობესებაში, მიიღონ ზომები მათი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისა და ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, მთლიანად დარგში მოგების გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

აეკრძალოთ სამინისტროებსა და უწყებებს ჩაერიონ საწარმოთა (გაერთიანებათა) ოპერატიულ საფინანსო საქმიანობაში, რომელთაც ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მეურნეობის გაძღოლის შედეგებისათვის, რენტაბელური, უზარალო მუშაობის უზრუნველყოფისათვის, რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ფორმირებისა და დაცვა-შენარჩუნებისათვის.

7. გაძლიერდეს საწარმოთა (გაერთიანებათა) ეკონომიკური პასუხისმგებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშების უტყუარობისათვის. შემოსავლის წინასწარგანზრახვით დამალვის ან წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებზე მათთან დაუკავშირებელი დანახარჯების მიკუთვნების შედეგად შემოსავლის შემცირების შემთხვევაში საწარმოები უხდიან ბიუჯეტს შემცირებული მოგების მთელ თანხას.

8. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეცვალოს საბიუჯეტო დაწესებულებათა საქმიანობის დაფინანსების სისტემა, ამასთან მხედველობაში იქონიოს მათი შენახვის ხარჯების დაგეგმვის მეცნიერული დასაბუთებულობის ამაღლება, საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის ორიენტირებული საფინანსო ნორმებიდან და სტაბილური ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე. ფართოდ გამოიყენოს ამ საწარმოთა მუშაობის ხარისხის ეკონომიკური სტიმულირებისა და მათთვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა რაციონალური გამოყენების მეთოდები. უფლება მისცეს საბიუჯეტო დაწესებულებებს გამოიყენონ სოციალური და საწარმოო საჭიროებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაზოგილი ასიგნებანი იმ პირობით, თუ შესრულდება საქმიანობის მაჩვენებლები. შეწყვიტოს ამ ორგანიზაციებისათვის დაზოგილი სახსრების ჩამორთმევის და მომდევნო

საგვეგმო პერიოდში მათთვის ამ თანხით ასიგნებათა შემცირების შედეგად სსრკ-ის კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს დაწესებულებების მხარისგანათავსება. მიხედვით ზემოაღნიშნული სახსრების კონკრეტული ოდენობა, შექმნისა და გამოყენების წესი, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ არ დაუშვას მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების ხარისხის გაუარესება.

თანამიმდევრულად დანერგოს სოციალურ-კულტურული სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაფინანსების სამეურნეო-ანგარიშობის ფორმები მათი მუშაობის საბოლოო შედეგებთან მჭიდროდ დაკავშირებით.

ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის სრულყოფა

9. რეგიონების კომპლექსური საწარმოო და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების ფორმირებასა და გამოყენებაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით განხორციელდეს ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა, ამასთან გაძლიერდეს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოკიდებულება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის საფინანსო შედეგებზე.

დაწესდეს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების საფინანსო ბაზა ფორმირდება სტაბილური ნორმატივების მიხედვით საწარმოთა (გაერთიანებათა) მოგების (შემოსავლის) — ყველა ბიუჯეტის ძირითადი წყაროს — ანარიცხების, მათთვის მიჩენილი სხვა შემოსავლის და საერთო-სახელმწიფო გადასახადებისა და ხუთწლიანი პერიოდის დამტკიცებული სტაბილური ნორმატივების მიხედვით გადასაცემი შემოსავლის ნაწილის ხარჯზე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა სამინისტროსა და უწყების საწარმოები (გაერთიანებები) მონაწილეობდნენ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიათა კეთილმოწყობის დასაფინანსებლად გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში.

გაფართოვდეს ხანგრძლივი მოქმედების გამსხვილებული ეკონომიკური ნორმატივების გამოყენება შემოსავალ-გასავლის დაგეგმვაში იმ სახსრების ოდენობის განსაზღვრავად, რომლებიც ხმარდება შესაბამისი ტერიტორიების საწარმოო და სოციალურ განვითარებას, მათ შორის საავტომობილო გზების მშენებლობასა და მოვლა-პატრონობას, კომუნალური მეურნეობის განვითარებას, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებასა და სხვა საჭიროებებს. სსრკ-ის კავშირის სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით განსაზღვროს ზემოაღნიშნული ხარჯების ნუსხა და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი რესურსების ფორმირების წესი. გაითვალისწინონ, რომ საწარმოთა (გაერთიანებათა) მოგების ხარჯზე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების ნორმატივები განსაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით.

განხორციელდეს ცალკეული რეგიონების საფინანსო რესურსების განმარტების მიზნით თანდათანობით გადაყენა ხანგრძლივი ნორმატივების საფუძველზე. მეცამეტე ხუთწლიდან ასეთი წესი გაერცილდეს ყველგან.

10. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები საკონტროლო ციფრებიდან, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მაჩვენებლებიდან, ლიმიტებიდან, ეკონომიკური ნორმატივებიდან და საფინანსო ნორმებიდან გამომდინარე, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საგეგმო წლის შესაბამისი ბიუჯეტების შემოსავალ-გასავალს. არ დაუშვან სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით გამონახული და დაზოგილი, კანონმდებლობის გაუთვალისწინებელი, სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება ბიუჯეტებს შორის. ბიუჯეტებში შემოსავლის მიღების გეგმის შეუსრულებლობისას სახალხო დეპუტატთა საბჭოები უზრუნველყოფენ საგეგმო ხარჯების დაფინანსებას მიღებული შემოსავლისა და მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში.

11. გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების დაინტერესება და პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, განხორციელდეს ძირეული ღონისძიებანი ბრუნვის გადასახადის აკრეფის პრაქტიკის სრულყოფისათვის.

დაწესდეს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ზრდის პირდაპირი დამოკიდებულება მოცემულ ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან შემოსულ ბრუნვის გადასახადზე და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე. ამასთან ბრუნვის გადასახადის გადამხდელები არიან, როგორც წესი, უშუალოდ პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები. განხორციელდეს ადგილობრივ ბიუჯეტებში ბრუნვის გადასახადის ანარიცხები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობისადმი ფიქსირებული განაკვეთებით (პროცენტებით).

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო-საფინანსო დაგეგმვის სრულყოფა

12. უზრუნველყოფილ იქნეს საგარეო-ეკონომიკური კავშირურობის ეფექტიანობის, სახელმწიფოს საფინანსო და სავალუტო რესურსების ფორმირებაში მისი როლის ამაღლება. გაძლიერდეს საფინანსო სისტემის ზემოქმედება საგარეო-ეკონომიკური კავშირურობის განმტკიცებასა და გაფართოებაზე, სახალხო მეურნეობაში სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების ფართოდ დანერგვისათვის საჭირო პირობების შექმნაზე. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის პრიორიტეტული განვითარება ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.



ამ მიზნით ამაღლდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებლობა სავალუტო-საფინანსო დაგეგმვის ორგანიზაციაში, ამასთან დაეკისროს მას:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახბანკთან ერთად კრებსითი სავალუტო გეგმის (საგადასახდლო ბალანსის), სამინისტროთა და უწყებათა სავალუტო გეგმების, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ანგარიშსწორების მიხედვით შემოსავლისა და გადასახდელთა გეგმების პროექტების შემუშავება, აგრეთვე მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა სავალუტო დაგეგმვის დარგში;

არასავაჭრო ოპერაციების მიხედვით სავალუტო შემოსავლისა და გადასახდელთა დაგეგმვა და კონტროლის განხორციელება ამ გეგმების შესრულებისადმი;

მონაწილეობა საგარეო-ეკონომიკური კავშირთა თეორიის სავალუტო ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური კავშირთა თეორიის პროგნოზირებაში, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა პროექტებთან ფინანსურ დასაბუთებაში;

ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების, დამატებითი სავალუტო შემოსავლის გამოვლენისა და მობილიზაციის, უცხოური ვალუტის რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიის, საჭირო სავალუტო და სასაქონლო რეზერვების შექმნის თაობაზე წინადადებათა შემუშავება.

13. უცხოეთის სახელმწიფოებთან, პირველ რიგში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის სრულყოფისათვის სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საქმიანობაში დიდშინიშვნელოვან მიმართულებებად ჩაითვალოს:

ექსპორტის გადიდებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი პროგრესული ფორმების განვითარებით, მათ შორის ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნით, საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის გაუმჯობესების თაობაზე წინადადებათა მომზადება;

მონაწილეობა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების ღონისძიებათა რეალიზაციაში, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო და მეცნიერული კოოპერაციის სახით, ერთობლივ საწარმოთა პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირთა თეორიისა და საქმიანობის განვითარება სრული სამეურნეო ანგარიშის, სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე;

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის საანგარიშსწორებო-საკრედიტო და სავალუტო-საფინანსო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავება შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობათა აქტიური გამოყენებით მისი მონაწილეების დაინტერესების გაძლიერების მიზნით;

სსრ კავშირში და საზღვარგარეთ უცხოეთის ორგანიზაციებში მყოფი კულდი ოპერაციების განმხორციელებელი საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები საფინანსო საქმიანობისადმი კმედითი კონტროლის უზრუნველყოფა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი სამინისტროებისა და უწყებების მხრივ საუწყებო კონტროლის კოორდინაცია.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესება

14. განხორციელდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი მუშაობის კონცენტრაციას სახალხო მეურნეობაში ფინანსებისა და საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის სტრატეგიულ მიმართულებებზე.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, როგორც ქვეყნის ცენტრალური საფინანსო-ეკონომიკური ორგანო, ორგანიზაციას უწევს ფინანსებისადმი საერთო ხელმძღვანელობას, ახორციელებს სახელმწიფოს ერთიან საფინანსო პოლიტიკას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებასა და შესრულებას, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების ფართოდ გამოყენებას საფინანსო დაგეგმვის პრაქტიკაში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გააძლიეროს ურთიერთმოქმედება ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან, დარგობრივ სამინისტროებთან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ფულადი დაგროვების გადიდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების გაღრმავების, ახალი სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტებთან საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების კურსის თანამიმდევრული განხორციელებასათვის, უზრუნველყოს მეურნეობის გაძლიერების ეფექტიანობისადმი ნამდვილი კონტროლი მანეთით.

15. საფინანსო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ზრდის უზრუნველყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროორიტეტულ მიმართულებებზე მათი კონცენტრაციის, ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის, სოციალური სფეროს განვითარების, სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესების საქმეში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლებლად:

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ეყისრება პასუხისმგებლობა კრებისითი საგეგმო-საფინანსო მუშაობის მდგომარეობისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებითი დაბალანსების უზრუნველყოფისათვის;

გათვალისწინებულ იქნეს, რომ სახელმწიფოს კრებისთა საფინანსო ბალანსს, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსს, სხვა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს აქტიური მონაწილეობით. უზრუნველყონ აღნიშნული კრებისთა ბალანსების გულდასმით და ღრმად დამუშავება, დროულად მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის დასახული შემოსავალ-გასავლის, აგრეთვე მათი დაბალანსების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გააძლიეროს ურთიერთმოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მოგების, როგორც სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხარჯების დაფინანსების, საწარმოთა (გაერთიანებათა) საწარმოო და სოციალური განვითარების ძირითადი წყაროს, ფორმირების საკითხებში. დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და საქმიანობის სახეობათა მიხედვით მოგების დაგეგმვას ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით.

16. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, გარდაქმნის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განახორციელოს:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახანკთან ერთად ფულის მიმოქცევის განმტკიცების, ფულადი რესურსების მთელი ერთობლიობით ფულის ბრუნვის გეგმიანი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვასთან მისი შესაბამისობის, წარმოებაზე საფინანსო-საკრედიტო მეთოდების ზემოქმედების გაძლიერების ღონისძიებანი მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების მოწვევის, მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდების მიზნით;

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის, სახელმწიფოს შემოსავლის ფორმირებაში მათი წვლილის გადიდებისათვის კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სტიმულირების, აგრეთვე მოსახლეობაში ასაკრეფი გადასახადების სისტემის სრულყოფის მიზნით, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით;

მეურნეობის გაძლიერის ახალი მეთოდების პირობებში დაბეგვრის პრაქტიკის სრულყოფა საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის სტიმულირების ამალგებისა და სახელმწიფო ფინანსთა განმტკიცების მიმართულებით;

მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის როგორც ყოველგვარი რესურსების ეფექტიანი და რაციონალური ხარჯისადმი, საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობისადმი, დოკუმენტბრუნვის შემცირებისადმი კონტროლის უმნიშვნელოვანესი საშუალების, დაყენებისადმი;

17. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის ძირეული სრულყოფა მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნილებათა

დაკმაყოფილების ინტერესებისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს დაკმაყოფილება განხორციელდეს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების საყოველთაო გამოყენების საფუძველზე.

გაუმჯობესოს დაზღვევის დაწესებულებათა მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, აამაღლოს მომსახურების კულტურა, აქტიურად დანერგოს დაზღვევის ახალი პერსპექტიული სახეობანი და განავითაროს სადაზღვევო საქმე უშუალოდ შრომითს კოლექტივებში.

უმოკლეს ვადებში დასძლიოს სხვაობა იიდ და პატარა ქალაქებში, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაზღვევის ორგანოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის მხრივ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყანაში სახელმწიფო დაზღვევის არსებითად გაუმჯობესებასა და განვითარებას.

18. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ ეკონომიის რეჟიმისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი ფინანსური კონტროლის ქმედითობა, სრულყოფნა ეკონომიკური და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა. არ დაუშვან საწარმოთა (გაერთიანებათა) წვრილმანი ფინანსური რეგლამენტაცია და ზედმეტი მეურვეობა, მკაცრად დაიცვან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით დაწესებული მათი უფლებანი. მუდმივი კონტროლი გაუწიონ საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას სამინისტროებისა და უწყებების მიერ. აღმოუჩინონ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება საწარმოებში (გაერთიანებებში) საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის ორგანიზაციაში.

19. მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების დაგეგმვაში საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების პირობებში გაძლიერდეს ეკონომიკური და ანალიზური მუშაობა მმართველობის აპარატის ორგანიზაციის სრულყოფისათვის. შემუშავდეს ამის საფუძველზე წინადადებანი მმართველობის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი შენახვის გაიაფების შესახებ, გამოყენებულ იქნეს ისინი ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივების შემუშავებისას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება მმართველობის აპარატის განვითარების მდგომარეობისა და ტენდენციების, მისი შენახვის ხარჯების და აპარატის გაიაფების ღონისძიებათა შესახებ.

20. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

შექმნას სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში რეზერვი სახალხო მეურნეობისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარების

ცალკეული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც წამოიჭრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მსვლელობაში;

გამოყოს საკავშირო ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლისა და ხარჯების ეკონომიის ანგარიში ასიგნებანი ფასთა სხვაობის ასანაზღაურებლად იმ პროდუქციისა და საქონლის წარმოების, რეალიზაციისა და შესყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში, რომლებისთვისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება ასეთი ანაზღაურება;

გადაანაწილოს საკავშირო პროფსაბუქოსთან ერთად სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრები ცალკეული მუხლების მიხედვით მისი ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით;

კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტში, სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებში მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა და გადასახდელთა ნორმატივების ეკონომიკურ დასაბუთებულობასა და სტაბილურობას, რაც უწყესდებათ საწარმოებს (გაერთიანებებს);

შეიტანოს სსრ კავშირის სახბანკთან ერთად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტროთა საბუთების მიერ განსახილველად წინადადებანი იმ საწარმოთა (გაერთიანებათა) დადგენილი წესით ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ღიდი ხნის მანძილზე ვერ უზრუნველყოფენ რენტაბელურ მუშაობას და ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის, ბანკების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე.

21. ამაღლდეს ფინანსების, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის დარგში მეცნიერული კვლევის თეორიული დონე, ხარისხი და პრაქტიკული მნიშვნელობა. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განამტკიცოს ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კავშირი კონკრეტულ წინადადებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზანია ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მთელი კომპლექსის უფრო ეფექტიანი გამოყენება სახალხო მეურნეობის მართვის პრაქტიკაში.

22. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა კრებსით სამმართველოთა და განყოფილებათა როლის არსებითი ამაღლება, აპარატის სტრუქტურის ვიწროდარგობრივი მიმართულების დაქვევა.

გააძლიეროს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, სახალხო დეპუტატთა საბუთების აღმასკომების საფინანსო სამმართველოების (განყოფილებების), აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო სამსახურების საფინანსო მუშაობისადმი. გადასინჯოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდოლოგიური მითითებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს შათი შესაბამისობა ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებთან, გააუქმოს სამინისტრო-

ების, უწყებების, საწარმოების (გაერთიანებების) და ადგილობრივი თემების უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

23. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ძირეულად გარდაქმნას მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში ცენტრალური აპარატისა და საფინანსო ორგანოთა მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები. განახორციელოს საფინანსო სისტემაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი. გააძლიეროს სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. სრულყოს საფინანსო ორგანოების მუშაკთა სტიმულირების ეკონომიკური მეთოდები, გააძლიეროს მათი დაინტერესება საწარმოთა (გაერთიანებათა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებით, მოგების (შემოსავლის) და წარმოების რენტაბელობის ზრდით, რესურსების რაციონალური გამოყენებით.

უზრუნველყოს ფინანსების, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, საბუღალტრო აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დარგში მუშაკთა პროფესიული ღონის ამაღლება. უმაღლეს სასწავლებლებსა და საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმებში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება.

24. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა დაუცხრომლად იბრძოლოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისათვის, თანამიმდევრულად დაამკვიდროს პარტიულ მუშაობაში ლენინური პრინციპები და ნორმები, გარდაქმნას პარტიული ხელმძღვანელობის სტილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნების სულისკვეთებით. გააძლიეროს პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი ფინანსების გარდაქმნაში, კადრებთან მუშაობაში, ჩაუნერგოს მათ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა საქმისადმი, გაღრმავებული დემოკრატიის, ფართო საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ადამიანთა საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის აღმავლობის პირობებში მუშაობის უნარი.

25. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დემუკრატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, იხელმძღვანელონ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის განმტკიცებას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაციაში საფინანსო ორგანოთა როლის ამაღლებას და მათს გადაქცევას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად.

სკკპ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ბ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. რიჟკოვი

57 მეურნეობის გააღობის ახალ პირობებში დაგეგმვის პარ- დაქმნისა და საპარტიპელოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომი- ტეტის როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრ-თა საბჭო აღნიშნავენ, რომსკვპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის მთლიანი პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება თვისებრივად ახალ ამოცანებსა და მოთხოვნებს უყენებს სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის სისტემას, რომელიც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია.

სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკვპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, პროგრესული სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვას. გაძლიერდა მათი სოციალური მიმართულება, დაისახა საგეგმო-ეკონომიკური ნამუშევრების კომპლექსურობის, დაბალანსებისა და მეცნიერული დასაბუთებულობის დონის ამაღლების ტენდენცია. გარკვეული ძვრები შეიმჩნევა ტერიტორიული დაგეგმვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესთა ანალიზისა და პროგნოზირების საქმეში.

ამასთანავე საქართველოს სს რესპუბლიკაში საგეგმო-ეკონომიკურ მუშაობას ახასიათებს მთლიანად ქვეყანაში დაგეგმვის მოქმედი მექანიზმის ნაკლოვანებანი, რომელთაც პრინციპული შეფასება მიეცა სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 816

დადგენილებაში „მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებში დაგეგმვის ამაღლებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ“ კერძოდ, დაგეგმვის დამკვიდრებული სისტემა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ამოცანებსა და პირობებს, მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, დაჩქარების მექანიზმის შექმნის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარების უპირატესად ხარისხობრივი ფაქტორების ხარჯზე. დაბალია საგეგმო დისციპლინის დონე. არ დაძლეულა გეგმების კორექტირების მასობრივი ხასიათი. ფართოდ გავრცელდა პრაქტიკა მრავალრიცხოვან დადგენილებათა მიღებისა, რომლებიც ითვალისწინებენ ტალკეული დარგობრივი და რეგიონალური საკითხების გადაწყვეტას ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე. ყოველივე ეს ასუსტებს გეგმის მამობილიზებელ როლს და მის ვალენს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, აძლიერებს ნეგატიურ ტენდენციებს სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ცენტრალური აპარატი და მისი ადგილობრივი ორგანოები გადატვირთული არიან მათთვის უჩვეულო სამუშაოს შესრულებით — სხვადასხვა საცნობარო და საინფორმაციო მასალის მომზადებით, კერძოდ, ოპერატიულ საკითხთა გადაჭრითა და მათ გამო წინადადებათა წარდგენით, რაც წყვეტს სპეციალისტებს ძირითადი მოვალეობებისაგან რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ღონისძიებანი უმთავრესად ხმარდება წლიური დაგეგმვის საკითხებს ხუთწლიანი გეგმების უფრო ღრმა დამუშავებისა და სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის საზიანოდ.

საგეგმო-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ყოველთვის როდი უძღვეს საფუძვლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდი მიღწევები. არასაკმარისია სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისა და რესურსდაზოგვის ტემპი. ხშირად გეგმებში საწარმოო და სოციალური განვითარების პროცესები ერთად არ არის დაკავშირებული. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გადაჭრით უნდა დასძლიონ სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საგეგმო მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრებული სოციალური სფეროს განვითარების ამოცანის აშკარა შეუფასებლობა.

საჭიროა საწარმოო ძალთა განლაგების სერიოზული სრულყოფა, ტერიტორიული დაგეგმვის დონის ამაღლება, რესპუბლიკისა და მისი ცალკეული რეგიონების კომპლექსური განვითარების პრინციპის თანამიმდევრული დაცვა.

არსებითად უნდა გაძლიერდეს აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მორგანიზებელი როლი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვის, შრომითი კოლექტივების დამოუკიდებლობის გაფართოების, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. საჭიროა ჯეროვნად გაფართოვდეს დაგეგმვაში გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე ეკონ-

ნომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება, გაძლიერდეს გამოყენება, საგვეგმო ორგანოების კადრების შერჩევისა და განაწილების საზოგადოებრივი წარმოების პროფესიული დონისადმი.

საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის ანხორციელება მოითხოვს დაგეგმვის ძირეულ გარდაქმნას, დაგროვილ ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრას, საგვეგმო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, მის ნამდვილად გადაქცევას რესპუბლიკის სამეცნიერო-ეკონომიკურ შტაბად. მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის შექმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის პრინციპული მითითებებიდან, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საჭიროა ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე რადიკალურად შეიცვალოს გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, შეუსაბამდეს ისინი სსრ კავშირის კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, ამალდეს გეგმის ხარისხი და მაორგანიზებელი როლი, გაიზარდოს მისი ავტორიტეტი.

ამ მიზნით და „მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებში დაგეგმვის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტის როლის ამალღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 816 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამასკომებმა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 816 დადგენილება (თან ერთვის), ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ საჭიროა:

—ათანამიმდევრულად გაატარონ კურსი, რომლის მიზანია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, აქტიური სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე ეკონომიკურ ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ახალი დონის მიღწევის მიზნით;

— განახორციელონ გადაწყვეტი გადასვლა მთელი საგეგმო-პროექტების განხორციელების ორგანიზაციაში უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა საქმიანობისათვის საჭირო პირობები, გააძლიერონ გეგმების შემუშავების მსვლელობაში საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა დაინტერესება პროდუქციის გამოშვების გაძლიერებისა და ხარისხის ამაღლების, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის თავიანთი რეზერვებისა და შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრული გამოყენებით.

2. საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო-კომიტეტის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას სახალხო მერნობისადმი, როგორც ერთი მთლიანისადმი, გეგმიანი ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში წარმოებით ურთიერთობათა მთელ სისტემის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა გადაყვანის პირობებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, როგორც ეკონომიკური მართვის ცენტრალურ ორგანოს, ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა გეგმებში რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფისათვის, საერთო-ეკონომიკური, დარგთაშორისი და რეიონთაშორისი პროპორციების მეცნიერულად დასაბუთებული ფორმირებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანების პრიორიტეტული გადაწყვეტისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად პარტიის კურსის თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოვალეა სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს პერსპექტიული გეგმების შემუშავებაზე, გადაჭრით უკუავდოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებთა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო საქმიანობის დეტალური რეგლამენტაციისა და მიმდინარე რეგულირების მისთვის ის უჩვეულო ფუნქციები; აამაღლოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-საწარმოო ბაზის, მისი სტრუქტურისა და საწარმოო ძალთა განლაგების თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელ დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზების მეცნიერულ ანალიზისა და დამუშავების დონე; მკვეთრად შემოაბრუნოს თავისი საქმიანობა სოციალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ რესპუბლიკის მოსახლეობის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევის მიმართულებათა, გზებისა და ეტაპების ღრმა დამუშავების საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მუშაობა სამეურნეო მექანიზ-

მის გარდაქმნისა და განუწყვეტელი სრულყოფის, დაგეგმვის, სტიმულირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების ურთიერთკავშირების უზრუნველსაყოფად სამეურნეო მართვის მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით.

თანამიმდევრულად დაეუფლოს ეკონომიკურ მეთოდებს, სრულყოს დაგეგმვის ორგანიზაცია და მაჩვენებელთა სისტემა, ამასთან აქტიური ხარჯვასაწინააღმდეგო ხასიათი მისცეს მათ. უზრუნველყოს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მუშაობისათვის, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად მათი შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარებისათვის საჭირო წინამძღვრები, შექმნას მართვის ყველა დონეზე დაგეგმვის პროცესის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის პირობები.

4. სახელმწიფო გეგმების ფორმირების ახალი სისტემის შესაბამისად დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, როგორც რესპუბლიკაში სახელმწიფო დაგეგმვის ცენტრალური ორგანოს, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა იმისადმი, რომ ქვეყნისა და საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოები მიერ დადგენილი წესით და ვადებში შემუშავდეს.

— სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის კონცეფციის საქართველოს სსრ მასალები ეკონომიკის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტებისა და მიზნების, სოციალური განვითარების მიჯნების, მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურულ პოტენციალის ამაღლების, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში რესპუბლიკის წვლილის გადიდების ამოცანების განსაზღვრით;

— საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების 15-წლიანი პერიოდის სქემები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეგმების შემუშავების საფუძველი;

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები, რომლებმაც კონკრეტული ციფრებითა და დავალებებით მატერიალიზებული უნდა გახადონ პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, საზოგადოებრივი წარმოების ტემპი, პროპორციები, სტრუქტურა, მისი ინტენსიფიკაციის გზები, დარგთა და რეგიონთა განვითარების პერსპექტივები, პრიორიტეტულ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური ამოცანები;

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმების პროექტები, რომლებიც სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა, პროპორციების, ეფექტიანობის განმსაზღვრელ ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის მთავარი ფორმას;

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეებში ხელმწიფო ხუთწლიანი გეგმის განვლილი პერიოდის დავალებათა რეალიზაციის მიმდინარეობის ამსახველი ყოველწლიურ მოხსენებანი და წინადადებანი, მომავალ წელს მისი შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ;

— საქართველოს სსრ სხვა ეკონომიკურ უწყებებთან ერთად რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის დასავაზენი დაგეგმვის ერთიერთდაკავშირებული საწყისი მონაცემები, როგორც მათ მიერ ხუთწლიანი გეგმის ფორმირების საფუძველი — საკონტროლო ციფრები, სახელმწიფო შეკვეთები, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები;

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის განვითარებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

5. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების ხაზით სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სახელმწიფო შეკვეთების გარდა) განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიების მიხედვით გეგმების პროექტების ფორმირების პროცესში განახორციელონ საწარმოებთან (გაერთიანებებთან) და ორგანიზაციებთან სისტემატური მუშაობა, რომლის მიზანია საკონტროლო ციფრებითა და სახელმწიფო შეკვეთებით გათვალისწინებულ მაჩვენებელთა მიღწევა, ამასთან უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებს შორის პროექტების, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი კოორპირებული მიწოდებისა და ურთიერთობის დაკავშირება, დარგობრივი და ტერიტორიული გეგმების პროექტების დაბალანსება და მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის დადგენილი წესით და ვადებში.

7. ყველა საგეგმო ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაქარბისათვის საჭირო პირობების შექმნა დაგეგმვის სრულყოფის, ეკონომიკური მეთოდების, ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების შეთვისებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან, მათს უსწრაფესად და მასშტაბურად გამოყენებას და



მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნამდვილად გადაქცევას კონსტრუქციად.

ამ მიზნით:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის საქართველოს სსრ მასალების დამუშავების პროცესში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამაზე დაყრდნობით, შეარჩიონ და დაასაბუთონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველაზე პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებანი, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების მრავალგზის ამაღლება, რესურსდაზოგვის თვისებრივად ახალი დონე. ამის საფუძველზე განსაზღვრონ დარგთაშორისი ხასიათის რესპუბლიკური მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ნუსხა და შემადგენლობა, აგრეთვე მოამზადონ წინადადებანი დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ნუსხისა და შემადგენლობისათვის;

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებათა შემუშავებისას გაითვალისწინონ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზები, განსაზღვრონ მუშაობის განხორციელების ეტაპები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სფერო და მასშტაბები;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებათა შესაბამისად გაითვალისწინონ ხუთწლიან გეგმებში ტექნიკურ სიანსულ ეთაგამოგონებათა, ლიცენზიათა, საბაზო ტექნოლოგიათა რეალიზაციისათვის საჭირო ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი;

გ) საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკური დარგთაშორისი სამეცნიერო და საინჟინრო ცენტრების. როგორც მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმის, დიდმნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწრაფ წინსვლას ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლეს დარგებში, განსაზღვრონ სახელმწიფო გეგმების შესაბამის განაყოფებში ამ ცენტრების, როგორც დამოუკიდებელი ობიექტების, განვითარების მიზნობრივი დავლებანი, სრულყოფილი ცენტრების საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა იქიდან გამომდინარე, რომ საჭიროა მათი მუშაობის შედეგების უფრო მჭიდრო დაკავშირება წარმოებასთან, ნამუშევართა ფართო ტირაჟირება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად;

დ) რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა უმნიშვნელოვანესი ნაწილის და ჩაითვალოს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა მაღალეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა. გადაიყვანონ ამ ორგანიზაციათა დაგეგმვისა და მართვის მთელი სისტემა სახელმწიფოებო ურთიერთობაზე საკონკურსო საწყისების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების მათი გამოყენებისა მიღებული ეფექტის შესაბამისად შემკვეთთა მიერ მეცნიერული ნამუშევრების ანაზღაურების პრინციპების გამოყენებით;

ე) რესპუბლიკის საწარმოებმა (გაერთიანებებმა) ფართოდ გამოიყენონ მეცნიერების საქარხნო სექტორის შესაძლებლობანი, აქტიურად მიიზიდონ სამეურნეო-ანგარიშიანი სახელმწიფოებო საწყისებზე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები წარმოების განვითარებისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად;

ვ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მ იმართლებად ჩაითვალოს სახალხო მეურნეობაში გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა ფართოდ გამოყენება. ამის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის დარგში სამუშაოთა განვითარებისადმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფართო კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. სისტემატურად განახორციელოს მიზანდასახული მუშაობა ამ დარგში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, საინფორმაციო-გამოთვლით მომსახურებაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის კომპიუტერების გამოყენების გასაუმჯობესებლად.

8. ინვესტიციების დაგეგმვის პრაქტიკის ძირეული სრულყოფის, ახალ სამეურნეო მექანიზმთან მისი ორგანული დაკავშირებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების რადიკალური გაუმჯობესების, მათი ეფექტიანობის ამაღლების, როგორც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობის, უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

— უზრუნველყონ მეცნიერული დასაბუთებულობა პერსპექტივისათვის საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრაში. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტს ფორმირებისას მოხმარებისა და დაგროვებისათვის ეროვნული შემოსავლის, საამორტიზაციო ფონდისა და კვლავწარმოების სხვა წყაროების გამოყენების პროპორციათა ღრმად დამუშავების საფუძველზე განსაზღვრონ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა და დაასაბუთონ საწარმოო და არასაწარმოო სფეროებსა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსებს შორის მისი განაწილება;

— სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით პერსპექტიული კაპიტალურ დაბანდებათა საეგმო მოცულობის განსაზღვრას საფუძვლიანადონ საზოგადოებრივი წარმოების პროგრესული სტრუქტურის მიღწევის, ხალხის კეთილდღეობის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების დასახული ტემპის უზრუნველყოფის აუცილებლობა;

— უზრუნველყონ ზეფულისანი გეგმების ფორმირებისას საინვესტიციო პოლიტიკის თვისებრივად ახალ მოთხოვნათა რეალიზაცია. შეიმუშაონ სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოების (გაერთიანებების) სამეურნეოანგარიშისანი ფონდებისა და მათ მიერ გამოყენებული კრედიტების ხარჯზე განსახორციელებელ არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ოპტიმალური შეხამების საფუძველზე საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდების შექმნის მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ გამოუშავებული ფონდების ხარჯზე მოქმედი წარმოების ტექნიკური კვალიფიკაცია, რეკონსტრუქცია და გაფართოება და საცხოვრებელსა და სხვა სოციალურ კეთილდღეობაზე შრომითი კოლექტივების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმომარაგებას, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს — შექმნან საწარმოთა სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მატერიალური რესურსებითა და საჭირო შემთხვევებში საიჯარო სამუშაოებით შეუფერხებელი და ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელისამეურნეო წესით მშენებლობის განვითარებას და უზრუნველყონ მისი მოთხოვნილება მატერიალურ რესურსებზე;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებსა (გაერთიანებებს) და ორგანიზაციებს — მომავლის ეკონომიკის ფორმირებაში საინვესტიციო პოლიტიკის განმსაზღვრელი როლიდან გამომდინარე იხელმძღვანელონ იმ გარდაუვალი მოთხოვნით, რომ გეგმებში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მშენებლობის ობიექტები, რომელთა საპროექტო და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები შეესაბამებიან უმაღლეს თანამედროვე და საპროგნოზო მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ მიღწევებს;

დ) საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს — გააძლიერონ მოთხოვნელობა საპროექტო ორგანიზაციებისადმი, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში საკონკურსო დაპროექტება: ამაღლონ რესპუბლიკის სახმშენის სისტემის ექსპერტიზის როლი და მნიშვნელობა;

ე) საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მეცა-

მეტე ხუთწლედის დაწყებამდე გადასინჯონ საწარმოებისა და ობიექტების პროექტებისა და მშენებლობის და ასამოქმედებელ სიმძლავრეთა განხილვის ვადების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტები, ამასთან მხედველობაში იქონიონ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების შესაბამისად საინვესტიციო ციკლის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება და ახალ საწარმოთა საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა.

9. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, გაერთიანებებმა (საწარმოებმა) და ორგანიზაციებმა პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, უზრუნველყონ გეგმებში შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან, მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დამაკმაყოფილებლად დაკავშირებული საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ:

— გემის ზემოქმედების გაძლიერებას მოხმარების სტრუქტურის რაციონალიზაციაზე და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის — წარმოებაში დასაქმებული პირების, ბავშვების, ახალგაზრდების, უფროსი ასაკის ადამიანების მოთხოვნების სპეციფიკურ თავისუფლებათა უფრო სრულად გათვალისწინებას, აგრეთვე რეგიონალურ და კლიმატურ პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ დოვლათის მოხმარების ხასიათზე, შემადგენლობასა და სტრუქტურაზე;

— სოციალური განვითარების დაგეგმვაში „ნარჩენობითი მიდგომის“ დაძლევას, აქტიური და სამართლიანი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით სოციალურ-კულტურულ სფეროს მატერიალური ბაზის უფრო დასაბუთებულად განლაგების უზრუნველყოფას საცხოვრებლით, საავადმყოფოებით, სკოლებით, საბავშვო ბაღებით, ლი სფეროს მატერიალური ბაზის უფრო დასაბუთებულად განლაგების უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივების საფუძველზე პერსპექტიული გეგმების ფორმირების გზით და გაითვალისწინონ მათი თანამიმდევრული და ეცაპობრივი მიღწევის ღონისძიებანი;

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ახალ საწარმოთა და წარმოებათა მშენებლობისა და მოქმედის რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელების დროს სოციალური ნორმატივების სავალდებულო გამოყენებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონა-



წილებით მიიღონ ზომები იმისათვის, რომ საკავშირო ორგანოებში მსარგებლო ნაღ და მუშავდეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიხედვით შემოღებული ნორმატივები, ხოლო საქირო შემთხვევებში — მოხდეს მათი დასაბუთებული დიფერენციაცია რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით;

— მართვის ყველა დონეზე გეგმების შემუშავებისას საწარმოო და სოციალური სფეროების და მთელი ინფრასტრუქტურის შეთანხმებული განვითარების პრინციპების განუხრელ დაცვას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე სახელმწიფო გეგმაში შესატანი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის ფორმირებისას გაითვალისწინონ ამავე დროს მიზნობრივი დანიშნულებით სახსრების გამოყოფა დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით სოციალური სფეროს შესაქმნელად ან განსავითარებლად;

— კოლექტივების სოციალური განვითარებისა და საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მიერ გამომუშავებული სახსრების განაწილების გეგმების დასაბუთების დონის ამაღლებას გამოყენების ძირითად მიმართულებათა მიხედვით. ამასთან მხედველობაში იქონიონ საცხოვრებლით, საბავშვო დაწესებულებებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური ბაზებით, სხვა სოციალური ობიექტებითა და მომსახურებით შრომითი კოლექტივების საარსებო მოთხოვნილებათა პირველ რიგში დაკმაყოფილება;

— კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაჩქარებულ განვითარებას, მოსახლეობის სახსრების აქტიურ გამოყენებას მისი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

10. დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად და გეგმის ხარისხის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ჩაითვალოს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის, მისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის სრული დაბალანსება შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მოცულობასთან. ამ მიზნით:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ხანგრძლივი და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს სამომხმარებლო საქონლის წარმოებასთან და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების დაჩქარებული განვითარება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბაზის გაჯერება ამ საქონლით (მომსახურებით), არსებითად ამაღლდეს მათი ხარისხი და გაფართოდეს ასორტიმენტი. თანამიმდევრულად გატაროს გეგმებში ის ხაზი, რომ ყოველი ღონისძიებით მიიზიდოს სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გასაწევად სახალხო მეურნეობის დარგების ყველა საწარმო, მათი პროფილისა და სპეციალიზაციის მიუხედავად. შექმნას კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ყოველმხრივი ვაშლისათვის საქირო პირობები;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახზანგის, სსრ კავშირის მოქმედების მმუნბანკის, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის, სსრ კავშირის ბინსოცბანკისა და სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკებმა. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— გააძლიერონ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის გეგმიანი რეგულირება საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის მოცულობის დინამიკასთან დაკავშირებით, იქიდან გამომდინარე, რომ გეგმაში გათვალისწინებული სოციალური ღონისძიებანი მთლიანად უნდა ქნეს განმტკცებული შემსახამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით;

— გაითვალისწინონ ეგვიმებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის დავალებათა უცილობლივ მთლიანად და გადაკარბებით შესრულება.

11. რესპუბლიკაში დაგეგმვის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეურნეობათა კომპლექსურ განვითარებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერება, ამ მეურნეობათა რაციონალური სპეციალიზაცია, შრომის ტერიტორიული განაწილების გაღრმავება.

რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებას საფუძვლად დაედოს საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების ტერიტორიული განაყოფები, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „საქართველო-2000-რეგიონები“ გამოკვლევის შედეგები, ამ რეგიონებში განლაგებულ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა ნამუშევრები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების გამო, არსებითად აამალონ ამ გეგმების შედგენის ხარისხი და მათში მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა.

12. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც მოიცავენ საქვეუწყებო ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა (გაერთიანებისა) და ორგანიზაციის განვითარებას, ამასთანაო ფართოდ გამოიყენონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის მინიჭებული უფლებანი. გეგმების შემუშავების პროცესში კოორდინაცია გაუწიონ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საქმიანობქას მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და შექმნან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოს ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო პირობები.



უფრო სრულად გაითვალისწინონ ტერიტორიულ დაგეგმვაში სახელმწიფო-ფიული პროცესები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უზრუნველყონ გეგმებში წარმოების განვითარებისა და მოსახლეობის ზრდას შორის უფრო მჭიდრო დამოკიდებულება ცალკეულ რეგიონებში, მიგრაციის პროცესთა მართვის მოქნილი ფორმების გამოყენება, მუშახელის ორგანიზებული შეგროვებისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით ერთი რეგიონიდან მეორეში მისი გადაადგილების სისტემის განვითარება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ შესაბამის ტერიტორიაზე შრომითი რესურსების გამოყენების ბალანსების შემუშავება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განაგრძოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო ობიექტების განვითარებისა და მომდევნო ზუსტადებში ახალი სამრეწველო ობიექტების განლაგების სქემების შემუშავების პრაქტიკა წარმოებაში ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების რეგიონალურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით.

13. ტერიტორიული დაგეგმვის ხარისხის ამაღლებისათვის აქტიურად იქნეს გამოყენებული აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საგეგმო ორგანოების შემქმედებითი პოტენციალი. გაძლიერდეს მათი როლი და პასუხისმგებლობა ადგილობრივი მეურნეობისა და სოციალური სფეროს განვითარების გეგმების შემუშავებისათვის, შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა (გაერთიანებისა) და ორგანიზაციის გეგმების კოორდინაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე რეგიონის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის.

14. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დასახული სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ყველა დონეზე გეგმების სრული დაბალანსების უზრუნველყოფის გადაუდებელი ამოცანის განუხრევი განხორციელების მიზნით დაევალოთ:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმომარაგებას, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებსა (გაერთიანებებს) და ორგანიზაციებს — გეგმების შემუშავებისას მჭიდროდ დაუკავშირონ საწარმოო და სოციალური სფეროს განვითარების პროგრამა ყოველგვარ რესურსებს — მატერიალურს, შრომითსა და ფინანსურს, უზრუნველყონ ურთიერთდაკავშირებული სახეობების წარმოებათა სიმძლავრეების საჭირო შეუღლება;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს — პრინციპულად ახალ დონეზე აიყვანონ საბალანსო მუშაობა, ამასთან მხედველობაში იქონიონ ეკონომიკის განვითარების ტემპისა და უმნიშვნელოვანესი პროპორციების ამსახველი სახალხო-სამეურნეო ბალანსების — საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ბალანსების, საფინანსო და საგადასახდელო ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსების, შრომითი რესურსების ბალანსების როლის გაძლიერება, ძირეულად გააუმჯობესონ მათი შემუშავების პრაქტიკა.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასრ და აჭარის ასრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ შეიტანონ საჭიროების კვალობაზე შესაბამის ზემდგომ ორგანოებში დადგენილებათა პროექტები ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და ზუთწლიანი გეგმების დამუშავების პროცესში მხოლოდ იმ პირობით, რომ წარდგენილი ღონისძიებანი დაკავშირებული იყოს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ სრულყო მატერიალური ბალანსების, როგორც დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალ პირობებში ეკონომიკის განვითარების ნატურალურ-ნივთობრივი დაბალანსების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის შედგენა.

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლასთან და პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით დაევალოთ საქართველოს სსრ სახმომარაგებას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშაონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისმართვისა და კონტროლის სისტემა.

16. საქართველო სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასრ და აჭარის ასრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

— უზრუნველყონ მეცამეტე ზუთწლედის დამდებისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე და მეორეული ნედლეულის, ვარჯისი ნარჩენებისა და წარმოების თანაპროდუქტების მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ



ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პირობებში მატერიალურ უზრუნველყოფაში დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთავარი წყარო სწორედ ეკონომიკის განვითარების ხარჯზე:

— საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს სახეობათა ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტების შემუშავებისას მაქსიმალურად აითვალისწინონ ამ რესურსების ხარჯვის ნორმირებს სრულყოფის საფუძველზე მათ ეკონომიკის შესაძლებლობანი.

მოკვთხოვს თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციას არსებითად გააუმჯობესოს მუშაობა ყოველგვარი მატერიალური რესურსების ნორმირებისათვის, ამასთან დაუკავშიროს იი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვის საფუძველზე რესურსდაზოგვისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაძლიერებას. გამოირიცხოს ახალი სახეობების ნაკეთობათა ტექნიკური პროექტების შემუშავებისა და წარმოებაზე დაყენების შემთხვევები ნედლეულისა და მასალების ხარჯვის პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმების არარსებობისას.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) გარდაქმნან საგარეო-ეკონომიკური კავშირთა თვითობის დაგეგმვა სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე სამინისტროთა და საწარმოთა საქმიანობის ორგანიზაციის ახალი პრინციპების შესაბამისად, ამასთან უზრუნველყონ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, როგორც სამინისტროთა, საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის განუყოფელი ნაწილის, დაგეგმვის შემდგომი სრულყოფა, ამავე დროს აქტიურად გამოიყენონ სავალუტო ანარიცხების ფონდის შექმნის ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები და გააძლიერონ დამოკიდებულება საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა შედეგებსა და საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა მუშაობის საერთო ეფექტიანობასა და მათი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობას შორის. აამაღლონ მთელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების კოორდინაციის გეგმების როლი და ეფექტიანობა. ხანგრძლივი ხასიათის მისცენ ამ გეგმებს;

ბ) გაითვალისწინონ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის გადიდება წარმოების ღრმა სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამიდან და ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე. ამასთან ყოველმხრივ გამოიყენონ ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი ახალი ფორმები, როგორცაა ფართო კოოპერაცია უცხოეთის საწარმოებთან და ფირმებთან, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშო-

რისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნა, აგრეთვე დიდმნიშვნელობის ერთობლივი მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

გ) გააძლიერონ პასუხისმგებლობა საგარეო ვაჭრების ოპერაციათა ორგანიზაციისა და ფექტიანობისათვის, სავალუტო ამონაგების გეგმის შესრულებისათვის, რესპუბლიკის საექსპორტო ბაზის განვითარებისათვის, გადამშენებელი დარგების მალაღფექტიანი პროდუქციის მიწოდების გადიდებისათვის, იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების დონის ამაღლებისათვის.

18. ამაღლდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლი დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფასწარმოქმნის, ფინანსების, შრომის ანაზღაურების, ფულის მიმოქცევის, კრედიტის დარგში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში და გაძლიერდეს მისი როლი რესპუბლიკის ყველა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოს საქმიანობის კოორდინაციაში.

ამ ფუნქციის განსახორციელებლად შეიქმნას ეკონომიკური საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მეთაურობით, და დეკისროს ამ საბჭოს დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების განხილვა, ეკონომიკის, მისი ცალკეული სფეროებისა და რეგიონების განვითარების პერსპექტივათა კომპლექსური პროგნოზების შედგენა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების ფორმირებისას შეთანხმებული პოზიციების შემუშავება და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება.

შეყვანილ იქნენ ზემოაღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით თსაქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

19. საგეგმო გადაწყვეტილებათა შემუშავების მეცნიერული ღონის ამაღლებისათვის საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ურთიერთკავშირი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობასთან საგეგმო პრაქტიკაში მათი ნამუშევრების უფრო სრულად გამრყენების მიზნით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გააუმჯობესონ დაგეგმვის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიზაცია, უზრუნველყონ კვლევის მეცნიერულ-თეორიული ღონისა და მისი პრაქტიკური მნიშვნელობის ამაღლება, ამასთან გან-



საკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ დარგში მეცნიერულ მიმართულებათა შერჩევასა და შეფასებას. უზრუნველყონ მეცნიერული ძალების განვითარება, ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, განაწილების პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური პროგრესის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის აქტიურ პრობლემათა კომპლექსურ გამოკვლევებზე.

უზრუნველყონ საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის ფართოდ გამოყენებისა და განვითარების პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების, დარგთაშორისი დაბალანსების მეთოდების დანერგვა დაგეგმვის პრაქტიკაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ ზომები საინფორმაციო ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის. უზრუნველყონ მისი უტყუარობის ამაღლება და ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის მისაწვდომობა.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გააძლიეროს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის, ადგილობრივი საგეგმო ორგანოების, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა საგეგმო სამსახურების საგეგმო მუშაობისადმი. საგეგმო დოკუმენტაციის ახალი მეთოდოლოგიური მითითებებისა და ფორმების შემოსვლის კვალობაზე უზრუნველყოს მათი დროულად და მთლიანად დაგზავნა შესაბამისი საგეგმო ორგანოებისათვის.

21. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა კრებსითი და ფუნქციონალური ეკონომიკური განყოფილებების როლის არსებითი ამაღლება. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმოკომიტეტის აპარატის სტრუქტურის ეფროდარგობრივი მიმართულების დაძლიება და სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის მუშაობის ორგანიზაცია სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით.

22. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიაში, ინტელმძღვანელოს რა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით:

ა) ძირითადად გარდაქმნას მუშაობა კადრების შერჩევის განაწილებისა და აღზრდისათვის, ამასთან მიიჩნიოს იგი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერების გადაწყვეტ საშუალებად. მიიღოს ქმედითი ზომები მუშაკთა პროფესიული დონის ასაშლელად, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, საქართველოს სსრ სახელმ

წიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე დასახული ახალი ამოცანების წინებით;

ბ) გააუმჯობესოს მუშაობა დასაწინაურებელი კადრების რეზერვის მოსამზადებლად. დააკომპლექტოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი პოლიტიკურად მომწიფებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით შეაფასონ სახალხო მეურნეობაში არსებული მდგომარეობა, დაინახონ მისი განვითარების პერსპექტივები და ეფექტიანი გზები, უზრუნველყონ შერჩევანი საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომა საგეგმო საკითხებისადმი, თანამიმდევრულად და დაუცხრომლად განახორციელონ პარტიისა და შთაერთვის გადაწყვეტილებანი;

გ) ღრმად გადაწყვიტოს კადრების განახლების საკითხები, მიადწიოს იმს, რომ უფროს თაობათა მაღალკვალიფიციური კადრების გვერდით შრომობდნენ და გამოცდილებას იძენდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკები;

დ) აამაღლოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების ქმედითობა და როლი მათი ინიციატივისა და აქტიურობის განსავითარებლად. მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ვასაძლიერებლად, კადრებისადმი მომთხოვნელობის ასამაღლებლად.

23. განუწყვეტლივ დაიხვეწოს საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისარგმა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობის გაძლიერების ეფექტიანი მეთოდების შესწავლას. ამ მიზნით განხორციელდეს შესაბამისი მუშაობა იმისათვის, რათა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საგეგმო სამსახურების ხელმძღვანელი კადრები და სპეციალისტები გაგზავნილ იქნენ საგეგმო ეკონომიკურ აკადემიაში, რომელიც იქმნება სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 816 დადგენილების შესაბამისად სრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მისი უმაღლესი ეკონომიკური კურსების ბაზაზე.

24. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტიულმა კომიტეტმა:

ა) დაუცხრომლად იბრძოლოს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სრულყოს პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები, წარმართოს კომუნისტებისა და ყველა მუშაკის ღონისძიებანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დანიჭარებისათვის პარტიის სტრატეგიული კურსის სარეალიზაციოდ;

ბ) აამაღლოს პარტიული ორგანიზაციის როლი და აქტიურობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ამ საქმეში საჯაროობის გაძლიერებისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის;



გ) გააუმჯობესოს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენება მთლიანად სახელმწიფო-ტივში, წარმართოს იგი მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, იდეური სიმწიფის, დისციპლინის განუხრელი დაცვის სოციალისტური მო-რალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრებისადმი შეუზღუდავად სულის-კვეთებით მუშაკთა აღსაზრდელად.



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭო, აღნიშნავენ რა დაგეგმვისა და მთლიანად სამეურნეო მექა-ნიზმის გარდაქმნის დარგში მომავალი ამოცანების დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობასა და მასშტაბურობას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათს წარმატებით რეალიზაციას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ლო-ნისძიებანი უნდა განხორციელდეს თანამიმდევრულად და ეტაპობრივად საჭი-რო ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრების შექმნის კვალობაზე. ამოცანა ის არის, რომ მეცამეტე ხუთწლიანი გეგმა შემუშავდეს დაგეგმვის ახალი პრინციპებისა და სამეურნეო მართვის მეთოდების სრული შესაბა-მისობით.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭო ავალებენ საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხ-რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს. საქართველოს სსრ სამინისტ-როებსა და უწყებებს, საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებს, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები დაგეგმვის სისტემის წარმატებით გარდაქმნისათვის, პრაქტიკაში მეურნეობის გაძღოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების აქტიური დანერგვისათვის სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადა-წყვეტილებათა განხორციელების მიზნით.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნიკოლსკი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩარქეზია**

სკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 816

1987 წლის 17 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში დაგეგმვის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ

სკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, გეგმიანი მართვა სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და უპირატესობაა, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია, მასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში მოპოვებული ყველა მიღწევა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის განვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პროგრამა. მისი განხორციელების ორგანულ ნაწილად პლენუმმა განსაზღვრა დაგეგმვის მთელი სისტემის ძირეული გარდაქმნა.

დაგეგმვის დამკვიდრებული სისტემა არ შეესაბამება ახალ მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებსა და პირობებს. იგი გახდა მუხრუჭი მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, დაჩქარების მექანიზმის შექმნის გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარებას უპირატესად ხარისხობრივი ფაქტორებიც ხარჯზე. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო მუშაობასა და საქმიანობაში გაჩნდა სერიოზული ნაკლოვანებანი: ფართოდ განვითარდა გეგმიან მეურნეობასთან შეუთავსებელი მოვლენები. შესუსტდა გეგმის შემუშავების მეცნიერული საფუძვლები, გაძლიერდა სუბიექტივისტური მიდგომა დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი. ძირი ეთხრებოდა დაგეგმვის ფუძემდებელ პრინციპს — განვითარების დაბალანსებასა და პროპორციულობას, წარმოიქმნა დიდი დისპროპორციები სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალში და ფულის მიმოქცევაში.

შემცირდა საგეგმო დისციპლინა, მასობრივი ხასიათი მიიღო გეგმების კორექტირებამ. ფართოდ გავრცელდა პრაქტიკა მრავალრიცხოვან დადგენილებათა მიღებისა, რომლებიც ითვალისწინებენ ცალკეული დარგობრივი და



რეგიონალური საკითხების გადაწყვეტას ეკონომიკის რეალურ უზრუნველყოფაში გაუთვალისწინებლად. ყოველივე ეს ასუსტებდა გეგმის მამობილიზებულ როლს და მის გაღვინას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, აღიერებდა ნეგატიურ ტენდენციებს სახალხო მეურნეობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაადგა დაგეგმვაში მეტისმეტი ცენტრალიზაციის, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობის მაგვირობის გაწვევის გზას, თვითონ კისრულობდა კერძო, ოპერატიული საკითხების გადაწყვეტას, დისპეტჩერულ ფუნქციებს. მისი ღონისძიებანი უმთავრესად ხმარდებოდა წლიური დაგეგმვის საკითხებს ხუთწლიანი გეგმების უფრო ღრმა დამუშავებისა, და სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის საზიანოდ. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები სუსტად ემყარებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდ მიღწევებს, ვერ უზრუნველყოფდა მეცნიერებატევად წარმოებათა უპირატეს ზრდას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარებას. საქმარისი დაბეჭითებით არ ხორციელდებოდა რესურსდაზოგვის ხაზი.

საგეგმო მუაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა სოციალური სფეროს განვითარების აშკარა შეუფასებლობა. ამ მიზნისათვის რესურსები გათვალისწინებული იყო, როგორც წესი, ერგეთ წოდებული ნარჩენობითი მეთოდის მიხედვით. საწარმოო და სოციალური განვითარების პროცესები გეგმებში ერთად არ იყო დაკავშირებული. სერიოზული ნაკლოვანებები გროვდებოდა საწარმოო ძალთა განლაგებაში, ირღვეოდა ცალკეული რეგიონების კომპლექსური განვითარების პრინციპი, რაც ბევრად ტერიტორიული დაგეგმვის დაბალი ღონის შედეგს წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი ხარვეზები იქნა დაშვებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვაში. მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა და გაუარესდა კიდევაც ექსპორტისა და იმპორტის სისტემა.

არსებითად შესუსტდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მათრგანიზებელი როლი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საქმეში. დაგეგმვისადმი მის მიდგომაში ჭარბობდა ისეთი მეთოდები, რომლებიც ზღუდავდნენ შრომითი კოლექტივების ინიციატივას, ამცრებდნენ მათს პასუხისმგებლობას მაღალი შედეგების მიღწევისათვის და საბლოო ანგარიშით წარმართავდნენ ეკონომიკის განვითარებას ექსტენსიური გზით. დაგეგმვაში ჭეროვანი გამოყენება ვერ ჰპოვეს თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკურმა მეთოდებმა და გამოთვლითმა ტექნიკამ. შემცირდა მომთხოვნელობა საგეგმო ორგანოთა კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, მათი პროფესიული ღონისადმი.

სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, რომ სკვპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელება მოითხოვს დაგეგმვის ძირეულ გარდაქმნას, დაგროვილ ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრას, საგეგმო ორგანოების, უწყინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქმედი სისტემის შექმნის შესახებ სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმს პრინციპული მითითებად გამომდინარე, საჭიროა ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე რადიკალურად შეიცვალოს გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, შეუსაბამდეს ისინი სსრ კავშირის კანონის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

უნდა ამაღლდეს გეგმის ხარისხი და მათგან უზღვევლი როლი, გაიზარდოს მისი ავტორიტეტი, არსებითად გაუმჯობესდეს საგეგმო ორგანოების მუშაობის შინაარსი და სტილი, ნამდვილად განხორციელდეს ლენინური მითითება ქვეყნის სამეცნიერო-ეკონომიკურ შტაბად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გადაქცევის შესახებ.

სკვპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. ყველა საგეგმო ორგანოს, უწყინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განუხრელი განხორციელება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, აქტიური სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის გატარების საფუძველზე ეკონომიკური ზრდისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ახალი დონის მიწვევის მიზნით.

განხორციელონ გადამწყვეტი გადასვლა მთელი საგეგმო მუშაობის ორგანიზაციაში უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა საქმიანობისათვის საჭირო პირობები, გააძლიერონ გეგმების შემუშავების მსვლელობაში საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა დაინტერესება პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის ამაღლების, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის თავიანთი რეზერვებისა და შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრული გამოყენებით.

1. დაგეგმვის სისტემის სრულყოფა და მისი დემოკრატიული საფუძვლების გაფართოება

2. სახალხო მეურნეობის განვითარებაზე გეგმიანი ზემოქმედების გასაძლიერებლად საჭიროდ ჩაითვალოს ძირეულად შეიცვალოს სახელმწიფო გეგ-

მების ფორმირების სისტემა, ამალღდეს ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემით, გადაჭრით გაფართოვდეს საწარმოთა (გაერთიანებათა) ცენტრალიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის ფარგლები სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, მართვის ფართო დემოკრატიზაციის პრინციპებით მათი მუშაობის ახალი პირობების შესაბამისად, რათა შრომითი კოლექტივები ნამდვილად გახდნენ აქტიური შემოქმედნი ევგმებისა, რომლებშიც ორგანულადაა შეხამებული სახელმწიფოს, საწარმოთა, როგორც სოციალისტურ საქონელმწარმოებელთა, ინტერესები და თითოეული მუშაკის პირადი ინტერესები.

უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმვის მეცნიერული დონის არსებითი ამაღლება სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესთა ღრმა ანალიზის, სოციალიზმის ობიექტების ეკონომიკური კანონებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მითითებათა მოთხოვნების გათვალისწინებით. გაფართოვდეს დაგეგმვის ჰორიზონტი, მიღწეულ იქნეს მართვის ყველა დონეზე გეგმების შემუშავებაში მჭიდრო ურთიერთკავშირი, საგეგმო მანევენბელთა ზუსტი ორიენტაცია საზოგადოებრივი წარმოების მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის.

პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის ოპტიმალური შეხამების, მისი უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის მიზნით განხორციელდეს გადასვლა გეგმები სისტემის შემუშავებაზე, რომელიც შეიცავს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიან ძირითად მიმართულებებს და სრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარებს სახელმწიფო ხუთწლიან გეგმას წლების მიხედვით დავალებათა განაწილებით.

3. გეგმებში პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის თანამიმდევრული განსახიერების, მისი განხორციელების პრინციპული გზებისა და საშუალებების განსაზღვრის მიზნით შემუშავდეს სახალხო მეურნეობის პერსპექტივების საწყისი სამეურნეო-პოლიტიკური პლატფორმის სახით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის კონცეფცია.

კონცეფცია უნდა შეიცავდეს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტთა და მიზანთა ნაკრებს. განსაზღვრავდეს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებებს, სოციალური განვითარების მიზნებს, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების ამოცანებს.

სრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტი უნდა ემყარებოდეს სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას, დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ

პროგრამებს, ხანგრძლივ სახალხო-სამეურნეო პროგრამებს, სსრ კავშირის მინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საკავშირო საბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, რეგიონალურ ნაშუქებებს, აგრეთვე მეცნიერულ გამოკვლევებსა და დემოგრაფიულ პროგნოზებს.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტს შეიმუშავეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, თვალსაჩინო მეცნიერებათა და სპეციალისტთა მიზიდვით, კონცეფციის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისათვის ხელმძღვანელობის მუდმივი ორგანოები.

კონცეფციის პროექტი შეიტანება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი წლისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული კონცეფცია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის მომზადებისათვის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას წარმოადგენს. ყოველი ხუთი წლის შემდეგ, სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების გათვალისწინებით, კონცეფცია დაზუსტდება, დამატებით დამუშავდება და გაგრძელება მორიგი ხუთწლეულისათვის.

4. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადმა მიმართულებებმა მატერიალიზებული უნდა გახადონ კონკრეტული ციფრებითა და დავალებებით პარტიის ეკონომიკური სტრატეგის, განსაზღვრონ 15 წლიანი პერიოდისათვის საზოგადოებრივი წარმოების ტემპი, პროპორციები, სტრუქტურა, მისი ინტენსიფიკაციის გზები, სახალხო-სამეურნეო კომპლექსების, დარგებისა და რეგიონების განვითარება, პრიორიტეტული მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულებანი და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა.

ძირითადი მიმართულებანი შემუშავდეს ხუთწლეულების მიხედვით განაწილებით და გათვალისწინებულ იქნეს პირველი ხუთწლეულისათვის სახალხო-სამეურნეო კომპლექსების, დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების სამისამართო, წლების მიხედვით გაშლილი, მაჩვენებლები.

ძირითად მიმართულებათა პროექტს შეიმუშავეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით და წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მორიგ ხუთწლედამდე წელიწად-ნახევრით

ადრე. პროექტის მომზადების მსვლელობაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ ორგანოებთან და იზიდავს ამ მუშაობაში წამყვან გაერთიანებებს, საწარმოებს, საპროექტო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს.

დადგენილი წესით მოწონებული ძირითად მიმართულებათა პროექტი გამოიტანება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და წარმოადგენს საწყის ბაზას მორიგი ხუთწლიანი გეგმის შესამუშავებლად.

5. დაწესდეს, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის და სამინისტროთა, უწყებათა, მოკავშირე რესპუბლიკათა, ადგილობრივ ორგანოთა, საწარმოთა (გაერთიანებთა) და ორგანიზაციათა მთელი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის მთავარ ფორმას წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს, პროპორციებს, ეფექტიანობას.

ძირეულად გარდაქმნას ხუთწლიანი გეგმების შემუშავების ორგანიზაციის პრინციპები და მათში დასამტკიცებელი მაჩვენებლების შემადგენლობა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული მათი ხარჯვასაწინააღმდეგო ხასიათის გაძლიერება. ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივი ორგანოების, სსრ კავშირის ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი ორგანოების, საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ხუთწლიანი გეგმების შემუშავების ხარისხისათვის, მათი დაბალანსებისა და წლების მიხედვით მაჩვენებლების დასაბუთებული განაწილებისათვის.

6. შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის და წარმოების გაძლიერებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის მათი შესაძლებლობებისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის ფორმირების დემოკრატიული საფუძვლების გაფართოება. ამ მიზნით არსებითად ამაღლდეს დაგეგმვის მთელ სისტემაში ძირითადი რგოლის როლი. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის იმ დებულების ზუსტი შესაბამისობით, რომ თავიანთ ხუთწლიან გეგმებს საწარმოები (გაერთიანებები) შეიმუშავებენ და ამტკიცებენ დამოუკიდებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა მოწონებული პროექტის შესაბამისად შეიმუშაოს და მორიგი ხუთწლიური დაწესდეს არა უგვიანეს ერთი წლისა დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაგეგმვის საწყისი მონაცემები, როგორც ხუთწლიანი გეგმის ფორმირების საფუძველი. საკონტროლო ციფრები, სახელმწიფო შეკვეთები, სტაბილური ეკონომიკური

ნორმატივები და ლიმიტები. სსრ კავშირის სამინისტროები, უწყვეტად კავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, წარმოების შინადაარგობრივი და რეგიონალური დაბალანსების უზრუნველყოფის და მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებიდან გამომდინარე, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სპეციფიკის გათვალისწინებით, დაუგზავნიან მათ ერთი თვის ვადაში დაგეგმვის საწყის მონაცემებს, როგორც ხუთწლიანი გეგმების ფორმირების საფუძველს. საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგრძლივ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს.

ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ:

ა) საკონტროლო ციფრები ასახევენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, წარმოების ეფექტიანობის მინიმალურ დონეს. ისინი არ ატარებენ საღირებულებულ ხასიათს, არ უნდა ბოკავდნენ შრომით კოლექტივს გეგმის შემუშავებისას, უნდა უტოვებდნენ მას ფართო გასაქანს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას გადაწყვეტილებათა და პარტნიორთა შესარჩევად. საკონტროლო ციფრები შეიცავენ პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოების მაჩვენებელს ღირებულებითი გამოსატულებით (გაანგარიშებით) ხელშეკრულებათა დასადებად, მოგებას (შემოსავალს), სავალუტო ამონაგებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან საერთო მაჩვენებლებსა და სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლებს. ახალი სამეურნეო მაქინიზმის ათვისებისა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის დამთავრების პერიოდში საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის მასალატევადობის მაჩვენებლები. შეკვეთებისა და ხელშეკრულებების შესრულება საწარმოთა (გაერთიანებათა და ორგანიზაციათა) საქმიანობის შეფასებისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია;

ბ) სახელმწიფო შეკვეთები უზრუნველყოფენ უპირველეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მიეცემათ საწარმოებს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საწარმოთ სიმძლავრეთა და სოციალური სფეროს ობიექტების ასამოქმედებლად, აგრეთვე უწინარეს ყოვლისა, საერთო-სახელმწიფოებრივი, სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შესრულებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისათვის საჭირო ზოვიერთი სახეობის პროდუქციის მისაწოდებლად. სახელმწიფო შეკვეთები მიეცემა საწარმოს ზემდგომი ორგანოს მიერ და შეიძლება განაწილდეს საკონკურსო საფუძველზე; ისინი სავალდებულოა გეგმაში შესატანად. სახელმწიფო შეკვეთების მიცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხარეების — შემსრულებლებისა და შემკვეთების ურთიერთობასუხისმგებლობა.

სახელმწიფო შეკვეთები სახალხო მოხმარების სამრეწველო-საქონლის საწარმოებლად განისაზღვრება, როგორც წესი, განსაკუთრებულ სპეციალური მნიშვნელობის მქონე ამ საქონლის ცალკეული სახეობებისათვის (ჯგუფებისათვის).

ბაზრის ვაჭარებისა და ახალი სამეურნეო მექანიზმის ქმედითობის ამალღების კვალობაზე შემცირდეს სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობა და მოცულობა და განხორციელდეს გადასვლა საწარმოთა მიერ პროდუქციის სულ უფრო დიდი ნაწილის წარმოების დამოუკიდებლად დაგეგმვაზე მომხმარებლებთან პირდაპირი სამეურნეო კავშირუროთიერთობისა და სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ბაზრობათა შედეგების საფუძველზე;

გ) ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები სტაბილურია მთელი ხუთწლედის განმავლობაში და უზრუნველყოფენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მჭიდრო კავშირს საწარმოთა სამეურნეო-ანგარიშიან ინტერესებთან. ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავენ ბიუჯეტთან ურთიერთობას, ხელფასის ფონდის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას და საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სხვა მხარეებს და განისაზღვრება რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ეკონომიკურმა ნორმატივებმა უნდა შექმნან საწარმოთა საქმიანობის ისეთი ეკონომიკური პირობები, როდესაც მათთვის ხელსაყრელია ეძიონ მოთხოვნის რაც შეიძლება ეფექტიანი დაკმაყოფილების, პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხარისხის ამალღების გზები, შეასრულონ სახელმწიფო შეკვეთები, ვაივინენ საკონტროლო ციფრებზე, აქტიურად დანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ახალ სამეურნეო მექანიზმთან შეუთავსებლად ჩაითვალოს საწყისი ბაზის მიხედვით მათი დაწესების ცდები, დანაწევრება წლებისა და ხარჯების მუხლების მიხედვით, შეცვლა მოცულობის დავალებებით.

საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებს ეკონომიკურ ნორმატივებს უმტკიცებენ ზემდგომი ორგანოები დროულად, ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დაწყებამდე;

დ) ლიმიტები აწესებენ სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის შესაბამისად დარგთაშორის წარმოებათა განვითარების, ახალი მშენებლობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და სიაჯარო სამუშაოთა მოცულობის, წარმოებისა და მშენებლობის მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ზღვრულ ოდენობას. საბითუმო ვაჭრობის განვითარების კვალობაზე მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული განაწილების სფერო ვიწროვდება,

საწარმოსათვის დასაწესებელი საკონტროლო ციფრების, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებია და ლიმიტების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ზემდგომ ორგანოს უფლება არა აქვს დაუგზავნოს საწარმოებს საკონტროლო ციფრები, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები დამტკიცებული ნუსხის გადამეტებით.



სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას აწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობას — ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების ხაზით (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა სახელმწიფო შეკვეთების გარდა) სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

გეგმების ფორმირებისათვის საწყისი მონაცემები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. მათ შესაბამისად, აგრეთვე მომხმარებელთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოთა პირდაპირი შეკვეთების მიხედვით საწარმოები (გაერთიანებები) დებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს, ადგენენ და ამტკიცებენ ხუთწლიან გეგმებს და წარუდგენენ მათ ზემდგომ ორგანოებს დარგობრივი და ტერიტორიული ზუთწლიანი გეგმების ფორმირებისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიების მიხედვით გეგმათა პროექტების ფორმირების პროცესში ეწევიან საწარმოებთან (გაერთიანებებთან) და ორგანიზაციებთან სისტემატურ მუშაობას, რომლის მიზანია საკონტროლო ციფრებითა და სახელმწიფო შეკვეთებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიღწევა. ისინი ახორციელებენ საქვეუწყებო საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა შორის პროექტების დაკავშირებას, შინა-დარგობრივ კოორპირებულ მიწოდებასა და კავშირურთიერთობას, უზრუნველყოფენ დარგობრივი და ტერიტორიული გეგმების პროექტების დაბალანსებას და წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამზადებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ყველა განყოფისა და მაჩვენებლის მიხედვით დაბალანსებულ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტს (წლების მიხედვით განაწილებით), ურთიერთმოქმედებს მთელ ამ მუშაობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომალექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ კომისიებთან და წარუდგენს მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 თვისა.

7. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ხუთწლიანი გეგმის შემუშავებაში საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების პირობებში, აგრეთვე მისი შესრულების მსვლელობაში შრომითი კოლექტივების მყარი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წლიური დაგეგმვის პრაქტიკა შეესაბამებოდეს მეურნეობის გაძლიერების ახალ მექანიზმსა და ხუთწლიანი გეგმის სტაბილურობის პრინციპს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს, მოკავშირე-ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო წლიური გეგმების, როგორც დაგეგმვის დამოუკიდებელი ფორმის, ყოველწლიური შემუშავებისა და დამტკიცების დამკვიდრებული პრაქტიკა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ წლიური გეგმები ყოველთვის ახლად კი არ შემუშავდება, არამედ მთლიანად ემყარება ხუთწლედის შესაბამისი წლის მაჩვენებლებს.

საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები დაწესებულ ვადებში დამოუკიდებლად გეგმავენ მომავალი წლისათვის პროდუქციის გამოშვებას, სამუშაოთა და მომსახურების შესრულებას, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა მაჩვენებლებს, თავიანთი ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე, წყვეტენ რესურსებითა და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს შესაბამის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან.

საჭიროების კვალობაზე საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები წყვეტენ ამ საკითხებს სამინისტროებთან, უწყებებთან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებთან, აზუსტებენ ან დებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს მომხმარებლებთან და მიმწოდებლებთან, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის ხაზით ითვისისწინებენ საბითუმო ბაზრობათა შედეგებს.

სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განიხილავენ საწარმოთა, (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა წინადადებებს მომავალი წლისათვის წარმოების შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, იღებენ გადაწყვეტილებებს სამეურნეო საქმიანობის წამოკრილ საკითხთა გამო და სსრ კავშირის სახმომარაგებთან ერთად შეიმუშავენ საჭირო ღონისძიებებს შესაბამისი დარგების პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი:

ახორციელებს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ წარდგენილი მომავალი წლის წინადადებათა და ხუთწლედის დაზუსტებათა ყოველმხრივ ეკონომიკურ ანალიზს, განსაზღვრავს ამ წინადადებათა შესაბამისობას სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმასთან, უწინარეს ყოვლისა, საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, სახელმწიფო შეკვეთებთან და წარმოების ეფექტიანობის ზრდასთან;

სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ სამეურნეო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს სისტემურ მუშაობას წარდგენილ წინადადებათა განსახილველად, მათ დასაკავშირებლად და, ახალი ამოცანებისა და შეცვლილი სამეურნეო პირობების

გათვალისწინებით, შეაქვს საჭირო დაზუსტებანი ხუთწლიანი გეგმების ნებლებში ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების მიზნით;

შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბალანსებს, აყალიბებს შესაბამისი წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმებს.

ამის საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს და მორიგი წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 თვისა წარმოუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებას განვილი პერიოდში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ და წინადადებებს მომავალ წელს მისი შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული მოხსენება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ შეიტანება სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სსრ კავშირის შე' აბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად.

დაწესდეს, რომ სამკურნეო ხელმძღვანელობის ყველა დონეზე ხუთწლიანი გეგმის შესრულება ფასდება ხუთწლედის დამდევიდან მზარდი შედეგით.

8. გაფართოვდეს საჯაროობა დაგეგმვის ორგანიზაციის მიერ სისტემაში, შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების ფართოდ განხილვა, რომლებიც ქვეყნის, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის ინტერესებს ეხება. საჭიროდ ჩაითვალოს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის მსხვილმასშტაბური მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გამოტანა, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო რესურსების გამოყენებას მოითხოვს.

ძირეულად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმაცია გეგმების შემუშავებისა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ, უზრუნველყოფილ იქნეს გეგმების ფართოდ განხილვა შრომითს კოლექტივებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში საზოგადოებრივი აზრის უფრო სრულად გათვალისწინების მიზნით, იმ უცილობელი ფაქტის გათვალისწინებით, რომ გეგმების წარმატებით განხორციელება რეალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ყველა მშრომელმა აღიქვა კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად:

II. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობისა და ხარისხი ამაღლება

9. დაწესდეს, რომ თანამედროვე პირობებში გეგმების ხარისხი, მათი შემოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე



გადამწყვეტწილად განისაზღვრება გეგმიან ეკონომიკასთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შეერთების ამოცანების პრაქტიკული განხორციელებით, სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარებით, დარგობრივი და რეგიონალურ პრობლემათა კომპლექსური გადაჭრით, ეკონომიკური ზრდის ყოველმხრივი დაბალანსების უზრუნველყოფით საწარმოო პოტენციალისა და მთელი რესურსების გამოყენების მაღალი ეფექტიანობის, აგრეთვე ეკონომიკის განვითარების ახალი პირობების შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის მუდმივი სრულყოფის საფუძველზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის სრულყოფა

10. ყველა საგეგმო ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარებისათვის საჭირო პირობების შექმნა დაგეგმვის სრულყოფის, ეკონომიკური მეთოდები, ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების შეთვისებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან, მათს უსწრაფესად და მასშტაბურად გამოყენებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნამდვილად გადაქცევას გეგმების მზიდ კონსტრუქციად.

11. ძირეულად გადაისინჯოს მართვის ყველა დონეზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების შინაარსი და შემადგენლობა, ამასთან გავალისწინებულ იქნეს შემდეგი:

სახალხო-სამეურნეო დაგეგმვა ძირითადად წარიმართოს საზოგადოებრივი წარმოების გამარევილი მუშაობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებათა, დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამათა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის სარეალიზაციოდ, აგრეთვე დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების განსაფიქრებლად;

დარგობრივი დაგეგმვა წარიმართოს პერსპექტიული ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, პრინციპულად ახალ სახეობათა პროდუქციის გამოსაშვებად და თითოეულ დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და პროგრესული ტექნოლოგიების ფართომასშტაბური გამოყენების უზრუნველსაყოფად;

საწარმოებსა და ვაერთიანებებში დაგეგმვა დაქვემდებაროს წარმოების ტექნიკური დონის სისტემატური ამაღლების, პროდუქციის განახლების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანას.

12. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის შემუშავების პროცესში შეარჩიონ და დაასაბუთონ მეცნიერებისა

და ტექნიკის განვითარების ყველაზე პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებანი, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების მრავალგზის ამაღლება, რესურსდაზოგვის თვისებრივად ახალი დონე. ამის საფუძველზე განსაზღვრონ დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ნუსხა და შემადგენლობა.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზები, განისაზღვროს სამუშაოთა განხორციელების ეტაპები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სფერო და მასშტაბები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა შესაბამისად გაითვალისწინონ ხუთწლიან გეგმებში ტექნიკურ სახალხო, გამოგონებათა ლიცენზიათა, საბაზო ტექნოლოგიათა რეალიზაციისათვის საქირო ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი.

უარყოფილ იქნეს სახელმწიფო გეგმებში დაქსაქსულ დავალებათა დაწესების პრაქტიკა, რომლებიც განსაზღვრავენ კერძო საკითხების გადაწყვეტას, და შემოღებულ იქნეს განწმინდადებული მაჩვენებლების დამტკიცება, რომლებიც ახასიათებენ სახალხო-სამეურნეო დონეზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგიანობას — საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდა, წარმოების მასალატევადობისა და ენერგიატევადობის შემცირება, მისი ტექნიკური ღონისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

13. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მხედველობაში მიიღოს დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების, როგორც მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ყველაზე ეფექტიანი ფორმის, წამყვანი როლი, რაც უზრუნველყოფს სწრაფ წინსვლას ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლეს დარგებში, და გაითვალისწინოს სახელმწიფო გეგმების შესაბამის განყოფნებში ამ კომპლექსების, როგორც დამოუკიდებელი ობიექტების, განვითარების მიზნობრივი დავალებანი. სრულყოფს მათი საქმიანობის რაგეგმვის პრაქტიკა იმ აუცილებლობიდან გამომდინარე, რომ კომპლექსში შემავალ ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მთლიანად კომპლექსის საქმიანობის საბოლოო შედეგს, აგრეთვე ფართოდ იქნეს ტირაჟირებული მისი ნამუშევრები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად.

14. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესრულებისა და ამ პროგრამის დავალებათა და ღონისძიებათა შესაბამისად შემუშავებული და ათვისებული ახალი ტექნოლოგიითა და ტექნიკით სსრ კავშირისა და თა-



ნამეგობრობის დაინტერესებული ქვეყნების სისხლზე მეურნეობის განვითარების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ფორმირებისას უზრუნველყონ ამ პროგრამის დავალებათა რეალიზაცია, ამასთან გაითვალისწინონ საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები.

15. სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით, ამროექტო-საკონტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა მაღალეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა. გადაიყვანონ ამ ორგანიზაციათა დაგეგმვისა და მართვის მთელი სისტემა საკონკურსო საწყისების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, მეცნიერული ნამუშევრების გამოყენებისას ეფექტის შესაბამისად შემკვეთთა მიერ მათი ანაზღაურების პრინციპების გამოყენებით სახელშეკრულებო ურთიერთობაზე.

საწარმოებმა (გაერთიანებებმა) ფართოდ გამოიყენონ მეცნიერების საქარხნო სექტორის შესაძლებლობანი, აქტიურად მიიზიდონ სამეურნეო-ანგარიშის სახელშეკრულებო საწყისებზე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები გამოსაშვები პროდუქციის წარმოების განვითარებისა და ხარისხის ამაღლების ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

საწარმოთა (გაერთიანებათა) მიერ გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებაზე ცენტრალიზებული გეგმიანი ზემოქმედების გასაძლიერებლად საჭიროდ ჩაითვალოს დამტკიცდეს სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობაში უმნიშვნელოვანეს სახეობათა ახალი პროდუქციის ათვისების დავალებანი.

ინვესტიციების დაგეგმვის გარდაქმნა

16. მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლის პირობებში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა ძირეულად გადასინჯონ ინვესტიციების დაგეგმვის პრაქტიკა, ორგანულად დაუკავშირონ იგი ახალ სამეურნეო მექანიზმს და უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების რადიკალური გაუმჯობესება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობა.

17. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მეცნიერული დასაბუთებულობა პერსპექტივისათვის საინ-



ვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრაში სსრ კავშირის ეკონომიკური ვადკენების
 ლური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებებზე
 ტის ფორმირებისას მოხმარებისა და დაგროვებისათვის ეროვნული შემოსავ-
 ლის გამოყენების პროპორციებს ღრმა დამუშავების, სამორტიზაციო ფონ-
 დისა და კვლავწარმოების სხვა წყაროების საფუძველზე განსაზღვრონ კაპიტა-
 ლურ დაბანდებათა საერთო მოცულობა და დასაბუთონ მისი განაწილება სა-
 წარმოო და არასაწარმოო სფეროებსა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსებს
 შორის.

კომპლექსების მიხედვით პერსპექტივისათვის კაპიტალურ დაბანდებათა
 საგეგმო მოცულობის განსაზღვრას საფუძველად დაუდონ საზოგადოებრივი
 წარმოების პროგრესული სტრუქტურის მიღწევის, ხალხის კეთილდღეობის
 ზრდისა და ეკონომიკის განვითარების დასახული ტემპის უზრუნველყოფის
 აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით უარყონ სახალხო მეურნეობის მიხედ-
 ვით კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში მათი წინასწარ ფიქსი-
 რებული და უცვლელი წილის ცალკეულ კომპლექსებში დაწესების დამკვიდ-
 რებული პრაქტიკა.

18. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამი-
 ნისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებ-
 მა უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმების ფორმირებისას საინვესტიციო პოლი-
 ტიკის თვისებრივად ახალი მოთხოვნების რეალიზაცია. შეიმუშაონ სახელმწი-
 ფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოების (გაერთიანე-
 ბების) ამეურნეოანგარიშიანი ფონდებისა და მათ მიერ გამოყენებული კრედი-
 ტების ხარჯზე განსახორციელებელ არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბან-
 დებათა ოპტიმალური შეხამების საფუძველზე საწარმოო და სოციალური გან-
 ვითარების ფონდების შექმნის მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი
 ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები, იქიდან გამომდინარე, რომ საწარმო-
 ებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ გამომუშავე-
 ბული ფონდების ხარჯზე მოქმედი წარმოების ტექნიკური კვლავაღჭურვა, რე-
 კონსტრუქცია და ვაფართოება და საცხოვრებელსა და სხვა სოციალურ კე-
 თილდღეობაზე შრომითი კოლექტივების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახელმწიფო ცენტრალი-
 ზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობისა და სტრუქტურის დაგეგმი-
 სის გაითვალისწინოს, რომ მათ უნდა უზრუნველყონ დიდმნიშვნელოვანი სა-
 ხალხო-სამეურნეო, სოციალური, დარგთაშორისი და რეგიონალური პრობლე-
 მების გადაჭრა, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიკური
 დამოუკიდებლობის განმტკიცება.

19. დაწესდეს, რომ სამეურნეოანგარიშიანი ფონდების სახსრების ეფექ-
 ტიანი გამოყენების მიზნით საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები
 დამოუკიდებლად შეიმუშავენ მოქმედი წარმოების ტექნიკური კვლავაღ-
 ჭურვისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სოციალური სფეროს მატერიალური
 ბაზის განვითარების გეგმებს. გაძლიერდეს პასუხისმგებლობა დასაგეგმ საწარ-
 მოო ტექნიკურ და სოციალურ ღონისძიებათა ეკონომიკური დასაბუთებისათვის,



ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ისინი მთელი სახელმწიფო-
ნებობის დაბალანსებული განვითარების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან საწარმოთა სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მატერიალური რესურსებით და საჭირო შემთხვევებში საიჯარო სამუშაოებით შეუფერხებელი და ეფექტიანი უზრუნველყოფის პირობები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამეურნეო წესით მშენებლობის განვითარებას და უზრუნველყონ მისი მოთხოვნილებანი მატერიალურ რესურსებზე სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიულ ორგანოთა მეშვეობით.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა, მომავლის ეკონომიკის ფორმირებაში საინვესტიციო პოლიტიკის განმსაზღვრელი როლიდან გამომდინარე, იხელმძღვანელონ იმ გარდაუვალი მოთხოვნით, რომ გეგმაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მშენებლობის ობიექტები, რომელთა საპროექტო და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები შეესაბამებიან უმაღლეს თანამედროვე და საპროგნოზო მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ მიღწევებს.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ მომთხოვნელობა საპროექტო ორგანიზაციებისადმი, უფრო ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში საკონკურსო დაპროექტება. საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ექსპერტიზის როლი და მნიშვნელობა, ამასთან დაეკისროს მას დიდმნიშვნელოვანი და ტექნიკურად რთული პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის განხორციელება.

21. სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად მეცამეტე ხუთწლიური დაწყებამდე გადასინჯონ საწარმოებისა და ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ასამოქმედებელ სიმძლავრეთა ათვისების ვადების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უზრუნველყონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების შესაბამისად საინვესტიციო ციკლის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება და ახალ საწარმოთა საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა.

22. ძირეულად გარდაიქმნას საიჯარო და სამეურნეო წესით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა დაგეგმვის პრაქტიკა. შეუსაბამდეს მისი მეთოდები კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების ფორმირების, სამშენებლო წარმოების მართვის ახალ პირობებს, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციათა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს.



სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ხუთწლიანი ფორმირებისათვის დაგეგმვის საწყისი მონაცემების შემადგენლობაში დაუგზავნის სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომელთა საიჯარო ორგანიზაციები ახორციელებენ მშენებლობას, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობებს. როგორც სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საიჯარო ხელშეკრულებათა დადების საფუძველს.

საწყისი მონაცემების შესაბამისად სამშენებლო ორგანიზაციებს შეაქვთ თავიანთ გეგმებში სავალდებულო წესით ის ობიექტები და მშენებლობანი, რომლებზეც იქმნება სახელმწიფო შეკვეთებით გათვალისწინებული სიმძლავრეები.

რუსეთის სსრ ტერიტორიაზე მომუშავე საერთო-საკავშირო სამშენებლო სამინისტროებისა და რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების მიხედვით საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: სსრ კავშირის საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოო დანიშნულები კონკრეტული ობიექტებისაგან, რომელთაც აფორმირებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოო დანიშნულების ობიექტებისაგან, რომელთაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტებისაგან, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

23. სამშენებლო ბაზის გეგმაზომიერი განვითარების, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობი განვითარების გეგმების ორგანული დაკავშირების და საჭირო მარაგანამეტის შექმნის უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს საფუძვლად უნდა ედოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემები.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა განსაკუთრებლად სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის განსაზღვრისა და მათი სამეურნეო-ანგარიშიანი ფონდების შექმნის ნორმატივების დაწესებისას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სამშენებლო ბაზის წინმსწრები განვითარების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით უარყოფით შემკვეთ სამინისტროთა წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე ამ სამუშაოთა დაფინანსების პრაქტიკა.

24. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სამშენებლო მშენებლობის საიჯარო ფორმასთან, როგორც ძირითადთან, ერთად გაითვალისწინოს გეგმებში მშენებლობის სამეურნეო წესის სათანადო გაფართოება მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, აგრეთვე მათი სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების სამუშაოთა შესასრულებლად.



25. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაერთიანებებმა (საწარმოებმა) და ორგანიზაციებმა პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, უზრუნველყონ გეგმებში საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა.

გაძლიერდეს გეგმის შემოქმედება მოსმარების სტრუქტურის რაციონალიზაციაზე. უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის — წარმოებაში დასაქმებული პირების, ბავშვების, ახალგაზრდობის, უფროსი ასაკის ადამიანების მოთხოვნილებათა სპეციფიკური თავისებურებანი, აგრეთვე რეგიონალური და კლიმატური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოხმარებული დოვლათის ხასიათზე, შემადგენლობასა და სტრუქტურაზე.

26. სოციალური განვითარების დაგეგმვაში „ნარჩენობითი მიდგომის“ დასაძლევად, აქტიური და სამართლიანი სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად, ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის უფრო დასაბუთებული განლაგების უზრუნველსაყოფად პერსპექტიული გეგმების ფორმირებას საფუძვლად დაედოს მოსახლეობის საცხოვრებლით, საავადმყოფოებით, სკოლებით, საბავშვო ბაღებით, კლუბებითა და არასაწარმოო სფეროს სხვა ობიექტებით უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივები და გათვალისწინებულ იქნეს მათი თანამიმდევრული და ეტაპობრივი მიღწევის ღონისძიებანი.

სავალდებულოდ ჩაითვალოს სოციალური ნორმატივების გამოყენება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ახალ საწარმოთა და წარმოებათა დაპროექტების, მშენებლობის და მოქმედის რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელების დროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად და საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით ორგანიზაცია გაუწიონ ზემოაღნიშნული ნორმატივების ხარისხიანად დამუშავებას და გამოიყენონ ისინი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი თხუთმეტწლეულის ძირითად მიმართულებათა პროექტის მაჩვენებლების განსაზღვრისას.

27. დაწესდეს, რომ მართვის ყველა დონეზე გეგმების შემუშავებისას საჭიროა მკაცრად იქნეს გათვალისწინებული საწარმოო და სოციალური სფეროებისა და მთელი ინფრასტრუქტურის შეთანხმებული განვითარების პრინციპი.



სსრ კავშირის სახელმწიფო სეგემო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამეცნიერო-საგეგმომწიფო და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ცენტრალიზებულ კაბიტალურ დაბანდებათა ხარჯზე სახელმწიფო გეგმაში შესატანი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის ფორმირებისას გაითვალისწინონ ამავე დროს მიზნობრივი დანიშნულებით სახსრების გამოყოფა დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით სოციალური სფეროს განსავითარებლად.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მიერ გამოყენებული სახსრების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით ამილდეს მათი სოციალური განვითარების გეგმების დასაბუთებისა და გამოყენების ძირითად მიმართულებათა მიხედვით სახსრების განაწილების დონე, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული შრომითი კოლექტივების საარსებო მოთხოვნილებათა პირველ რიგში დაკმაყოფილება საცხოვრებლით, საბავშვო დაწესებულებებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური ბაზებით, სხვა სოციალური ობიექტებითა და მომსახურებით.

გათვალისწინებულ იქნეს კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაჩქარებული განვითარება, მოსახლეობის სახსრების აქტიური გამოყენება მისი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

28. დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად და გეგმის ხარისხის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ჩაითვალოს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მოცულობასთან მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სრული დაბალანსება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ხანგრძლივი და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს სამომხმარებლო საქონლის წარმოებასთან და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწვევასთან დაკავშირებული დარგების დაჩქარებული განვითარება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის გაჯერება ამ საქონლით (მომსახურებით), არსებითად ამილდეს მათი ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი. თანამიმდევრულად ვაატაროს გეგმებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწვევისათვის სახალხო მეურნეობის დარგების ყველა საწარმოს ყოველმხრივი მიზიდვის ხაზი, მათი პროფილისა და სპეციალიზაციის მიუხედავად. შექმნას კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ყოველმხრივი გაშლიათვის საჭირო პირობები.

გათვალისწინოს გეგმებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის უცილობლივ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

29. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ბანკებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის გეგმიანი რეგულირება საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწვევის მო-



ცულობათა დინამიკასთან დაკავშირებით. მხედველობაში მიიღონ განვლილი წლებით გათვალისწინებული სოციალური ღონისძიებანი მთლიანად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამის მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფა

30. დაგეგმვის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მიხსი ზემოქმედების გაძლიერება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქვეყნის ეკონომიკური რაიონების, განსაკუთრებით ისეთი დიდი რაოდენობის კომპლექსურ განვითარებაზე, როგორცაა ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, რესპუბლიკებისა და რეგიონების მეურნეობათა რაციონალური სპეციალიზაცია, შრომის საერთო-საკავშირო განაწილების გაღრმავება.

დარგებისა და რესპუბლიკათა, მხარეთა და ოლქთა ტერიტორიების მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებას საფუძვლად დაედოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემები, არსებითად ამაღლდეს ამ გეგმების შედგენის ხარისხი და მათში მისაღებ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა.

სსრ კავშირის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების გენერალურ სქემას შეიმუშავებს 15-წლიანი პერიოდისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების მიზიდვით და ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. დარგობრივ და ტერიტორიულ სქემებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით.

31. შემოღებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა (გაერთიანებისა) და ორგანიზაციის განვითარებას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. ამასთან საერთო-საკავშირო სამინისტროები და უწყებები წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საქვეუწყებო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და ორგანიზაციების მიხედვით შესაბამის მაჩვენებლებს ამ გეგმებში შესატანად.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებმა უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის მინიჭებული ფართო უფლებების შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები გეგმების შემუშავების პროცესში კოორდინაციას უწევენ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საქმიანობას მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და ქმნიან მათ ტერი-

ტორიაზე არსებული ყველა საწარმოს ეფექტიანი მუშაობისათვის უზრუნველყოფის მიზნით

ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის ოლქის, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური დაგეგმვა ხორციელდება მოქმედი წესის შესაბამისად.

32. დაწესდეს, რომ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ფასიანი მომსახურების სფეროს გაფართოების, ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების, მეორეული რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის, აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების ღონისძიებანი განისაზღვრება სსრ კავშირის ეკონომიკური და ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ახორციელებენ ხელმძღვანელობას მთელი სოციალურ-კულტურულ იმპუნებლობისადმი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას ამ დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა საქონლის გამოშვებისა და ფასიანი მომსახურების გაწევის მოცულობასთან მოსახლეობის გადამდისუნარიანი მოთხოვნი საერთო დაბალანსებისათვის, ადგილობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარებისათვის საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია. ისინი კოორდინაციას უწყევენ აგრეთვე სოციალური სფეროს განვითარებას დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე და მთლიანად რესპუბლიკასა და რეგიონში ამ სფეროს ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებას.

33. გაძლიერდეს გეგმებში დამოკიდებულება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ცალკეული რეგიონების სოციალური განვითარებისათვის განკუთვნილ ფინანსურ რესურსებსა და შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს შორის.

გამოყენებულ იქნეს. მოყოლებული მეცამეტე ხუთწლიდიდან. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების შეფასებისას წარმოებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მონაწილეობით შეიმუშაონ სისტემა ეკონომიკური ნორმატივებისა, რომლებიც აწესებენ დამოკიდებულებას მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებში საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გა-



ფართობებისა და სრულყოფისათვის გათვალისწინებულ ფინანსურ განხორციელებასა და წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს შორის, აგრეთვე განსახლეობს ამ სახსრების ხარჯზე გადასაწყვეტი რეგიონალური ამოცანების ნუსხა.

34. რესპუბლიკებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელშეძლავნელობაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა შემდგომი გაფართობების და ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში შესატან წვლილთან მათ მიერ გამოყენებული რესურსების უფრო მჭიდრო დაკავშირების უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში, მოყოლებული 1968 წლიდან, ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსები, სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები რესპუბლიკური მეურნეობის განსავითარებლად გათვალისწინებულ იქნება მთლიანად რესპუბლიკისათვის დარგებისა და მიმართულებების მიხედვით მათ გაუნაწილებლად, რესპუბლიკები აგროსამრეწველო კომპლექსის, სამშენებლო სამინისტროების ან სახმშენების გარდა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ ზემოაღნიშნული რესურსების ეფექტიანი გამოყენება შესაბამისი რესპუბლიკებისა და რეგიონების საზოგადოებრივი წარმოებისა და სოციალური სფეროს პროპორციული განვითარების მიღწევის მიზნით.

35. უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული დაგეგმვაში დემოგრაფიული პროცესები, ამასთან მხედველობაში იქნეს შიღებული გეგმებში ცალკეულ რეგიონებში წარმოების განვითარებასა და მოსახლეობის ზრდას შორის უფრო მჭიდრო დამოკიდებულება, მიგრაციის პროცესთა მართვის მოქნილი ფორმების გამოყენება, მუშახელის ორგანიზებული შეგროვებისა და ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილების სისტემის განვითარება მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

შემოღებულ იქნეს ყველა რესპუბლიკისა და ოლქში შრომითი რესურსების გამოყენების ვაშლილი ბალანსების შემუშავება.

36. ტერიტორიული დაგეგმვის ხარისხის ამაღლებისათვის აქტიურად იქნეს გამოყენებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოთა საგეგმო ორგანოების პოტენციალი. ამაღლდეს მათი როლი და პასუხისმგებლობა რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობისა და სოციალური სფეროს განვითარების გეგმების შემუშავებისათვის, შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა (ვაერთიანებისა) და ორგანიზაციის (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) გეგმების კოორდინაციისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის, რეგიონის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის.

განმტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო

საბჭოების აღმასკომების მთავარ საწარმო-ეკონომიკურ სამმართველო-გეგმო ორგანოების აპარატი და გაძლიერდეს მოთხოვნები მათ მუშაობისათვის ფესიული შემადგენლობისადმი.

გეგმის დაბალანსება სოციალისტური დაგეგმვის ურყევი პრინციპით

27. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიანიათ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაქარბებისათვის პარტიის სტრატეგიის თანამიმდევრული რეალიზაცია და მისი მიზნების გეგმარითი უზრუნველყოფა გადაუდებელ ამოცანად აყენებენ სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ყველა დონეზე გეგმების სრული დაბალანსების განხორციელებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა გეგმების შემუშავებისას მჭიდროდ დაუკავშირონ საწარმოო და სოციალური სფეროს განვითარების პროგრამა ყოველგვარ რესურსებს — მატერიალურს, შრომითსა და ფინანსურს, უზრუნველყონ ურთიერთდაკავშირებულ სახეობათა წარმოებების სიმძლავრეთა საჭირო შეუღლება.

აეკრძალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შემოიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად დაუბალანსებელი გეგმების პროექტები.

38. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა პრინციპულად ახალ დონეზე აიყვანოს საბალანსო მუშაობა. აამაღლოს ეკონომიკის განვითარების ტემპისა და უმნიშვნელოვანესი პროპორციების ამსახველი სახალხო-სამეურნეო ბალანსების: საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ბალანსების, სახელმწიფოს საფინანსო და საგადასახდელი ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსების, შრომითი რესურსების, ბალანსების როლი. ძირეულად გააუმჯობესოს მათი შემუშავების მეთოდოლოგია და პრაქტიკა.

39. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა რულონ მატერიალური ბალანსების, როგორც დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალ პირობებში ეკონომიკის განვითარების ნატურალურ-ნიეთობრივი პროპორციების დაბალანსების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტების, შედგენა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად განსაზღვროს პროდუქციის სახეობანი, რომელთა ბალანსება და განაწილების გეგმებს შეიმუშავენ და ამტკიცებენ შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მი-

ნისტრთა საბჭოები. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უნდა შეუხარჩუმდეს ბალანსებისა და ფინანსური ლების გეგმების შედგენა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციისათვის.

დაწესდეს, რომ მატერიალურ რესურსებთან გეგმების დაბალანსებისათვის პასუხისმგებელი არიან ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ მოცემული სახეობის პროდუქციის ბალანსებისა და განაწილების გეგმების დამტკიცება.

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაქრობაზე გადასვლასთან და პირდაპირი სამეურნეო კავშირთა რესურსების განვითარებასთან დაკავშირებით დაევალოთ სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ სახალხო მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის სისტემა.

40. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედის დამდგინებისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე და მეორეული ნედლეულის, ვარგისი ნარჩენებისა და წარმოების თანაპროდუქტების მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პირობებში მატერიალურ რესურსებზე დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების მთავარი წყარო უნდა გახდეს ეკონომია მათი ეფექტიანი გამოყენების გზით.

41. არსებითად გაუმჯობესდეს მუშაობა საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებში ყოველგვარი მატერიალური რესურსების ნორმირებისათვის, ამასთან დაუკავშირდეს იგი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვის საფუძველზე რესურსდაზოგვისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაძლიერებას. გამოირიცხოს ტექნიკური პროექტების შემუშავებისა და ახალი სახეობების ნაკეთობათა საწარმოებლად დაყენების შემთხვევები ნედლეულისა და მასალების ხარჯვის პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმების არარსებობისას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის მარეკულირებელი ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს სახეობათა ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტების შემუშავებისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ ამ რესურსების ხარჯვის ნორმირების სრულყოფის საფუძველზე მათი ეკონომიის შესაძლებლობანი.

42. ეკონომიკის დაბალანსების დონის ამაღლების, ხუთწლიანი გეგმების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მათი შესრულების პროცესში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით ჩამოყალიბ-



დეს ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას მატერიალური, სასურსათო-ფინანსო რეზერვები, აგრეთვე სადაზღვევო ფონდები. არამართლზომიერად ჩაითვალოს გავრცელებული წარმოდგენა რეზერვებზე, როგორც საზოგადოებრივი წარმოების გამოწვევით, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, და მიჩნეულ იქნეს ისინი სახალხო მეურნეობის ეფექტიანი განვითარებისა და მოსახლეობის მყარი მომარაგების აუცილებელ პირობად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 1988 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მატერიალური და საფინანსო რეზერვების ოდენობით. შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რათა გათვალისწინებულ იქნეს ისინი მეცამეტე ხუთწლიან გეგმის პროექტში.

43. ხუთწლიანი გეგმების შესრულების მსვლელობაში მათი დაბალანსებისა და სტაბილურობის დარღვევის დაუშვებლობის მიზნით დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ შემოიტანონ საჭირო შემთხვევებში დადგენილებათა პროექტები ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების შესახებ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა და ხუთწლიანი გეგმების შემუშავების პროცესში მხოლოდ იმ პირობით, რომ წარმოდგენილი წინადადებანი დაკავშირებული იყოს მატერიალურ, ფინანსურ რესურსებთან და რეზერვებთან.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვის გაუმჯობესება

44. განხორციელდეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვის კარდინალური გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად იქნეს გამოყენებული შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობანი. უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება. მიღწეულ იქნეს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურისძირეული გაუმჯობესება და მთლიანად საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლება. უზრუნველყოფილ იქნეს გეგმებში რესურსების პირველ რიგში გამოყოფა საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისათვის, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის ხელსაყრელ ცვლილებათა გამოყენება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გარდაქმნას საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დაგეგმვა სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე სამინისტროთა და საწარმოთა საქმიანობის ორგანიზაციის ახალი პრინციპების შესაბამისად.

45. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო-



ებმა, ამაღლონ მთელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სახალხო მეურნეობის განვითარების კოორდინაციის გეგმების როლი და ეფექტიანობა, ხანგრძლივი ხასიათი მისცენ ამ გეგმებს. გაითვალისწინონ წარმოების ღრმა სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე საგარეო ვაჭრობის ბრუნვის გადიდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკიდან და მათი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამიდან გამომდინარე. ამასთან ყოველმხრივ გამოიყენონ ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი ახალი ფორმები, როგორცაა უცხოეთის საწარმოებთან და ფირმებთან ფართო კოოპერაცია, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნა, აგრეთვე ერთობლივ მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო პროგრამათა შემუშავება და განხორციელება.

46. თანამიმდევრულად განხორციელდეს კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან ხანგრძლივი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების ხაზი.

გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საექსპორტო რესურსები საგარეო ვაჭრობის ვალდებულებათა შესასრულებლად.

სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპზე სახალხო მეურნეობის დარგების გადაყენის პირობებში ფართოდ განვითარდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და გაერთიანებათა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა საზღვარგარეთის ფირმებთან დაბალანსებულ საფუძველზე.

გაძლიერდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა საგარეო ვაჭრობის ოპერაციების ეფექტიანობისა და სავალუტო ამონაგების გეგმის შესრულებისათვის, ქვეყნის საექსპორტო ბაზის განვითარებისათვის, გადამმუშავებელი დარგების მაღალეფექტიანი პროდუქციის მიწოდების გადიდებისათვის, იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების დონის ამაღლებისათვის.

47. უზრუნველყოფილ იქნეს საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ურთიერთობის, როგორც სამინისტროთა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის განუყოფელი ნაწილის, დაგეგმვის შემდგომი სრულყოფა, ამასთან აქტიურად იქნეს გამოყენებული სავალუტო ანარიცხების ფონდის შექმნის ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები. გაძლიერდეს დამოკიდებულება საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების შედეგებსა და მუშაობის საერთო ეფექტიანობას და მათი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობას შორის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ გაითვალისწინონ გეგმებსა და მატერიალურ ბალანსებში სამინისტ-

ტროთა და უწყებათა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციულ ნადავებანი პროდუქციის ექსპორტის შესახებ, უწინარეს ყოვლისა რომელთაც მინიჭებული აქვთ საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება.

III. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

48. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განსაკუთრებულ როლსა და პასუხისმგებლობას სახალხო მეურნეობისადმი, როგორც ერთი მთლიანისადმი, გეგმიანი ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის წარმოებით ურთიერთობათა მთელი სისტემის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა გადაყენის პირობებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, როგორც ეკონომიკური მართვის ცენტრალურ ორგანოს, ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა გეგმებში ჭეჭყენის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფისათვის, საერთო-ეკონომიკური, დარგთა-შორისი და რეგიონალური პროპორციების მეცნიერულად დასაბუთებული ფორმირებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანების პრიორიტეტული გადაწყვეტისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად პარტიის კურსის თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოვალეა გადაიტანოს სიმძიმის ცენტრი პერსპექტიული გეგმების შემუშავებაზე, გადაჭრით უარყოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საგეგმო საქმიანობის დეტალური რეგლამენტაციისა და მიმდინარე რეგულირების მისთვის უჩვეულო ფუნქციები; აამაღლოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მისი სტრუქტურისა და საწარმოო ძალთა განლაგების თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელ დიდ ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზების მეცნიერული ანალიზისა და დამუშავების დონე; მკვეთრად შემოაბრუნოს თავისი საქმიანობა სოციალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევის მიმართულებათა, გზებისა და ეტაპების ღრმა დამუშავების საცუძველზე.

49. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მუშაობა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისა და განუწყვეტელი სრულყოფის, დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების ურთიერთდაკავშირების უზრუნველსაყოფად სამეურნეო მართვის მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით.

თანამიმდევრულად დაეუფლოს ეკონომიკურ მეთოდებს, სრულყოს დაგეგმვის ორგანიზაცია და მაჩვენებელთა სისტემა, აქტიური ხარჯვასაწინააღმდე-



გო ხასიათი მისცეს მათ. უზრუნველყოს სრულსამეურნეო თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა (გაერითანებათა) და ორგანიზაციითა მუშაობისათვის, სახელმწიფო საწარმოს (გაერიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად მათი შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარებისათვის საჭირო წანამძღვრები, შექმნას მართვის ყველა დონეზე დაგეგმვის პროცესის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის პირობები.

50. ეკონომიკის პროპორციული განვითარებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებლობის ამალღების პირობებში გადავიდეს გეგმების ფორმირებაზე სახალხო-სამეურნეო კომპლექსების — მანქანათსაშენებელი, სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული, ქიმიურ-სატყეო, აგროსამრეწველო, სამშენებლო და სხვა კომპლექსების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახელმწიფო გეგმების პროექტების მომზადების ყველა სტადიაზე უზრუნველყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედება კომპლექსებში შემავალ დარგთა შეთანხმებული განვითარებისა და ეფექტიანობის ამალღების და ამის საფუძველზე კომპლექსების საბოლოო პროდუქციაზე მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ცალკეული კომპლექსების განვითარების მიჯნაზე წამოჭრილ პრინციპულ საკითხთა გადაწყვეტას.

51. ამალღდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლი დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფასწარმოქმნის, ფინანსების, შრომის ანაზღაურების, ფულის მიმოქცევის, კრედიტის დარგში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის და გაძლიერდეს მისი როლი ქვეყნის ყველა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოს საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ამ ტუნქციის განსახორციელებლად შეიქმნას ეკონომიკური საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მეთაურობით და დაეკისროს ამ საბჭოს დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების განხილვა, ეკონომიკის, მისი ცალკეული სფეროებისა და რეგიონების განვითარების პერსპექტივათა კომპლექსური პროგნოზების შედგენა, შეთანხმებული პოზიციების შემუშავება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების ფორმირებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებისას.

შეყვანილ იქნენ ზემოაღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახბანკის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი თავმჯდომარე.

52. საგეგმო გადაწყვეტილებათა შემუშავების მეცნიერული და სახელმწიფო-
 ლებისათვის საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს სსრ კავშირის სახელმწიფო
 საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ურთიერთკავშირი სსრ კავშირის მეცნიერე-
 ბისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკა-
 დემიის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო დაწესე-
 ბულებებთან საგეგმო პრაქტიკაში მათი ნამუშევრების უფრო სრულად გამო-
 ყენების მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეც-
 ნიერებათა აკადემიამ გააუმჯობესონ დაგეგმვის დარგში სამეცნიერო-კვლევით
 სამუშაოთა ორგანიზაცია, უზრუნველყონ გამოკვლევათა მეცნიერულ-თეორიუ-
 ლი დონისა და მათი პრაქტიკული მნიშვნელობის ამღობვა, ამასთან განსაკუთ-
 რებული ყურადღება დაუთმონ ამ დარგში მეცნიერულ მიმართულებათა შერ-
 ჩევასა და შეფასებას. უზრუნველყონ მეცნიერული ძალების კონცენტრაცია
 ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ინ-
 ტენსიფიკაციის, განაწილების პოლიტიკის ეფექტიანობის ამღობვის, სოციალ-
 ლური პროგრესის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და
 მეთოდების შემდგომი სრულყოფის აქტუალურ პრობლემათა კომპლექსურ
 გამოკვლევაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სტა-
 ტისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღოს ზომები საინფორმაციო ბაზის
 მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის, უზრუნველყონ მისი უტყუარობის ამღ-
 ლება და ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის მისაწვდომობა.

უზრუნველყონ დაგეგმვის პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზი-
 რების მეთოდების, საგეგმოვა ანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის ფარ-
 თოდ გამოყენებისა და განვითარების პირობებში დარგთაშორისი დაბალანსე-
 ბის მეთოდების დანერგვა.

53. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა არსებითად აამღ-
 ლოს ეკონომიკური და ანალიზური მუშაობის დონე. დაეკალოს სსრ კავშირის
 სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კო-
 მიტეტთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს სკკპ ცენტრალურ კომი-
 ტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება ქვეყნის ეკონომიკური
 მდგომარეობის შესახებ სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის, მასში
 მიმდინარე მოვლენების, სტრუქტურული ცვლილებების დახასიათებითა და სა-
 თანადო ღონისძიებებითურთ, რომლებიც უნდა განხორციელდეს პოზიტიური
 ძვრების განსამტკიცებლად და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად,
 აგრეთვე მიმოხილვები დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ სა-
 კითხებზე.

54. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გააძლიეროს მეთო-
 დიკური ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო
 კომიტეტების, ტერიტორიული საგეგმო ორგანოების, აგრეთვე სამინისტროთა
 და უწყებათა საგეგმ ოსამსახურების საგეგმო მუშაობისადმი. გადასინჯოს სსრ
 კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოცემული ყველა მეთოდ-



კური მითითება და საგვემო დოკუმენტაციის ფორმა, ამასთან რქონიოს მათი შესაბამისობა ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სახელმწიფო სწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებთან, გააუქმოს ადგილობრივი საგვემო ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და სწარმოების უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

55. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს კრებისით და ფუნქციონალურ ეკონომიკურ განყოფილებათა როლის არსებითი ამაღლების აუცილებლობა, დაძლეულ იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის აპარატის სტრუქტურის ვიწროდარგობრივი მიმართულება და წარიმართოს მუშაობა სახალხო მეურნეობის დაგვემისათვის სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით.

56. სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის კოლეგიამ, იხელმძღვანელოს რა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ძირეულად გარდაქმნას მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, მიიჩნიოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერების ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებად. მიიღოს ქმედითი ზომები მუშაკთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის წინაშე დასახული ახალი ამოცანების გათვალისწინებით.

გააუმჯობესოს მუშაობა დასაწინაურებელი კადრების რეზერვის მოსამზადებლად. დააკომპლექსოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტი პოლიტიკურად მომწიფებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი ღრმად გაანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით შეაფასონ სახალხო მეურნეობაში არსებული ძდგომარეობა, დაინახონ მისი განვითარების პერსპექტივები და ეფექტიანი გზები, უზრუნველყონ ჯეროვანი საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომა საგვემო საკითხებში, თანამიმდევრულად და დაუცხრომლად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

ღროულად გადაწყვიტოს კადრების განახლების საკითხები. მიაღწიოს იმას, რომ უფროს თაობათა მაღალკვალიფიციური კადრების გვერდით შრომობდნენ და გამოცდილებას იძენდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკები.

ამაღლოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების ქმედითობა და როლი მათი ინიციატივისა და აქტიურობის განვითარების, დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, კადრებსადმი მომთხოვნელობის ამაღლების საქმეში.

57. საპიროდ ჩაითვალოს შეიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტთან მისი უმაღლესი ეკონომიკური კურსების ბაზაზე საგვემო-ეკონომიკური აკადემია ქვეყნის ცენტრალური და რესპუბლიკური ეკონომიკური ორ-



განოების, სამინისტროთა და უწყებათა საგეგმო სამსახურების ხელშეწყობისა და სპეციალისტთა მოსამზადებლად და გადამამზადებლად.

განუწყვეტლივ დაიხვეწოს საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობის გაძლიერების ეფექტიანი მეთოდების შესწავლას.

58. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტიულმა კომიტეტმა დაუცხრომლად იბრძოლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სრულყოფილი მუშაობის ფორმები და მეთოდები. კომუნისტებისა და ყველა მუშაკის ღონისძიებანი მოახმაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაქარბისათვის პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაციას.

ამაღლოს პარტიული ორგანიზაციის როლი და აქტიურობა კადრების შერჩევის განაწილებისა და აღზრდისათვის. ამ საქმეში საჯაროობის გაძლიერებისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის მუშაობაში.

გააუმჯობესოს კოლექტივში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენება, წარმართოს იგი მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, იდეური სიმწიფის, დისციპლინის განუხრელი დაცვის, სოციალისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრებისადმი შეუთრეგებლობის სულისკვეთებით მუშაკთა აღსაზრდელად.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ რა დასახული ამოცანების დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობასა და მასშტაბურობას დაგეგმვისა და მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის დარგში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მათს წარმატებით რეალიზაციას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს თანამიმდევრულად და ეტაპობრივად საჭირო ეკონომიკური და ორგანიზაციული წინამძღვრების შექმნის გათვალისწინებით. ამოცანა ის არის, რომ მეცამეტე ხუთწლიანი გეგმა შემუშავდეს დაგეგმვის ახალი პრინციპებისა და სამეურნეო მართვის მეთოდების სრული შესაბამისობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალდებენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებს, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები დაგეგმვის სისტემის წარმატებით

ვარდაქმნისათვის, პრაქტიკაში მეურნეობის გაძლიერების ახალი ეფექტიანი მეთოდების აქტიური დანერგვისათვის პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით.

სკკპ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

58 „ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 16 ოქტომბრის № 748 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინადადება და „ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 16 ოქტომბრის № 748 დადგენილების მე-2 პუნქტის შესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— დაექვემდებაროს 1988 წლის 1 იანვრიდან მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება თავის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს“.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. ნიკოლსაი

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ჩერაქია

59 საქართველოს სსრ სახელმწიფო სოფლად არსებულ მუნიციპალიტეტ-რიველელ სასოფლო-სამეურნეო სახლში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილი

დაცარიელებული საცხოვრებელი სახლებისა და მათი მიმდებარე საკარმიდამო ნაკვეთების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე მეზღვეობისა და მეზოტეხნილობის შემდგომი განვითარების და სოფლის მეურნეობის პროდუქციანზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგილი:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის № 854 დადგენილება „სოფლად არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ“ (თან ერთად).

2. ნება დაერთოთ მიეყიდოთ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სასოფლო დასახლებულ პუნქტებში სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მიწებზე განლაგებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები (მათთან არსებული სამეურნეო ნაგებობებით) სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის იმ პირობით, რომ დაუდონ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა საწარმოს ხელშეკრულება საკარმიდამო ნაკვეთებზე ან ამ მიზნით გამოყოფილ სხვა მიწებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაწეად და მისი ნაშენის გასაყიდად.

სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის ასეთი სახლები შეიძლება მიეყიდოთ რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სანხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ერთი თვის ვადაში დააზუსტონ რაიონების (ქალაქების) სოფელ ადგილებში განლაგებული დაცარიელებული და უპატრონო სახლები, აგრეთვე მათი მიმდებარე გამოუყენებელი მიწების რაოდენობა და წარუდგინონ შესაბამისი მასალები საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს შემდგომი განზოგადებისათვის;

— მკაცრი კონტროლი გაუწიონ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა მიერ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დაცარიელებული საცხოვრებელი სახლების შექმნის დადგენილი წესის, აგრეთვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გამოყენების წესის დაცვას.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში გადასინჯონ ად-

ნიშნულ საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებანი და შემორჩენის შემთხვევაში წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრკ-ის საბჭოს საბჭოს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
პ. კატიავილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩირაქია

ქ. თბილისი, 1987 წ. 29 დეკემბერი, № 651

სსრკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 854

1987 წლის 25 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

სოფლად არსებული დაცარიელებული სასახოვრეზო სახლებისა და
საკარმიდაგო ნაკვეთების გამოყენების შესახებ

სკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში სოფლად არის 725 ათასზე მეტი დაცარიელებული საცხოვრებელი სახლი, აქედან რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 490 ათასი, უმთავრესად არაშეშენებულად დატოვებულია, აგრეთვე 110 ათასი — უკრაინის სს რესპუბლიკაში. ამ სახლებთან არსებული დაუმუშავებელი მიწების საერთო ფართობი 200 ათას ჰექტარს აღწევს. ცალკეული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები შეეგუენ ამას და არ იღებენ გადაწყვეტ ზომებს დაცარიელებული სახლების გამოყენებისა და მათი მიმდებარე მიწის ნაკვეთების ბრუნვაში ჩართვისათვის.

სოფლად საკარმიდაგო მიწებისა და საბინაო ფონდის რაციონალური გამოყენებისათვის, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებმა მიიღონ ზომები დაცა-

რიელებულ საცხოვრებელ სახლებთან არსებული მიწების მასის განაღდებასა და განაღდებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასაღვივებლად.

ამ მიზნით მოხსნან არსებული ხელოვნური დაბრკოლებანი და ყოველგვარი შეზღუდვები, ფართოდ შემოიღონ თავისუფალი მიწების გამოყენების საიჯარო ფორმები, მებოსტნეობა-მებაღეობის ამხანაგობათა შექმნა.

2. დაწესდეს, რომ სოფლად არსებულ დაცარიელებულ საცხოვრებელ სახლებს პირველ რიგში იძენენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციისა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციები.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს გამოიყენონ დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები იმ მიზნით, რომ:

უზრუნველყონ საცხოვრებელი ფართობით კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სხვა პირები, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

შექმნან სამომხმარებლო კოოპერაციის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმღები პუნქტები, სასადილოები, მაღაზიები, სამედიცინო პუნქტები და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტები;

გადასცენ იჯარით ან მიჰყიდონ არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შესაქმნელად, ამასთან გამოუყონ მათ გამოუყენებელი ან დაბალი ეფექტიანობით გამოყენებული მიწის ნაკვეთები;

მისცენ ხელშეკრულების მიხედვით ქონებრივი ჭირავნობის უფლება ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის, ამასთან გამოუყონ მათ დროებით სარგებლობაში მიწის ნაკვეთი ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით. საცხოვრებელი სახლებისა და მასთან არსებული სამეურნეო ნაგებობების საიჯარო ჭირა გადაახდევინონ ხელშეკრულების მიხედვით იმ ოდენობით, რომელიც ანაზღაურებს მათი მოვლა-პატრონობის დანახარჯებს.

დაცარიელებული საცხოვრებელი სახლების შექმნის უპირატესი უფლებებით სარგებლობენ აგრეთვე მოცემულ დასახლებულ პუნქტში მცხოვრები კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სხვა მოქალაქენი.

3. ნება დაერთოთ მიეყიდოთ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სასოფლო დასახლებულ პუნქტებში სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მიწებზე განლაგებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები (მათთან არსებული სამეურნეო ნაგებობებითურთ) სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის იმ პირობით, რომ დაუდონ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა საწარმოს ხელშეკრულება საკარმიდამო ნაკვეთებზე ან ამ მიზნით გამოყოფილ სხვა მიწებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაწევად და მისი ნამეტის გასაყიდად.

სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის ასეთი სახლები მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ოლქებში შეიძლება მიეყიდოთ მხოლოდ ქაღალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მიეცეთ დადგენილი წესით მოქალაქეებს, რომლებიც იქნენ ან იჯარით იღებენ ზემოაღნიშნულ სახლებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში და აქვთ პირადი საკუთრების უფლებით საცხოვრებელი სახლები სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, ნაგებობათა შესანახად და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად მიწის ნაკვეთები 600 კვადრატულ მეტრამდე ოდენობით, ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით.

მიწის ნაკვეთების კონკრეტულ სიდიდეს აწესებენ ორგანოები, რომლებიც გასცემენ სარგებლობისათვის ამ ფართობებს.

თუ სახლთან არის უფრო მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი, იგი მიეცემა სახლის მესაკუთრეს ან მოიჯარეს კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან, სხვა საწარმოსთან, ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაწევად და ამ მეურნეობების მეშვეობით სახელმწიფოსათვის ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის მისი ნამეტის მისაყიდად. ამ პირობის დაცვაზე უარის შემთხვევაში სახლის შეძენის ან იჯარის უფლება მოქალაქეებს არ მიეცემათ.

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი იმ მიწის ნაკვეთებით სარგებლობის გამო ზემოაღნიშნულ მოქალაქეთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაკვეთების შესახებ, რომელთა ფართობი აღემატება ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სიდიდეს.

5. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები მიეყიდოთ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის, სხვა საწარმოს აღმინისტრაციის თანხმობით, რომელთა მიწებზეც განლაგებულია ეს სახლები.

ზემოაღნიშნული სახლების გაყიდვა ხორციელდება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ან სახალხო დეპუტატთა საქალაქო (ქალაქის რაიონული) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით, ამასთან პირველ რიგში კმაყოფილდება დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირთა, სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების, შრომის ვეტერანების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მუშათა ოჯახების თხოვნა.



სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები არ მიეყიდებათ და მიწის ნაკვეთები არ მოეცემათ მოქალაქეებს, თუ მათ ან მათთან ერთად მცხოვრებ და საერთო მეურნეობაში ჩაბმულ მათი ოჯახების წევრებს (გარდა შემთხვევებისა, როცა ისინი აპირებენ გაყოფას) აქვთ სარგებლობაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ინდივიდუალური საბანაო მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, აქვთ ავარაკები პირადი საკუთრების უფლებით ან სარგებლობენ სახელმწიფო ავარაკებით, სამსახურებრივი მიზომილი მიწის ნაკვეთებით, ავრთვე არიან საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივის ან მეხალეობის ამხანაგობის წევრები.

6. მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში და აქვთ საცხოვრებელი სახლები სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად მათთვის მიჩენილი მიწის ნაკვეთების რაციონალური და მაღალეფექტიანი გამოყენების მიზნით შეუძლიათ ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანდნენ კოოპერატივებად. კოოპერატივებს შეიძლება მიეცეთ დროებითი სარგებლობისათვის დამატებითი მიწის ნაკვეთები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებებით.

7. სასოფლო დასახლებულ პუნქტებში გასაყიდი დაცარიელებული საცხოვრებელი სახლების და მათთან არსებული სამეურნეო ნაგებობების ღირებულება განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 28, მუხ. 165) გათვალისწინებული წესით დამტკიცებული შეფასებითი ნორმების მიხედვით, ამასთან მხედველობაში მიიღება ამ სახლებისა და ნაგებობების ცვეთა. აღნიშნული სახლებისა და ნაგებობების ღირებულებას განსაზღვრავენ შემფასებელი კომისიები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს (სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით) აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლის, გამყიდველის, მყიდველის (მისი წარმომადგენლის), ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა ორგანოთა წარმომადგენლების შემადგენლობით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხედულებისამებრ.

მოქალაქეებს, რომლებმაც შეიძინეს ზემოაღნიშნული სახლები, უფლება აქვთ გაპყიდონ ისინი ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

8. ამ დადგენილების შესაბამისად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახლის მესაკუთრეს უფლება აქვს ააშენოს სამეურნეო ნაგებობანი (მათ შორის გარაჟი და აბანო) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფართობით.

9. მოქალაქეები, რომლებიც იძენენ და იჯარით იღებენ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დაცარიელებულ საცხოვრებელ სახლებს, მოვალენი არიან რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები ორი წლის განმავლობაში არ გამოიყენებენ ამ დადგენილების შესაბამისად მათთვის მიცემულ მიწის ნაკვეთებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, შეიძლება ჩამოერთვათ მათ დადგენილი წესით.



ჩივეა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოებს მიიზიდონ მოქალაქენი, რომელთაც იყიდეს ან იჯარით აიღეს შე-
მოაღნიშნულ მეურნეობათა მიწებზე განლაგებული დაცარიელებული საც-
ხოვრებელი სახლები, მეურნეობის მიერ განსახორციელებელ სასოფლო-სამე-
ურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის, ამ მოქალაქეთა შესაძლებლობე-
ბის გათვალისწინებით.

10. სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ:

გამოთვლინონ, აღრიცხონ და გადასცენ კანონმდებლობის შესაბამისად სოფლად განლაგებული უპატრონო საცხოვრებელი სახლები სახელმწიფო ან კოლმეურნეობათა საკუთრებაში, ამასთან მხედველობაში იქონიონ მათი რა-
ციონალური გამოყენება.

უზრუნველყონ მოქალაქეთა მიერ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების ჭეროვანი მოვლა-პატრონობა, ნაკვე-
თების, აგრეთვე მათი მიმდებარე ტერიტორიებისა და გასასვლელების კეთილ-
მოწყობა სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების კულტურისა და ბინადრო-
ბის პირობების ამაღლების მიზნით.

11. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონ-
ულმა კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დემუტატთა სამხარეო, საოლქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორ-
ციელება სოფლად განლაგებული საკარმიდამო ნაკვეთებისა და დაცარიელებული საცხოვრებელი სახლების რაციონალური გამოყენებისათვის. მკაცრი კონტროლი გაუწიონ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებ მოქა-
ლაქეთა მიერ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დაცარიელებული საცხოვ-
რებელი სახლების შექმნის დადგენილი წესის, აგრეთვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გამოყენების წესის დაცვას.

სკკპ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიშკოვი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

60 აბტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშა-
ობის გაძლიერებისა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწი-
ფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის ახალი მოთხოვნების შესაბამისად ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლების, სოციალური პოლიტიკის გააქტიურების, ნაყოფიერი შრომის სტიმულირებისა და მოტივების ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით.

როგორც ქვეყანაში, ისევე ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ღრმა სოციალურ გარდაქმნებთან, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან, მოქალაქეთა სოციალური გარანტიების უზრუნველყოფასთან, შრომის პირობების, საბინაო პირობების, სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და კულტურის გაუმჯობესებასთან ერთად უკანასკნელი ხუთწლეულების წლებში სოციალური სფეროს განვითარებაში გამოწვავდა მთელი რიგი პრობლემები.

სრულყოფას მოითხოვს შრომისა და სოციალური განვითარების მართვის მექანიზმი. საქართველოს სსრ ეკონომიკურ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს არ დაუკავებიათ აქტიური პოზიცია სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, კოორდინირებული არ არის მათი საქმიანობა ამ მიმართულებით.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი მთლიანად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს. ხშირად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრის საზიანოდ იგი კერძო, ოპერატიული საკითხებით არის დაკავებული.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები არ იჩენენ ჭეროვან პრინციპულობასა და სიმტკიცეს საარსებო სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ნელა ხორციელდება შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნა, მართვის ყველა ორგანოსა და შრომითი კოლექტივის ძირეული შემობრუნება სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ.



„აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშაობისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 825 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 825 დადგენილება „აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშაობის გაძლიერებისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ“ (თან ერთვის).

ამ მიზნით:

— განახორციელონ შრომისა და სოციალური განვითარების მართვის გარდაქმნა მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებზე, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდადინანსებაზე საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა გადასვლასთან განუყრელი კავშირით, დემოკრატიის გაფართოებით, ამასთან იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მითითებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის საქმეში თვისებრივი ძვრების მიღწევის შესახებ;

— აამაღლონ სახალხო მეურნეობაში სოციალური განვითარების პროცესებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, უზრუნველყოთ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეხამება შრომითი კოლექტივებისა და მუშაკთა ინტერესებთან, შექმნან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა სრული რეალიზაციისათვის საჭირო პირობები.

2. შრომის, ხელფასისა და სოციალური განვითარების მართვის სრულყო-

ფისათვის შრომის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის მათი უფლებების გაფართოებასთან, როლის მიზანშედეგობის ამაღლებასთან დაკავშირებით გარდაიქმნან:

— საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად (საქართველოს სსრ შრომისაგომი). შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი ამ საკითხზე;

— აფხაზეთის ასსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი — აფხაზეთის ასსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად (აფხაზეთის ასსრ შრომისაგომი);

— აჭარის ასსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი — აჭარის ასსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად (აჭარის ასსრ შრომისაგომი);

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომის სამმართველო — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამმართველოდ;

— შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროები დიდ და საშუალო ქალაქებში — მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის სამეურნეოანგარიშიან ცენტრებად, ამასთან დაეკისროთ მათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის სრული და რაციონალური დასაქმების უზრუნველსაყოფად, საჭირო კადრებზე საწარმოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შრომითი რესურსების, მათ შორის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა, აღრიცხვის, განაწილებისა და გადანაწილებისათვის, განთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

3. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის პროექტები;

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არ არის, შრომისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებების შექმნის შესახებ.

4. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

— შეადგინოს საქართველოს სსრ მოსახლეობის სოციალური განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების 15-წლიანი კომპლექსური პროგრამა სსრ კავშირის მთავრობის მიერ დადგენილი წესით და ვადებში;



— შეიმუშაოს კომპლექსური პროგრამის საფუძველზე წინადადებათა კარტელოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითადი მიმართულებების და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტის გამო;

— შეიმუშაოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშაკთა განაწილებისა და გადაანაწილების გეგმების პროექტები;

— სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით შეიმუშაოს და განახორციელოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების პროგრამები რეგონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, მათ შორის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩასაბმელად. უზრუნველყოს კომპლექსური მიდგომა სოციალური სფეროს ყველა რგოლის შემდგომი განვითარების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სოციალური ფაქტორების რაც შეიძლება სრულად გამოყენების, მოსახლეობის ეფექტური დასაქმების სისტემის შექმნის, შრომითი რესურსების გამოყენების დონის კარდინალური ამაღლების პრობლემათა გადაჭრისადმი;

— მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მუშათა და სპეციალისტთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, მჭიდროდ დაუკავშიროს პროფესიული მომზადება ეკონომიკურ სწავლებას, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყოს კადრების კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების სისტემის დანერგვა, მუშათა მომზადების მეთოდების სრულყოფა, ახალგაზრდა მუშების წარმოებაში დამკვიდრება და მათი გამოყენება მიღებული სპეციალობის შესაბამისად. ამაღლოს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის დონე.

5. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შრომისა და სოციალური განვითარების პრობლემათა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო და მწყობრი სისტემა სოციალური განვითარების, შრომისა და მისი ანაზღაურების პრობლემათა მეცნიერული კვლევის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მიმდინარე გამოკვლევათა დონის ამაღლების, პრაქტიკულ მუშაობაში მათი შედეგების ყოველმხრივი გამოყენების მიზნით;

— გარდაქმნას შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოების კადრებთან მუშაობა სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმისა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად. განამტკიცოს ეს ორგანოები კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, ინიციატივიანი და პოლიტიკურად მომზადებული სპეციალისტებით.

6. ამაღლდეს საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, მისი ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა შრომის,



ხელფასისა და სოციალურ საკითხთა მართვის სრულყოფისათვის, მედი საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მეურნეობის გაძლიერების ახალი პირობების შემოღების შედეგად განთავისუფლებულ მუშაკთა სრული დასაქმების, შრომითი მოწყობის, გადამზადებისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველსაყოფად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსთან ერთად მუდმივი კონტროლი გაუწიონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ნორმატიული თანაფარდობის შრომის ანაზღაურების სახსრების შექმნის ნორმატივების დაცვას.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს შრომითი რესურსების, სამუშაო ადგილებისა და კადრების ბალანსები, აგრეთვე შრომისა და კადრების გეგმები.

9. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დააჩქარონ სოციალური განვითარების სამსახურების ფორმირება, სრულყოფნა ამ სამსახურებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, უფრო სრულად გამოიყენონ მათი საქმიანობის შედეგები საზოგადოებრივი აზრის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების, მოსახლეობის შრომითი საქმიანობისა და მიგრაციის დასაბუთების შესასწავლად, შრომისადმი შეგნებული, შემოქმედებითი დამოკიდებულების, თითოეული მუშაკისათვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩასაწერად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დასამკვიდრებლად, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სოციალური რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად.

10. სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მიზნობრივ მომზადებაზე მათი გადასვლის სისტემის გარდაქმნის პირობებში, როგორც წესი, ხელშეკრულებათა საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განსაზღვრონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რეალური მოთხოვნილება ამ სპეციალისტებზე საწარმოო ძალთა განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ მიმართულებათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფნა კონტროლი მათი ეფექტიანი გამოყენებისადმი.

11. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას:

— საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო დანერგვითი სამეურნეო-ანგარიშობის ცენტრი საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყება-

თა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მცირერიცხოვანი ცენტრები, ამასთან დაეკისროს მას შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და სტიმულირების მოწინავე გამოცდილებას, პროგრესული ფორმების კვლევა, დაპროექტება და დანერგვა, შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სრულყოფა საწარმოებში;

— სამეურნეო-ანგარიშიანი საკონსულტაციო ფორმები „შრომა“ ქ. თბილისში და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში შრომის, მისი ანაზღაურების, სოციალური განვითარებისა და მართვის საკითხებზე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

12. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა და ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, მის ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედება და თანამშრომლობა ადამიანთა შრომისა და ცხოვრების პირობებში ღრმა თვისებრივი გარდაქმნებისათვის გამიზნული სოციალური პროგრამებისა და გეგმების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ, არ დაუშვან შეფერხებანი საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, მიაღწიონ მიღებულ სამეურნეო-გადაწყვეტილებათა სოციალური მიმართულების გაძლიერებას.

13. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა თავიანთ მუშაობაში უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოების როლის შემდგომი ამაღლებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების სარეალიზაციოდ, სოციალური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად მათი გადაქცევა.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოები, შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოები ძირეულად გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ყოველ ღონეს იხმარენ შრომის, სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟ. პაბიაშვილი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩიჩუაშვილი	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე 3. სირაძე
---	--	--

სკკპ ცენტრალური კომიტეტი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და
პროფესიულ კავშირთა სრულიად სსკპშირო
ცენტრალური საბჭო
დადგენილება № 825

1987 წლის 17 ივლისი

**პარტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშაკების
გაძლიერებისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ**

პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელება, ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მოითხოვს ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლებას, სოციალური პოლიტიკის შემდგომ გააქტიურებას, მოტივებისა და სტიმულების ეფექტიანი სისტემის შექმნას, რომელიც შთააგონებს ყველა მუშაკს ნაყოფიერად იზრომოს საერთო კეთილდღეობისათვის. ამაზე გამაძვირებელია არის დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევა, თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.

ქვეყანაში ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა. დამკვიდრდა სოციალისტური ცხოვრების წესი, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ფართო სოციალური გარანტიები, უმჯობესდება შრომის პირობები, უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის საცხოვრებელზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე და კულტურაზე.

ამასთანავე უკანასკნელი ხუთწლეულების წლებში სოციალური სფეროს განვითარებაში გამწვავდა მთელი რიგი პრობლემები, გამოვლინდა ნეგატიური მოვლენები და სოციალური სამართლიანობის დარღვევები, შენედა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ზრდა. მატერიალური დოვლათისა და მომსახურების განაწილებაში გაძლიერდა გათანაბრებითი ტენდენციები, რაც წარმოშობდა სხვათა მოიმედობას, უარყოფითად მოქმედებდა შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, ამცირებდა მისი ნაყოფიერების ამაღლების სტიმულებს. ფულადი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საცალო საქონელებზე და ფასიანი მომსახურება, რამაც გამოიწვია მოსახლეობის არადაამაკმაყოფილებელი გადაზღვისუნარიანი მოსახლეობის გადიდება.

წარმოიშვა დისპროპორციები წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარებაში. კვლავ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა. ჯეროვანი შეფასება არ ეძლეოდა სოციალურ-კულტურული დარგების მატერიალური ბაზის განმტკიცების მომწიფებულ საკითხებს, განსაკუთრებით სოფლად. გაჩნდა გადახრები დარგებისა და რეგიონების, პირველ რიგში ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სოციალური სფეროს განვითარებაში.

კოორდინირებული არ არის სახელმწიფოებრივ დონეზე დემოკრატიულ პრობლემათა გადაჭრა. ქვეყნის ცალკეულ კარბმუშახელიან რეგიონებში დამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული მუშაობა შრომისუნარიანი ასაკის დაუსაქმებელი მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩასაბმელად.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია შრომისა და მისი ანაზღაურების დარგში. შრომის ორგანიზაცია არ შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს, მეურნეობის გაძლოლის ახალ პირობებს. ნელი ტემპით მცირდება ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენება. მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი შრომობს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში, ნელა მცირდება საწარმოო ტრავმატიზმი. დაეცა მუშათა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური შრომის პრესტიჟი. დაირღვა დასაბუთებული თანაფარდობა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და დარგის მუშაკთა ხელფასში.

სოციალური განვითარებისა და შრომის მართვისა და დაგეგმვის მექანიზმი უწინდებურად არასრულყოფილია, ნაკლებად ეფუება წარმოების ცვალებად პირობებს, მეურნეობის ეფექტიანი გაძლოლის მოთხოვნებს, მშრომელთა სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს.

სოციალურ საკითხთა გადაწყვეტაში კარბობს არაკომპლექსური, ვიწრო-უწყებრივი მიდგომა. ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ ორგანოებს არ დაუკავებიათ აქტიური პოზიცია სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, კოორდინირებული არ არის მათი საქმიანობა ამ დარგში. სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსები იქსაქსება, ეფექტიანად არაა გამოყენებული. დაუსაბუთებლად კნინდებოდა შრომითი კოლექტივების როლი მრავალფეროვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, ხელოვნურად იზღუდებოდა მათი უფლებანი.

სსრ კავშირის შრომსახკომი, როგორც შრომის, ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში მართვის ცენტრალური ორგანო, არადამაკმაყოფილებლად იყენებს თავის შესაძლებლობებს. ხშირად უმნიშვნელოვანესი საზალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის საზიანოდ იგი კერძო, ოპერატიული საკითხებით არის დაკავებული, ცვლის სამინისტროებსა და უწყებებს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები არ იჩენენ ჟეროვან პრინციპულობასა და სიმტკიცეს საარსებო სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

აქტიური სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ქმედით ღონისძიებებთან, რომელთა მიზანია სოციალური სფეროს განვითარების დაჩქარება, მისთვის თანამედროვე იერსახის მიცემა, აქ არსებული ჩამორჩენის დაძლევა. ამისათვის საჭიროა მართვის ყველა ორგანოსა და შრომითი კოლექტივის ძირეული შემობრუნება სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ადგენენ:

1. სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის საქმეში თვისებრივი ძვრების მიღწევის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდეს შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან განუყოფელი კავშირით, დემოკრატიის გაფართოებით.

საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში სოციალური განვითარების პროცესებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეხამება შრომითი კოლექტივებისა და მუშაკთა ინტერესებთან, შეიქმნას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა სრული რეალიზაციისათვის საჭირო პირობები.

II. შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

2. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა ამაღლდეს სოციალური პროგრამების შემუშავების მეცნიერული დასაბუთება და მათი როლი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე სახელმწიფო გეგმების ფორმირებაში. უზრუნველყოფილ იქნეს კომპლექსური მიდგომა და სოციალური სფეროს ყველა რგოლის პროპორციული განვითარება, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სოციალური ფაქტორების რაც შეიძლება სრულად გამოყენება, შეიქმნას მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების სისტემა, კარდინალურად გაუმჯობესდეს შრომითი რესურსების გამოყენება.

ამაღლდეს სოციალური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მთელი მუშაობის დონე, ამასთან ყოველმხრივ იქნეს გათვალისწინებული ცვლილებანი ადამიანთა მოთხოვნილებებში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და სოციალური ჯგუფის სპეციფიკური ინტერესები და მოთხოვნები.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიის უფრო ღრმა და ახლებსათვის საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს სოციალური განვითარების ხალხის კეთილდღეობის ამაღლების 15-წლიანი კომპლექსური პროგრამის გორც პროგნოზირებისა და დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი პერსპექტივისათვის.

კომპლექსურმა პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელების ძირითადი მიმართულებანი, გზები და მეთოდები, შრომის, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, ხელფასისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების, ფასებისა და გადასახადების, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების, სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების პრობლემების ჩათვლით.

დაწესდეს, რომ სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსურ პროგრამას შეიმუშავებენ სსრ კავშირის შრომსახკომი და საკავშირო პროფსაბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით არა უგვიანეს 3 თვისა ახალი ხუთწლედის დაწყებამდე. ამ პროგრამის საფუძველზე სსრ კავშირის შრომსახკომი შეიმუშავებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე წინადადებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითადი მიმართულებების და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტის გამო, უშუალოდ მონაწილეობს ამ დოკუმენტების მომზადებაში.

3. ხალხთმოსახლეობის პრობლემათა უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით გააქტიურდეს მუშაობა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის განსახორციელებლად, ამასთან აყვანილ იქნეს იგი საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე. უზრუნველყოფილ იქნეს ხალხთმოსახლეობის განვითარების, ქალთა, ახალგაზრდობის, ხანდაზმულთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ოჯახების ფორმირების, მოსახლეობის ჩანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა ფართოდ შემუშავება და თანამიმდევრულად განხორციელება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხალხთმოსახლეობის დაზღვი ღონისძიებათა განხორციელებას იმ რაიონებში, სადაც რთულია დემოგრაფიული ვითარება, აგრეთვე მაღალია ქალთა დასაქმების დონე და შრომითი რესურსების დეფიციტი. სახალხო მეურნეობის განვითარების, მისი სტრუქტურის სრულყოფის, საწარმოო ძალთა განლაგების საგეგმო დავალებანი ორგანულად დაუკავშირდეს ხალხთმოსახლეობის პრობლემათა გადაჭრას.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემუშავდეს სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური პროგრამის შემადგენლობაში ქვეყნის მოსახლეობის ზრდისა და სტრუქტურის შეცვლის, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, მოსახლეობის სრული დასაქმების მიღწევის პროგნოზები, აგრეთვე მომზადდეს ხალხთმოსახლეობის რეგიონალური პროგრამები რაიონების დემოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. უზრუნველყოფილ იქნეს მეცნიერულად დასაბუთებულ სოციალურ ნორმატივების ფართოდ გამოყენება მართვაში, ამასთან საფუძვლად დაედოს ისინი სოციალური სფეროს განვითარების დაგეგმვას. ეს ნორმატივები უნდა გახდეს სოციალური სფეროს განვითარების მიღწეული დონის შეფასების კრიტერიუმი და მის დარგებსა და რეგიონებს შორის რესურსების განაწილების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, სოციალური პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

სავალდებულოდ ჩაითვალოს სოციალური ნორმატივების დაცვა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ახალ საწარმოთა და წარმოებათა დაპროექტების, მშენებლობისა და მოქმედის რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების დროს, აგრეთვე გარემოს დაცვის დონის ძიებათა განხორციელებისას.

სსრ კავშირის შრომსახეობმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ორგანიზაცია გაუწიონ ზემოაღნიშნული სოციალური ნორმატივების შემუშავებას და გამოიყენონ ისინი სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური პროგრამის შედგენისას, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითად მიმართულებების და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტის გამო წინადადებათა მომზადებისას.

5. დაწესდეს, რომ შემუშავებული აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამისი სოციალურ-კულტურული დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. მართვის ყველა დონეზე გეგმების ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს რესურსებისა და სახსრების პრიორიტეტული და მიზანდასახული გამოყოფა იმ დარგების განსავითარებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ საბინაო პრობლემის უსწრაფესად გადაჭრას, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას, მისი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გადაჭრით აღმოფხვრას „ნარჩენობითი“ მიდგომა სოციალური სფეროს განვითარებისათვის რესურსების გამოყოფისადმი.

უფრო სრულად იქნეს გამოყენებული სოციალური სფეროს დარგთა განვითარების დაფინანსების სხვადასხვა წყარო მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. ყველა დონეზე გეგმების ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს სახსრების გამოყოფა სოციალური განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში თანამიმდევრულად განხორციელდეს ის ხაზი, რომ შრომითმა კოლექტივებმა უნდა გამოიმუშაონ სახსრები სოციალური განვითარებისათვის. მაღალმწარმოებლური მოწყობილობის ეფექტიანი დატვირთვის, მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმზე გადასვლის საფუძველზე საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის

გათვალისწინებული განთავისუფლებული კაპიტალური დაბანდებანი ეკონომიკურ-
 ნებულ იქნეს სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური სფერო-
 ზის განსაფრთხილებლად.

უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სახსრები კოოპე-
 რაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად, გან-
 საკუთრებით სოფლად. გამოყენებულ იქნეს სესხების საფუძველზე მშრო-
 მელთა პირადი დანაზოგები სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლო-
 ბის დასაფინანსებლად.

6. საჭიროდ ჩაითვალოს მნიშვნელოვნად განმტკიცდეს სოციალური გან-
 ვითარების მართვის სამეცნიერო და საინფორმაციო ბაზა. თვისებრივად ახალ
 დონეზე ავიდეს სოციალურ პრობლემათა, ცხოვრების წესის, შრომის კვლევა
 და გაუმჯობესდეს პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერულ ნამუშევართა გა-
 მოყენება. განხორციელდეს სოციალურ პროცესთა თეორიული ანალიზის
 გაღრმავებისა და მეცნიერულ ნამუშევართა კომპლექსურობის ამაღლების,
 სოციოლოგიური კვლევისა და სოციალური სტატისტიკის გაფართოების, სა-
 მეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების ღო-
 ნისძიებანი.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გამოყენების მიზნით სისტემა-
 ტურად მოეწყოს მოსახლეობის გამოკითხვა უმნიშვნელოვანეს სოციალურ-
 ეკონომიკურ თემებზე. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საკავშირო
 პროფსაბჭოთა და სსრ კავშირის შრომსახკომთან სოციალურ-ეკონომიკურ
 საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საკავშირო ცენტრი. მუ-
 შაობა საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად განხორციელდეს სსრ კავშირის
 შრომსახკომთან და მის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა სოციალური ორიენტირე-
 ბის გასაძლიერებლად გათვალისწინებულ იქნეს კადრების მომზადების, გადამ-
 ზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სოციოლოგიური განათ-
 ლების მნიშვნელოვანი გაფართოების ღონისძიებანი.

II. შრომის ეფექტიანობის ამაღლება და მისი ანაზღაურების მასტიმულირე- ბელი როლის გაძლიერება

7. უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად ჩაითვალოს შრო-
 მის ნაყოფიერების — ქვეყნის ძლიერების განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კე-
 თილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლის — მკვეთრი ამაღლება.

განხორციელდეს შრომის შინაარსისა და ხასიათის ღრმა თვისებრივი
 გარდაქმნები, სრულად იქნეს გამოყენებული ამისათვის მეცნიერულ-ტექნიკუ-
 რი პროგრესის მიღწევები, ორგანიზაციული და ეკონომიკური ბერკეტები.

განუხრებლად ამაღლდეს შრომის, როგორც სოციალისტური საზოგადოების
 ყველაზე მთავრი ფასეულობის, ავტორიტეტი. ყოველმხრივ განდიდდეს მშრო-
 მელი ადამიანი, მიღწეულ იქნეს, რომ მისი საზოგადოებრივი აღიარება და მა-
 ტერიალური კეთილდღეობა განისაზღვრებოდეს მხოლოდ შრომით.

8. უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი მათი თანამიმდევრული რეალიზაცია, შრომისუნარიანი მოსახლეობისთვის და ვეფექტიანი დასაქმება.

გაუმჯობესდეს შრომით რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა და უზრუნველყოფის წყაროების პროგნოზირება, განხორციელდეს მუშათა ორგანიზებული შეგროვება. შეიქმნას ხელშემწყობი პირობები საზოგადოებრივ შრომაში ვეტერანთა, დიასახლისთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა ჩასაბმელად. ყოველმხრივ წახალისდეს კოლმეცნიერული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარება.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის შრომსახეობი შეიმუშავდეს სახალხო მეურნეობის დარგებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მუშაკთა განაწილებისა და გადანაწილების გეგმების პროექტებს და მონაწილეობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განლაგების გეგმების შეიმუშავებაში.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ შრომითი რესურსების, სამუშაო ადგილებისა და კადრების ბალანსები, აგრეთვე შრომისა და კადრების გეგმები შეიმუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის შრომსახეობითან ერთად.

დაეკისროთ სსრ კავშირის შრომსახეობისა და მის ადგილობრივ ორგანოებს პასუხისმგებლობა სრული დასაქმების უზრუნველყოფ-სათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მეურნეობის გაძლიერების ახალი პირობების შემოღების შედეგად მოქმედი საწარმო-ორგანიზაციებთან და დაწესებულებებიდან განთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის სისტემის ორგანიზაციისათვის, მათი მომზადებისა და პროფორიენტაციისათვის.

სსრ კავშირის შრომსახეობმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაოს და განხორციელოს რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების პროგრამები, მათ შორის ჰარმონიზაციის რაიონებში, პირველ რიგში შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად.

9. წარმოების მზარდი დონის, ეკონომიკის გარდაქმნის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული მომზადების მჭიდრო ერთიანობა ეკონომიკურ სწავლებასთან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშათა და სპეციალისტთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მაღალი პროფესიონალიზმის, პოლიტიკური სიმწიფისა და ეკონომიკური წიგნიერების მისაღწევად. ამაღლდეს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის დონე.

სსრ კავშირის შრომსახეობმა და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკურ განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ კადრების კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების სისტემის დანერგვა, მათი მუშაობის კოორდინაცია, მუშათა მომზადების მეთოდების სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ახალგაზრდა მუ-



შათა დამკვიდრება წარმოებაში და მათი გამოყენება მიღებული სპეციალური ზედპროექტების შესაბამისად.

10. განისაზღვროს, რომ მართვის ორგანოთა და საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა განხორციელონ თვისებრივად ახლებური მიდგომა შრომის ორგანიზაციისადმი იმ ვარაუდით, რომ იგი შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებსა და უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს. შეიქმნას კოლექტიური და ოჯახური იჯარის მასობრივი გამოყენების, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების განვითარების პირობები. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა კატეგორიის მუშაკთა შრომის ნორმირების შემდგომი სრულყოფა, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მაქსიმალური გამოყენება, მოქმედი ნორმების დროულად შემოწმება და გადასინჯვა.

გაძლიერდეს სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ეფექტიანობა, აქტიურად განვითარდეს მრავალდაზგური მომსახურება და პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება. განხორციელდეს შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის დანაკარგების მკვეთრი შემცირების ღონისძიებანი.

პროფკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომის ორგანოებმა უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლება, წარმართონ იგი შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის საწარმოთა მეტოქეობის გასაძლიერებლად, სახელშეკრულებო მიწოდებათა ზუსტი შესრულებისა და ყოველგვარი რესურსების ეკონომიის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის შრომსახკომმა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა შრომის ორგანიზაციისათვის მუშაობისადმი, აამაღლოს შრომის დარგში შესამუშავებელი დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების მეცნიერული დასაბუთება, უზრუნველყოს მუშების, ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისადმი ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დროულად დამტკიცება, საჭირო ნორმატიულ მასალებზე საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება.

11. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის შრომსახკომთან ერთად:

გადასინჯონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი და ტერიტორიული ცენტრების ქსელი, გაამსხვილონ და გარდაქმნან ისინი სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და დანერგვით ორგანიზაციებად. დააყოსონ ამ ორგანიზაციებს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების კვლევა, დაპროექტება და დანერგვა, კოლექტივების სოციალური განვითარების, საწარმოებში მართვის მოწინავე გამოცდილების დანერგვა და გადაიყვანონ ისინი სამეურნეო ანგარიშზე;

გააძლიერონ შრომითი დანახარჯების ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებით დასაქმებულ ნორმატიულ-კვლევით ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია, განამტკიცონ ისინი კვალიფიციური კადრებით.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას ტერიტორიული სამეურნეო განვითარების საკონსულტაციო ბიუროები (ფირმები) შრომის, მისი მმართველობის, სოციალური განვითარების, მართვის საკითხებზე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

12. საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს შრომის ანაზღაურების შემდგომი სრულყოფა მისი ეფექტიანობისა და ხარისხის მკვეთრი ამაღლების ამოცანებიდან გამომდინარე. დამატებული არ იქნეს გათანაბრება, უზრუნველყოფილ იქნეს დასაბუთებული დიფერენციაცია შრომის ანაზღაურებაში, ამასთან არ შეიზღუდოს იგი მაქსიმალური ზღვრით, შრომის ანაზღაურება დამოკიდებული იყოს შრომის საბოლოო შედეგებში თითოეული მუშაკის კონკრეტულწვლილზე.

ამაღლდეს საწარმოთა შრომითი კოლექტივების როლი მაღალნაყოფიერი და ხარისხიანი შრომის სტიმულირებაში, კოლექტიური გამომუშავების დამოუკიდებლად განსაზღვრაში.

გაძლიერდეს სსრ კავშირის შრომსახკომის პასუხისმგებლობა დარგებსა, ქვეყნის რეგიონებსა და მუშაკთა კატეგორიებს შორის შრომის ანაზღაურებაში ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული ნორმატიული თანაფარდობის დაცვისათვის.

13. ხელფასის სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

ა) განხორციელდეს სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადასიჩქვა 5 წელიწადში ერთხელ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი ამოცანების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების, მუშაკთა პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურის ცვლილებების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის შრომსახკომმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სატარიფო სისტემის სრულყოფის პრინციპული მიმართულებების (დარგებისა და მუშაკთა კატეგორიების მიხედვით შრომის ანაზღაურების ცვლილების ჩათვლით), განაკვეთებისა და სარგოების გადიდების ოდენობის, პრემირების და მასტიმულირებელი დანამატებისა და სართების დაწესების შესახებ.

სატარიფო სისტემის სრულყოფის დამტკიცებულ მიმართულებათა შესაბამისად სსრ კავშირის შრომსახკომმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დააწესოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების ოდენობა, აგრეთვე შეიმუშაოს მათი შრომის ანაზღაურების პირობები;

ბ) განხორციელდეს ხელფასის რაიონული კოეფიციენტებისა და დანამატების სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში კადრების მიზიდვისა და დამკვიდრების მიზნით. ეტაპობრივად გადაწყდეს მოცემული ადგილისათვის

ერთიანი რაიონული კოეფიციენტის გამოყენების ამოცანა, ამჟამინდელი იტხერას არსებული სხვადასხვაობა ამ საქმეში. სსრ კავშირის შრომსახეობმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

14. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტი და სსრ კავშირის შრომსახეობი:

საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშავენ შრომის ანაზღაურებისათვის სახსრების შექმნის ნორმატივებს და სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ნორმატიულ თანაფარდობას;

ახორციელებენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მეურნეობის გაძლოლის ახალ პირობებში შრომის ანაზღაურების ფონდების შექმნის მეთოდების სრულყოფის ღონისძიებებს.

III. ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების სოციალურ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლება

15. მშრომელთა შემოქმედების გააქტიურება და ინიციატივა უშუალოდ არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების, მათი უფლებების გარანტიების განმტკიცების პრაქტიკულ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლებაზე.

შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მისი შინაარსიანობის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა ზუსტი სოციალური მიმართულება, დაჩქარდეს ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური სამუშაოების შემცირება.

ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში შრომისა და დასვენების რეჟიმების მზარდი როლის გათვალისწინებით ყოველმხრივ გაფართოვდეს მათი პროგრესული ფორმების გამოყენება, მუშაობის მოქნილი და სრიალა გრაფიკების, არასრული სამუშაო დღის (კვირის), შინამუშაობის ჩათვლით, წარმოების ინტერესების გათვალისწინებით. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემუშავდეს პროექტი სსრ კავშირის კანონისა შვებულებათა შე ახებ, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული შვებულებათა ერთიანი სისტემის შექმნა და მუშაკთა შრომით წვლილთან მათი კავშირის გაძლიერება. სსრ კავშირის შრომსახეობმა და საკავშირო პროფსაბჭომ წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხზე.

საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს შრომის არაბელსაყრელი პირობებისათვის საკომპენსაციო თანხებისა და შედგაათების მთლიანი სისტემა და დაიხვეწოს ამ მიზნებისათვის სახსრების განაწილების მექანიზმი, ამასთან გაძლიერდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური დაინტერესება შრომის პირობების გაუმჯობესებით და ამის

საფუძველზე საკომპენსაციო თანხებისა და შეღავათებისათვის ხარჯების შემცირებით.

16. სოციალურ ღონისძიებათა მეცნიერული დასაბუთების მიზნით გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რეალური ხელფასისა და რეალური შემოსავლის ტენდენციები, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფო, კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ფასებისა და საკომერციო ბაზრის ფასების დინამიკა, მომსახურების ტარიფები, გადასახადები, აგრეთვე საქონლითა და ფასიანი მომსახურებით უზრუნველყოფა. შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში რეალური ხელფასისა და რეალური შემოსავლის მაჩვენებელთა გამოანგარიშება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისა და ქვეყნის რაიონების მიხედვით.

გაძლიერდეს ყურადღება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი წვლილის გათვალისწინებით მათი განაწილების სრულყოფის საკითხებისადმი.

სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის სტატსახკომმა გააღრმავონ ოჯახების ბიუჯეტების შესწავლა და უფრო სრულად გაითვალისწინონ ისინი ეკონომიკური და სოციალურ განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების ფორმირებისას. მოყოლებული 1988 წლიდან გაითვალისწინონ მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (საარსებო მინიმუმის) და ოპტიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის შემუშავება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფისა და ქვეყნის რეგიონების მიხედვით. გამოიყენონ ეს ბიუჯეტები მოსახლეობის ცხოვრების მიღწეული ღონის შესაფასებლად და მისი ამაღლების ყველაზე ეფექტიანი გზების შესარჩევად, მათ შორის ოჯახების შემოსავლის, შრომის ანაზღაურების, პენსიების, სტიპენდიების და სხვა სოციალური თანხებისა და შეღავათების მინიმალური ღონის დასაბუთებლად.

სსრ კავშირის შრომსახკომმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სტატსახკომთან ერთად რეგულარულად მოახსენოს სსრ კავშირის მთავრობის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რეალური ხელფასის, რეალური შემოსავლისა და სამომხმარებლო ბიუჯეტების ტენდენციებისა და დინამიკის შესახებ.

17. გეგმზომიერად გაუმჯობესდეს ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, გადართოდეს მათი შრომითი საქმიანობისა და დედობის შეხამების შესაძლებლობანი, თანამიმდევრულად გადიდდეს ქალთა შვებულების ხანგრძლივობა და ანაზღაურების ოდენობა და ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული სხვა შეღავათები. გამოიჩინონ განსაკუთრებული ზრუნვა ობოლი ბავშვებისათვის.

უფრო აქტიურად განვითარდეს ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდათა საზოგადოებრივი მომსახურების ფორმები, გადიდდეს ბავშვთა ფულადი დახმარება, სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიები. ამჟამად მოქმედი ბავშვთა სხვადასხვაგვარი დახმარების უნიფიკაციისა და მათი გაცემის წესის სრულყოფის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს ასეთ დახმარებათა ერთიანი სისტემა.

18. ძირეულად გაუმჯობესდეს სოციალური უზრუნველყოფა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირის ახალი კანონმდებლობისა და შემოღების საფუძველზე, შესაძლებლობა მიეცეთ პენსიონერებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის, გაუმჯობესდეს პენსიონერთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხი. განხორციელდეს პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრების შემდგომი განვითარება, ხანდაზმულ მოქალაქეთათვის სახლ-ინტერნატებისა და სპეციალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაფართოება, ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურებისა და სოციალური დახმარების სხვადასხვაგვარი ფორმების დანერგვა.

19. გაძლიერდეს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა სოციალური სფეროს დარგების მომსახურებაზე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობისა და ამ დარგების ობიექტების დროული საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის. უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატური კონტროლი სოციალური სფეროს შექმნილი მატერიალური ბაზის ეფექტიანი გამოყენებისადმი, დაშვებული არ იქნეს უწყებრიობა და კუთხურობა ამ საქმეში.

სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ობიექტური შეფასებისა და მისი განვითარებისათვის დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სსრ კავშირის სტატსაქკომმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის შრომსაბკომმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გადასინჯონ ამ სფეროს განვითარების დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემა.

20. დაიქარდეს სოციალური განვითარების სამსახურების ფორმირება საწარმოებში (გაერთიანებებში), სამინისტროებში, უწყებებსა და ქვეყნის რეგიონებში. გაუმჯობესდეს ამ სამსახურებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა. უფრო სრულად იქნეს გამოყენებული მათი საქმიანობის შედეგები საზოგადოებრივი აზრის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების, მოსახლეობის შრომითი საქმიანობისა და მიგრაციის დასაბუთების, შესასწავლად, შრომისადმი შეგნებული, შემოქმედებითი დამოკიდებულების, თითოეული მუშაისათვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩასანერგად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დასამკვიდრებლად, წარმოების ეფექტიანობის ზრდის სოციალური რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად.

IV. სსრ კავშირის შრომსაბკომის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

21. სსრ კავშირის შრომსაბკომის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს აქტიური მონაწილეობა სოციალური განვითარების

საკითხთა გადაწყვეტაში. ამდღედ სსრ კავშირის შრომსახკომის როლი და პასუხისმგებლობა შრომის, მისი ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფის დარგში ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებითაა.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შრომის ორგანოების სისტემის სრულყოფა, სამინისტროებთან და უწყებებთან, გავრთიანებებთან და საწარმოებთან მათი ურთიერთმოქმედების გაუმჯობესება. გარდაიქმნან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შრომის სახელმწიფო კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების შრომის განყოფილებები — შესაბამისად — შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტებად და განყოფილებებად. გაფართოვდეს ამ ორგანოების უფლებანი და ვაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა შრომის, ხელფასისა და სოციალური განვითარების ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამთავრონ მეთორმეტე ხუთწლედში ქალაქებსა და რაიონებში შრომისა და სოციალურ საკითხთა ადგილობრივი ორგანოების და მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეო-ანგარიშობის ბიუროების შექმნა, განამტკიცონ ისინი კვალიფიციური კადრებით. გარდაქმნან ეს ბიუროები დიდ და საშუალო ქალაქებში მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრებად (სამეურნეო ანგარიშზე). დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის სრული და რაციონალური დასაქმების უზრუნველსაყოფად, საჭირო კადრებზე საწარმოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შრომითი რესურსების, მათ შორის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა, აღრიცხვის, განაწილებისა და გადანაწილებისათვის, განთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

22. გავრთიანებათა და საწარმოთა უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანობა შრომის, მისი ანაზღაურებისა და სოციალური განვითარების დარგში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებლად, ვაძლიერდეს კონტროლი შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის დაცვისადმი.

სსრ კავშირის შრომსახკომის საქმიანობა ძირითადად მოხმარდეს დარგთა-შორისი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრას. ამდღედ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების როლი, პასუხისმგებლობა და გაფართოვდეს მათი უფლებანი შრომისა და ხელფასის დარგში და გადაეცეთ დამატებით მათ გადასაწყვეტად შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად დარგობრივი და რეგიონალური ხასიათის სათანადო საკითხები.

23. სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მიზნობრივ მომზადებაზე მათი გადასვლის სისტემის გარდაქმნის პირობებში, როგორც წესი, ხელშეკრულებათა საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გააუმჯობესონ ამ

სპეციალისტებზე რეალური მოთხოვნების განსაზღვრა საწარმო ძალთა განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივების თვალსაზრისით, უზრუნველყონ კონტროლი სახალხო მეურნეობაში მათი ეფექტიანი გამოყენებისადმი.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომსახკომმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან პროფესიული სწავლების ეფექტიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს ყველა მუშის კვალიფიკაციის განუწყვეტელ ამაღლებას.

24. სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის სახმშენმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ მშენებლობაში ერთიანი დროის ნორმები და ფასდებანი, ახალი ობიექტების დაპროექტებისა და მოქმედის რეკონსტრუქციის დროს შრომის მოწინავე ორგანიზაციისა და სოციალური ფაქტორების გათვალისწინების მოთხოვნები.

განისაზღვროს, რომ წინადადებანი სატარიფო პირობების შეცვლის, მუშა-მოსამსახურეთათვის დამატებითი შეღავათებისა და უპირატესობების დაწესების შესახებ შეუძლიათ შეიტანონ სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის მთავრობაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ აუცილებლად განიხილავენ სსრ კავშირის შრომსახკომსა და საკავშირო პროფსაბჭოში.

დაეკისროს სსრ კავშირის შრომსახკომს მეთოდოლოგიური მუშაობა სახალხო მეურნეობის დარგებში კადრების ატესტაციისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა არჩევითობის სისტემისა და კომუნისტების ორგანიზაციის სრულყოფის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

25. სოციალური კეთილდღეობით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე სსრ კავშირის შრომსახკომმა მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივების გათვალისწინებით შეიმუშაოს რეკომენდაციები ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების გამო როგორც მოლიანად ქვეყნის, ისევე ცალკეული დარგებისა და რაიონების მიხედვით მათი ეტაპობრივი მიღწევის მიზნით.

26. სსრ კავშირის შრომსახკომმა უზრუნველყოს მეცნიერული კვლევის კოორდინაცია სოციალური განვითარების, შრომისა და მისი ანაზღაურების პრობლემებზე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აამაღლოს განსაზოციელებელ გამოკვლევათა დონე, ყოველმხრივ გამოიყენოს მათი შედეგები პრაქტიკულ მუშაობაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის შრომსახკომს დაეკისრა სოციალური განვითარების დარგში ახალი ამოცანები, რომლებიც ღრმა მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვენ, დაექვემდებაროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა ინსტიტუტი ამავე დროს სსრ კავშირის შრომსახკომსაც. შეიქმნას ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა ინსტიტუტი და დაექვემდებაროს იგი იმავე უწყებებს, შეიქმნას სსრ კავშირის შრომსახკომისა და სსრ კავში-



რის მეცნიერებათა აკადემიის შრომისა და სოციალური განვითარების, რობ-
ლემათა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო.

გადაყვანილ იქნენ მეთორმეტე ხუთწლედში სრულ სამეურნეო აკადემი-
ზე სსრ კავშირის შრომსახეობის საქვეუწყებო სამეცნიერო ორგანიზაციები
სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

27. სსრ კავშირის შრომსახეობმა აამაღლოს საერთაშორისო კავშირურ-
თერთობის ეფექტიანობა, უზრუნველყოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა
სოციალისტური ქვეყნების შრომის ორგანოებთან. ფართოდ გამოიყენოს მო-
წინავე საზღვარგარეთული გამოცდილება შრომისა და ხელფასის ორგანიზა-
ციის სრულყოფის, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სო-
ციალური განვითარებისა და სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე წინა-
დადებათა მომზადებისას. გააუმჯობესოს გამოცდილებისა და ინფორმაციის
გაცვლა-გაზიარება, განახორციელოს ურთიერთკონსულტაციები და მეცნიე-
რული გამოკვლევები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყ-
ნებთან.

დაევალოს სსრ კავშირის შრომსახეობს უზრუნველყოს ხელმძღვანელობა,
კოორდინაცია და კონტროლი სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობისადმი
ქვეყნის საწარმოებში უცხოელ მუშათა პროფესიული სწავლებისა და მუშაო-
ბის ორგანიზაციისათვის.

28. სსრ კავშირის შრომსახეობმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და
უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გარდაქმნან
მუშაობა შრომისა და სოციალურ საკითხთა და სოციალური უზრუნველყო-
ფის ორგანოების კადრებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანე-
რის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად. განამტკიცონ ეს ორგანოები კომ-
პეტენტური, მაღალკვალიფიციური, ინიციატივიანი და პოლიტიკურად მომზა-
დებული სპეციალისტებით.

29. სსრ კავშირის შრომსახეობის ახალ ამოცანებთან და ფუნქციებთან
დაკავშირებით გადაისინჯოს მისი ორგანიზაციული სტრუქტურა. კომიტეტმა
განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს თავისი კრებისითი და ფუნქციონალუ-
რი სამსახურების მნიშვნელოვან განმტკიცებასა და როლის ამაღლებას, აგ-
რეთვე სოციალური განვითარების საკითხებზე სპეციალურ ქვედანაყოფთა
შექმნას.

30. საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებ-
მა და საბჭოებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სსრ
კავშირის შრომსახეობთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო ურთი-
ერთმოქმედება და თანამშრომლობა საბჭოთა ადამიანების შრომასა და ცხოვ-
რების პირობებში ღრმა თვისებრივი გარდაქმნებისათვის გამიზნული სოცია-
ლური პროგრამებისა და გეგმების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ, არ
დაუშვან შეფერხებანი საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში,
მიაღწიონ მიღებულ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სოციალური მიმართუ-
ლების გაძლიერებას.



31. დაწესდეს, რომ სოციალური უზრუნველყოფის, შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, პირობებისა და ანაზღაურების, შედეგათებისა ტესტობათა მინიჭების საკითხებს სსრ კავშირის შრომსახკომი წყვეტს რო პროფსაბჭოსთან ერთად.

32. მოკავშირე რეპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, იხელმძღვანელონ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, გააძლიერონ ყურადღება სოციალური ამოცანების გადაჭრისადმი, უზრუნველყონ აქტიური სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული რეალიზაცია, სისტემატური კონტროლი ამ დარგში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.



სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოები, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ყოველ ღონეს იხმარენ შრომის, სოციალური განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალური
კომიტეტის
მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ნ. რიშკოვი

საკავშირო
პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ხ. შალაპოვი



ქართველი
წიგნწერების
კავშირთა
და
საზოგადოებრივი
კავშირების
კავშირთა
და
საზოგადოებრივი
კავშირების

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

61 ხარისხის გათვალისწინებით ბოსტნეული, ბალახული კულტურებისა და საკვები ძირხვენიების ჯიშოვანი თესლისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან, ხარისხისა და რესპუბლიკის მეთესლეობის მეურნეობათა მატერიალური დაინტერესების ამოღების გათვალისწინებით ბოსტნეული, ბალახული კულტურებისა და საკვები ძირხვენიების ჯიშოვანი თესლის წარმოების გადიდების შესახებ და დაწესდეს „ბოსტანჯიშთესლის“ ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებისათვის რეალიზებული თესლისათვის ანგარიშსწორების შემდეგი წესი:

— თესლისათვის, რომლის სათესი თვისებები ჯიშობრივი სიწმინდისა და გალივების უნარის მიხედვით აღემატება I კლასის ნორმებს, სარეველებისა და კულტურული მცენარეების მინარევების მიხედვით — არ აღემატება I კლასის ნორმებს და ტენიანობის მიხედვით — არ აღემატება დარგობრივი სტანდარტით დაწესებულ ნორმებს, დანამატები (ბონიფიკაციები) გაიცეს ასეთი ანგარიშით: I კლასის ნორმების ზევით ჯიშობრივი სიწმინდისა და გალივების უნარის თითოეული პროცენტისათვის — ყოველი ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით საბითუმო (გასაცემი) ფასის დანამატის 1 პროცენტი;

— თესლი, რომლის სათესი თვისებები ჯიშობრივი სიწმინდისა და გალივების უნარის მიხედვით I კლასის ნორმებზე ნაკლებია, მაგრამ II კლასის ნორმების ფარგლებშია, ანაზღაურდეს ფასდაკლებით (რეფაქციით) ასეთი ანგარიშით: I კლასის ნორმებზე ნაკლები ჯიშობრივი სიწმინდისა და გალივების უნარის თითოეული პროცენტისათვის — ყოველი ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით საბითუმო (გასაცემი) ფასის დაკლების 1 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **მ. ჩარქაზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

62 „საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივთა შიქმინის შესახებ“ სსრ კავშირის მიწისობითა საბაზოს 1987 წლის 10 სექტემბრის № 1042 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 სექტემბრის № 1042 დადგენილება „საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივთა შიქმინის შესახებ“ (თან ერთად).

2. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მისცენ საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივებს საჭირო განმარტებანი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის წესის გამო.

3. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებას და აგროსამრეწველო განყოფილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩარქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიკვაძე**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 1042

1987 წლის 10 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშაულის გამომუშავების კოოპერატივთა შექმნის შესახებ

ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვან საკონდიტრო ნაწარმსა და პურფუნთუშეულზე მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამმართველოებთან (განყოფილებებთან), საკონდიტრო და პურსაცხობი მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე „ცენტროსოიუსის“ სისტემაში.

კოოპერატივები იქმნება მათში შემსვლელი მოქალაქეებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ინიციატივით.

კოოპერატივთა საქმიანობა წარიმართოს მაღალხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის, მათ შორის ეროვნული სახეობების, გამოსამუშავებლად, რაც არ შედის მასობრივი წარმოების პროდუქციის ნომენკლატურაში.

კოოპერატივებში მიიღებიან ძირითადად საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი მოქალაქენი, პენსიონერები, დისახლისები, სტუდენტები, მოსწავლეები. კოოპერატივებში შეუძლიათ იმუშაონ შრომითი შეთანხმების მიხედვით საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ამასთან მოქმედი კანონმდებლობით შემთავსებლობისათვის დაწესებული შეზღუდვები არ გამოიყენება.

კოოპერატივთა შექმნისას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე გაერთიანებანი, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივები, მათ იჯარით ან უსასყიდლო სარგებლობაში გადასცემენ შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობას და ძირითადი ფონდებისათვის განკუთვნილ სხვა ქონებას.

კოოპერატივთა საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო სახსრები ნედლეულის, აგრეთვე საბრუნავი სახსრებისათვის განკუთვნილ სხვა მატერიალურ



ფასეულობათა შესასყიდად იქმნება ბანკის მოკლევადიანი აგრეთვე კოოპერატივების წევრთა სახსრების ხარჯზე.

2. დაწესდეს, რომ საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივები:

მოქმედებენ თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე მიღებული წესდების შესაბამისად;

დამოუკიდებლად შეიმუშავენ და ამტკიცებენ საწარმო-სამეურნეო საქმიანობის გეგმებს და უზრუნველნიან მათ მართვის ორგანოს, გაერთიანებას, საწარმოს, ორგანიზაციას, რომლებთანაც არიან შექმნილი;

დამოუკიდებლად შეიმუშავენ მასობრივი წარმოების სტანდარტული პროდუქციისაგან განსხვავებით გამოსამუშავებელი ნაწარმის რეკეტურებს, ტექნოლოგიურ რეკიმებსა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამასთან სრულდება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა მოთხოვნები პროდუქციის წარმოებისა და შენახვის სანიტარიული ნორმებისა და წესების დაცვის, აგრეთვე კვების მიზნით გამოსაყენებლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ ნებადართული ნედლეულისა და მასალების გამოყენების ნაწილში;

დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთი გამომუშავებული შხა პროდუქციის რეალიზაციას მოსახლეობაში. დასაშვებია აგრეთვე პროდუქციის რეალიზაცია სახელშეკრულებო საწყისებზე სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მეშვეობით;

დამოუკიდებლად განსაზღვრავენ კოოპერატივის მიერ გამოსამუშავებელი და სარეალიზაციო საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის ფასებს. იმ შემთხვევებში, როცა კოოპერატივები გამოიმუშავენ პურსაცხობი მრეწველობის საწარმოთა მასობრივი წარმოების პროდუქციის ნომენკლატურაში შემავალ პურფუნთუშეულს, მისი ფასები არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო საცალო ფასების დონეს;

იხდიან ადგილობრივ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადს შექმნის შემდეგ პირველი წლის განმავლობაში კოოპერატივის შემოსავლის 2-3 პროცენტის, მეორე წლის განმავლობაში — 3-5 პროცენტის, ხოლო მომდევნო წლებში — 10 პროცენტის ოდენობით ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერჯის, ამორტიზაციის, გარეშე ორგანიზაციათა მომსახურების ანაზღაურების ხარჯების და ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის ხარჯების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანების გამოქვითვით. საშემოსავლო გადასახადის ვანაკვეთების კონკრეტულ ოდენობას ზემოაღნიშნულ ფარგლებში განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, რომელმაც გაატარა რეგისტრაციაში კოოპერატივის წესდება;

საშემოსავლო გადასახადის შეტანის შემდეგ თავიანთი ვანაკრავულებაში დარჩენილი შემოსავალი შეაქვთ კოოპერატივის განვითარების ფონდში, სადაზღვევო ფონდში და მისი მუშაკების შრომის ასანაზღაურებლად.

კოოპერატივის წევრთა გამომუშავება განისაზღვრება შრომის რაოდენობისა და ხარისხის, შემოსავლის შექმნაში შეტანილი პირადი წვლილის შესაბამისად.

კოოპერატივის განვითარების ფონდისა და სადაზღვევო ფუნდის შემსა-
მნელად სახსრების გადარიცხვის წესი განისაზღვრება კოოპერატივის წეს-
დებით;

კოოპერატივებს ემსახურებიან სახელშეკრულებო საწყისებზე სსრ კავში-
რის სახაგრომრეწვის, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს, სსრ
კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ავ-
რეთვე „ცენტროსოიუზის“ სისტემის სარემონტო-მექანიკური კომბინატები,
საწარმოები და ორგანიზაციები.

3. დაწესდეს, რომ:

კოოპერატივის მიერ საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის რეა-
ლიზაციის მოცულობა აღირიცხება იმ მართვის ორგანოს, გაერთიანების, სა-
წარმოს, ორგანიზაციის გეგმის შესრულების ამსახველ სტატისტიკურ ანგა-
რიშგებაში, რომელთანაც შექმნილია კოოპერატივი;

კოოპერატივის წევრთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება საერთო
კრების მიერ დამტკიცებული განაკვეთების (სარგოების) და სანარდო ფასდე-
ბათა მიხედვით. ხოლო კოოპერატივში სამუშაოდ შრომითი შეთანხმებით მი-
ღებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება — შრომითი შეთანხმებით
გათვალისწინებული პირობებით.

4. შეუნარჩუნდეთ საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამო-
მუშავების კოოპერატივის წევრებსა და კოოპერატივში შრომითი შეთანხმე-
ბით მომუშავე პირებს მიღებული პენსია, აგრეთვე სტიპენდია სწავლის ად-
გილზე და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე სრული ოდენობით.

5. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, რო-
მელთა ტერიტორიაზეც იქმნება საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეუ-
ლის გამომუშავების კოოპერატივები:

განახორციელონ დაინტერესებულ გაერთიანებებთან, საწარმოებთან და
ორგანიზაციებთან ერთად კოოპერატივთა შექმნისათვის საჭირო ორგანიზა-
ციული ღონისძიებანი, ამასთან ამის შესახებ ფართოდ შეატყობინონ მოსახ-
ლეობას, და განსაზღვრონ მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სფერო;

გაუწიონ კოოპერატივებს დახმარება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბა-
ზის განმტკიცებაში, ნედლეულითა და მასალებით, აგრეთვე ტრანსპორტით
უზრუნველყოფაში;

მიიღონ გადაწყვეტილება კოოპერატივთა წესდებების რეგისტრაციის
შესახებ კოოპერატივთა განცხადებების შემოსვლიდან 20 დღის ვადაში;

განახორციელონ კონტროლი კოოპერატივთა მუშაობისადმი.

6. საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კო-
ოპერატივები იყენებენ თავიანთი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის
პირველ რიგში ადგილობრივ ნედლეულსა და მასალებს.

პროდუქციის საწარმოებლად კოოპერატივები ყიდულობენ საჭირო პრო-
დუქტებს საკოლმეურნეო ბაზრებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-
ნეობებისაგან.

კოოპერატივებს შეუძლიათ იყიდონ საკმარისი რაოდენობით არსებული საჭირო ნედლეული და მასალები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი კომიტეტების აღმასკომების მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებში.

7. ნება დაერთოთ:

მართვის ორგანოებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებთანაც შექმნილია საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივები, გამოყონ ამ კოოპერატივებისათვის მისაყიდად მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შესაძლებლობის კვალობაზე ნედლეული საცალო ფასებში;

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზის“, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებისა და უწყებების საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიჰყიდონ კოოპერატივებს მასალები, სამარაგო ნაწილები, ინსტრუმენტი და მცირეგაბარიტიანი მოწყობილობა ნაღდ ანგარიშზე;

სსრ კავშირის სახმომარაგებას და მის ტერიტორიულ ორგანოებს მიჰყიდონ კოოპერატივებს ნედლეული, მასალები, სამარაგო ნაწილები, ინსტრუმენტი და მოწყობილობა;

საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაამზადონ კოოპერატივებისათვის დეტალები, სამარაგო ნაწილები და მცირეგაბარიტიანი მოწყობილობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქცია კოოპერატივებს მიეწოდებათ ნაღდ ანგარიშზე, იგი შედის დამამზადებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების მოცულობაში;

საწარმოებსა და ორგანიზაციებს გაუწიონ კოოპერატივებს სახელშეკრულებო საწყისებზე სატრანსპორტო მომსახურება, განახორციელონ მათი კუთვნილი მანქანებისა და მოწყობილობის რემონტი;

საწარმოებსა და ორგანიზაციებს რეალიზაცია უყონ კოოპერატივებში თავიანთ გამოუყენებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 28 ნოემბრის № 1425 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

8. საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივებს მიეცემათ:

ბანკის გრძელვადიანი კრედიტები მცირე მექანიზაციის საშუალებათა შესაძენად და ძირითადი ფონდების გაფართოებისათვის სხვა ხარჯების გასაწევად, იმ ვარაუდით, რომ კრედიტი დაიფაროს პირველი სესხის გაცემის დღიდან 2 წლის განმავლობაში;

ბანკის მოკლევადიანი კრედიტები ნედლეულის, აგრეთვე საბრუნავი საშუალებებისათვის მიკუთვნებულ სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესასყიდად.

თუ კოოპერატივს აქვს ბანკის სესხების ვალდადაცილებული დავალიანება, კრედიტის მიცემა განახლდება მისი დაფარვის შემდეგ.

ვალდადაცილებული ვადასახდელებისათვის კოოპერატივი პასუხს აგებს საკუთარი სახსრებითა და ქონებით, რომელზეც სსრ კავშირისა და მოკავში-

რე რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს დადგენილი წესით.

9. კრედიტით სარგებლობისათვის საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივები უხდებიან ბანკს:

გრძელვადიანი კრედიტების ხაზით — 0,75 პროცენტს, ვადაგადაცილებული სესხებისა — 3 პროცენტს;

მოკლევადიანი კრედიტების ხაზით — 1 პროცენტს, ვადაგადაცილებული სესხებისა — 3 პროცენტს.

კოოპერატივთა ანგარიშებზე არსებული სახსრების მიხედვით ბანკი იხდის წლიურის 0,5 პროცენტს.

10. ნება დაერთოთ საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივის წევრებს გამოიყენონ პირადი ავტომოტორტრანსპორტი, მოწყობილობა, ინსტრუმენტი და სადგომები კოოპერატივის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად, იმ ვარაუდით, რომ კოოპერატივმა აანაზღაუროს მათი გამოყენების ხარჯები.

11. საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივის წევრები ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამისათვის კოოპერატივს შეაქვს შესაბამისი სახსრები სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში პურსაცხოზი და საკონდიტრო საწარმოების მუშაკთათვის დაწესებული ოდენობით.

მართვის ორგანოები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივი, ახორციელებენ კოოპერატივის წევრთა სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ამასთან უფლებას აძლევენ მათ ისარგებლონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, კლუბების, საბავშვო სახლების, პიონერბანაკებისა და სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მომსახურებით.

12. საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივები, რომელთაც შესაძლებლობა არა აქვთ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, ექვემდებარებიან ლიკვიდაციას.

ამასთან კოოპერატივის მიზეზით მუშაკის დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების, ანდა გარდაცვალების გამო იმ დროებრივ გადასახდელებს, რომლებიც ლიკვიდირებულ კოოპერატივს უნდა გადაეხადა, ვადაიხდის მართვის ორგანო, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომლებთანაც იყო შექმნილი კოოპერატივი.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრომ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მისცენ საჭირო განმარტებანი საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის წესის გამო.

14. კონტროლი საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის წარმოების კოპერატივში პროდუქციის ხარისხისა და წარმოების სანიტარული მდგომარეობისადმი ხორციელდება სახელმწიფო საწარმოებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

15. მოწონებულ იქნეს საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოპერატივის თანდართული სანიმუშო წესდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. რიჟაკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. სვირტიუკოვი**

სსრ კავშირის მინისტრის განკარგულებაში
 წლის 10 სექტემბრის № 1042
 დადგენილებით

სანიმუშო წესდება

საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების
 კოოპერატივისა

I. საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავების კოოპერატივის მიზნები და ამოცანები*)

1. კოოპერატივი არის ორგანიზაცია სსრ კავშირის მოქალაქეებისა, რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ კოლექტიური შრომისა და თვითმმართველობის საფუძველზე საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავებისა და რეალიზაციის სამუშაოთა ერთობლივად შესრულების მიზნით.

კოოპერატივი იქმნება სახალხო დემუკრატა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამმართველოებთან (განყოფილებებთან), საკონდიტრო და პურსაცხობი მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე „ცენტროსოიუზის“ სისტემაში არანაკლებ სამი მოქალაქის შემადგენლობით, რომელთაც გამოთქვეს სურვილი თავიანთი შრომით მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

2. კოოპერატივის ძირითადი ამოცანაა გამოიყენოს შესაძლებლობანი და რეზერვები ახალ მაღალხარისხოვან საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ მოქალაქეთა შრომის გამოყენებისათვის.

II. კოოპერატივის წევრობა, კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი

3. კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შესწევთ უნარი თავიანთი შრომით მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში. ძირითადად კოოპერატივებში მიიღება საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი მოსახლეობა: პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები და მოსწავლეები.

კოოპერატივის წევრებს იღებს წერილობითი განცხადების მიხედვით კოოპერატივის წევრთა საერთო კრება შემსვლელთა თანდასწრებით. საერთო კრების გადაწყვეტილება მიღებაზე უარის შესახებ საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

*) შემდგომში ეწოდება „კოოპერატივი“.

3. კოოპერატივის წევრი მოვალეა:

დაიცვას კოოპერატივის წესდება და შინაგანაწესი, შეასრულოს კოოპერატივის საერთო კრებების გადაწყვეტილებანი;

კეთილსინდისიერად იზრომოს და დაიცვას შრომის დისციპლინა, დაეუფლოს მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს;

უზრუნველყოს პროდუქციის ჯეროვანი ხარისხი, საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის წარმოებისა და რეალიზაციის მაღალი კულტურა, დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და წესები;

აქტიურად მიიღოს მონაწილეობა კოოპერატივის საქმეთა მართვაში, გაუფრთხილდეს და განამტკიცოს სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრება, არ დაუშვას უყაირათობა და დაუდევარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი.

5. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

მიიღოს სამუშაო კოოპერატივის მეურნეობაში კოოპერატივის შესაძლებლობათა და მუშაკის კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

მიიღოს გასამრჩელო კოოპერატივის წევრთა შორის გასანაწილებელი შემოსავლიდან მის მიერ ჩადებული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად;

შეიტანოს წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, თანამდებობის პირთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, აირჩიოს და არჩეულ იქნეს არჩევითს თანამდებობაზე.

6. კოოპერატივის თითოეულ წევრზე შემოღებულია შრომის წიგნაკი მუშა-მოსამსახურეთათვის დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კოოპერატივის წევრის ძირითადი სამუშაოს ადგილია სახელმწიფო კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (საწარმო).

7. კოოპერატივის წევრის განცხადება კოოპერატივიდან გასვლის შესახებ უნდა განიხილოს ერთი თვის ვადაში კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ.

კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან გასულად ითვლება საერთო კრების მიერ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

კოოპერატივის ყოფილ წევრს ანგარიში უსწორდება კოოპერატივიდან გასვლის დღიდან ორი დღის ვადაში მის მიერ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ან ნამუშევარი დროის მიხედვით დაწესებული განაკვეთების (სარგობის) და სანარდო ფასდებების შესაბამისად.

სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, კოოპერატივის ყოფილ წევრს გამოეყოფა მისი კუთვნილი გასამრჩელოს წილი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით გასანაწილებელი კოოპერატივის შემოსავლიდან.

კოოპერატივის ყოფილ წევრს, რომელმაც თვითნებურად მიატოვა წარმოება ან გაირიცხა კოოპერატივის შემადგენლობიდან შრომის დისციპლინის ან კოოპერატივის წესდების უხეში ან სისტემატური დარღვევებისათვის, ანგარიში გაუსწორდება იმავე წესით, მაგრამ არ მიეცემა გასამრჩელოს წილი

სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით გასანაწილებელი კოოპერატივის შემოსავლიდან.

8. კოოპერატივისათვის მიყენებული ზარალის გამო კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზითაც მიყენებული იქნა ზარალი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა კანონმდებლობით მუშა-მოსამსახურეთათვის დადგენილი წესითა და ოდენობით.

III. კოოპერატივის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

9. კოოპერატივი ახორციელებს საწარმოო საქმიანობას საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის გამომუშავებისა და რელიზაციისათვის.

10. კოოპერატივი არის იურიდიული პირი და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, აგრეთვე ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

კოოპერატივი ინახავს ფულად სახსრებს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე ბანკის დაწესებულებებში ან შემნახველ სალაროებში და ასრულებს ყველა საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციას დადგენილი წესების შესაბამისად.

კოოპერატივის ანგარიშებიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა ან გაცემა ხდება კოოპერატივის თავმჯდომარისა და ბუღალტრის განკარგულებით.

11. კოოპერატივები დამოუკიდებლად შეიმუშავენ და ამტკიცებენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმას და უზგავნიან მას მართვის ორგანოს, ვაერთიანებას, საწარმოს, ორგანიზაციას, რომლებთანაც არიან ისინი შექმნილი.

12. კოოპერატივი მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად:

ყიდულობს საჭირო პროდუქტებს საკოლმეურნეო ბაზრებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. ყიდულობს საკმარისი რაოდენობით არსებულ საჭირო ნედლეულსა და მასალებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საჭოების აღმასკომების მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებში.

იყენებს თავის საქმიანობაში კოოპერატივის წევრთა ავტომოტოტრანსპორტს, სადგომებს, მოწყობილობას, ინსტრუმენტებს და შესაბამისად უნახ-დაურებს მფლობელებს მათი გამოყენების ხარჯებს;

იღებს სარგებლობაში დადგენილი წესით საჭირო შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობასა და სხვა ქონებას, რომელიც ძირითად ფონდებს განეკუთვნება, აგრეთვე იძენს საჭირო მცირე მექანიზაციის საშუალებებს, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციასა და სახალხო მოხმარების საქონელს საცალო ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში ნაღდ ანგარიშზე.

იღებს დადგენილი წესით ბანკის გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს;

ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ასრულებს სხვა მოქმედებას, რაც მისი საქმიანობის მიზნებსა და საწესდებო ამოცანებს შესაბამეა.

13. კოოპერატივი ახორციელებს საბუღალტრო და სტატისტიკურ მუშაობას დადგენილი წესით და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის.

14. წარმოებული და სარეალიზაციო პროდუქციის ფასებს განსაზღვრავს კოოპერატივი მის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე.

ამასთან კოოპერატივის მიერ გამოიმუშავებული იმ პურფუნთუშეულის ფასები, რომელიც პურსაცხობი მრეწველობის საწარმოთა მასობრივი წარმოების პროდუქციის ნომენკლატურაში შედის, არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო საცალო ფასების დონეს.

15. კოოპერატივში საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის წარმოებისა და რეალიზაციისათვის გამოყენებული ნედლეული, სასურსათო საქონელი და შესაფუთავი მასალები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს და ნებადართული უნდა იყოს მათი გამოყენება კვების მიზნებისათვის.

IV. კოოპერატივის სახსრების შექმნა და გამოყენება

16. კოოპერატივის სახსრები იქმნება საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის წარმოებისა და რეალიზაციისაგან მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის წევრთა სახსრებისა და სხვა შემოსავლის ხარჯზე.

17. კოოპერატივის საქმიანობისაგან მიღებული შემოსავალი გამოიყენება მატერიალური დანახარჯების ასანაზღაურებლად, სავალდებულო გადასახდელებისა და ანარიცხების განსახორციელებლად, საშემოსავლო გადასახადის შესატანად. ამასთან კოოპერატივს შეაქვს ელექტროენერგიით, გაზით, წყლით, ორთქლითა და კომუნალური მომსახურებით სარგებლობის გადასახდელები ამ მომსახურების ანაზღაურების მოქმედი წესისა და ოდენობის შესაბამისად, რაც განსაზღვრულია საკონდიტრო და პურსაცხობი მრეწველობის საწარმოებისათვის.

კოოპერატივის განკარგულებაში არსებული შემოსავალი ხმარდება კოოპერატივის განვითარების ფონდის, სადაზღვევო ფონდის შექმნასა და კოოპერატივის მუშაობა შრომის ანაზღაურებას.

18. სადაზღვევო ფონდი განკუთვნილია გაუთვალისწინებელი ხარჯების, საკონდიტრო ნაწარმისა და პურფუნთუშეულის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ზარალის დასაფარავად, აგრეთვე კოოპერატივის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ვალის გასასტუმრებლად.

19. კოოპერატივს თავის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლია გამოუყოს თავისი სახსრების ნაწილი სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წილობრივ საწყისებზე საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად.

20. კოოპერატივი პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისათვის საკუთარი სახსრებითა და ქონებით, რომლებზეც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებების მიხედვით.



V. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დისციპლინა

ქართული
პარლამენტი

21. ყველა სამუშაოს კოოპერატივში ასრულებენ მისი წევრები, აგრეთვე მუშაკები, რომლებიც დაწესებულ შემთხვევებში სამუშაოდ არიან მიღებული კოოპერატივში შრომითი შეთანხმებით. სხვა მოქალაქეებს შეუძლიათ შეასრულონ ცალკეული სამუშაოები საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით. კოოპერატივში შრომითი შეთანხმებით მომუშავე პირებზე ვრცელდება შრომის კანონმდებლობის მოქმედება.

22. კოოპერატივში სამუშაო დროის ხანგრძლივობა და განრიგი, დასვენების დღეების, ყოველწლიური და დამატებითი შვებულებების მიცემის წესი, საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობის მინიმუმი და კოოპერატივის წევრთა შრომითი საქმიანობის სხვა საკითხები რეგულირდება მოქმედი შრომის კანონმდებლობით, კოოპერატივის წესდებითა და შინაგანაწესით.

23. ყველა სამუშაო კოოპერატივში ხორციელდება უსაფრთხოების ტექნიკის დადგენილი წესებისა და ნორმების, საწარმოო სანიტარიის მოთხოვნებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით.

24. კოოპერატივის წევრთა, აგრეთვე კოოპერატივში შრომითი შეთანხმებით მომუშავე ანდა საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოს შემსრულებელ პირთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება სახსრების ხარჯზე, რაც რჩება ამ მიზნებისათვის დაწესებული მიმართულებების მიხედვით შემოსავლის განაწილების შემდეგ. აღნიშნული სახსრები იხარჯება თავდაპირველად იმ მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც კოოპერატივის წევრები არ არიან. დანარჩენი თანხა ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის საერთო კრების მიერ დამტკიცებული განაკვეთების (სარგოების) და სანარდო ფასდების შესაბამისად.

კოოპერატივი უზრუნველყოფს, რომ დროულად მისცეს თავის წევრებსა და შრომითი შეთანხმებით მომუშავე პირებს კუთვნილი გასამრჯელო თვეში ერთხელ მაინც.

კოოპერატივის წევრთა და კოოპერატივში შრომითი შეთანხმებით მომუშავე პირთა წახალისება ხდება კოოპერატივის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

25. შრომის დისციპლინის, წესდების ან შინაგანაწესის დარღვევისათვის და მნაშავე პირებს კოოპერატივის საერთო კრებამ შეიძლება დაადოს სასჯელი.

სასჯელის დადებისა და მოხსნის წესი განისაზღვრება კოოპერატივის შინაგანაწესით.

კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა შეიძლება განახორციელოს კოოპერატივის საერთო კრებამ როგორც უკიდურესი ღონისძიება იმ პირთა მიმართ, რომელთაც დაუშვეს შრომის დისციპლინის, კოოპერატივის წესდების ან შინაგანაწესის უხეში ან სისტემატური დარღვევები.



26. კოოპერატივის წევრთა დაეა შრომის ანაზღაურების შესახებ შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურება არ არის დარიცხული, ანდა მთლიანად არ დარიცხა, ანდა არ გაიცა კოოპერატივში დაწესებულ ვადაში, მარჩენალის დასახიჩრებით, ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან გარდაცვალებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე დაეა კოოპერატივის წევრის მიერ კოოპერატივისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო წესით.

კოოპერატივის წევრთა სხვა დავას, რაც წარმოიქმნება კოოპერატივში მათ საქმიანობასთან დაკავშირებით, განიხილავს კოოპერატივის თავმჯდომარე, ხოლო თუ მიღწეული არ იქნება შეთანხმება, — საერთო კრება. საერთო კრების გადაწყვეტილება კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

VI. სოციალური უზრუნველყოფა

27. კოოპერატივის წევრები ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამისათვის კოოპერატივს შეაქვს შესაბამისი სახსრები სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში იმ ოდენობით, რაც დაწესებულია პურსაცხობი და საკონდიტრო საწარმოების მუშაკთათვის.

28. კოოპერატივი უნაზღაურებს მატერიალურ ზარალს იმათ, ვინც მისი მიზეზით დაზარალდა კოოპერატივის წევრის დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების ან გარდაცვალების გამო თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ახორციელებს უბედური შემთხვევის მიზეზების გამოძიებას შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ანალოგიური საკითხების გადაწყვეტას მუშა-მოსამსახურეთა მიმართ.

29. კოოპერატივის წევრთა სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას უზრუნველყოფს მართვის ორგანო, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომლებთანაც შექმნილია კოოპერატივები, იმ გზით, რომ აძლევენ მის წევრებს უფლებას ისარგებლონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებით, კლუბებით, საბავშვო ბაღებით, პიონერბანაკებითა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებით.

VII. კოოპერატივის მართვა

30. კოოპერატივის საქმეთა მართვა ხორციელდება ფართო დემოკრატიის, ყველა საკითხის გადაწყვეტაში კოოპერატივის წევრთა აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

კოოპერატივის საქმეებს მართავს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — მისი თავმჯდომარე.

კოოპერატივის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს რევიზორი, რომელიც აირჩევა ორ წლამდე ვადით.

31. კოოპერატივის წევრთა საერთო კრება კოოპერატივის უმაღლესი ორგანოა.

საერთო კრება: იღებს კოოპერატივის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი; ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს, რევიზორს; წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღებისა და კოოპერატივიდან წევრთა გარიცხვის საკითხებს; ამტკიცებს შინაგანაწესს; განიხილავს და ამტკიცებს კოოპერატივის გეგმებს; ამტკიცებს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, კოოპერატივის წევრთა და მიწვეულ მუშაკთა გამომუშავების ნორმებს, ფასდებებს, შრომის ანაზღაურების ოდენობას; განსაზღვრავს კოოპერატივის განვითარების ფონდში ანარიცხების ოდენობას; განიხილავს და ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ ხარჯებს, განსაზღვრავს ამ მიზნებისათვის გაწეული დანახარჯების დაფარვის წყაროებს; ისმენს კოოპერატივის თავმჯდომარისა და რევიზორის ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ; ამტკიცებს კოოპერატივის წლიურ ანგარიშს; აწესებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებულ ანარიცხების ოდენობას სადაზღვევო ფონდში; წყვეტს კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტის საკითხს.

32. კოოპერატივის წევრთა საერთო კრება მოიწვევა თვით კრების მიერ დაწესებულ ვადებში, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

წლიური ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად საერთო კრება მოიწვევა სამეურნეო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ კრებას ესწრება კოოპერატივის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

გადაწყვეტილებანი კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით და შეიტანება ოქმში.

საერთო კრების გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კოოპერატივის წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას, უნდა გააუქმოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა.

33. კოოპერატივის თავმჯდომარისა და რევიზორის არჩევნები ტარდება ღია კენჭისყრით.

34. კოოპერატივის თავმჯდომარეს ირჩევს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება ორ წლამდე ვადით.

კოოპერატივის თავმჯდომარე ახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას კოოპერატივის საქმიანობისადმი, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კოოპერატივის სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა დაწესებულებათა-ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, პასუხს აგებს კოოპერატივის საწარმო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

35. საერთო კრების მიერ არჩეული რევიზორი ხელმძღვანელობს კოოპერატივის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით. რევიზორი ანგარიშს აბარებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას.

რევიზორი კონტროლს უწევს კოოპერატივის წესდების, სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დაცვას, ხელშეკრულებათა და სამეურნეო ოპერაციათა კანონიერებას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ფულადი სახს-

რების შემოსვლასა და ხარჯვას, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების სისწორეს, კოოპერატივის თავმჯდომარისა და თანამდებობის მქონე მხარე მხარე კოოპერატივის წევრთა საჩივრებისა და განცხადებების დროულად და სწორად განხილვას, აგრეთვე კოოპერატივისა და მის წევრთა სხვა ინტერესების დაცვას.

რევიზორი ატარებს ყოველწლიურად კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ერთ რევიზიას მაინც, პერიოდულად ამოწმებს მის სამეურნეო საქმიანობას და გამოაქვს დასკვნა კოოპერატივის წლიური ანგარიშის გამო. რევიზიის აქტები უნდა დაამტკიცოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ.

რევიზორს უფლება აქვს: შეამოწმოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ფულადი სახსრების, შენობა-ნაგებობათა, ტრანსპორტისა და სხვა ქონების გამოყენების სისწორე და დაცვა; მოსთხოვოს შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები კოოპერატივის თანამდებობის პირებსა და წევრებს; შეიტანოს შემოწმებათა და რევიზიათა შედეგების მიხედვით წინადადებანი კოოპერატივის წევრთა საერთო კრების განსახილველად.

36. კოოპერატივი ნიშნავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თავის წევრთაგან ან იღებს სამუშაოდ შრომითი შეთანხმებით ბუღალტერს.

კოოპერატივის ბუღალტერი პასუხს აგებს და სარგებლობს იმ უფლებებით, რაც დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მთავარი ბუღალტრებისათვის.

კოოპერატივის ბუღალტერი ექვემდებარება უშუალოდ კოოპერატივის თავმჯდომარეს. საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის, ანგარიშგების შედგენისა და საფინანსო ორგანიზაციათა ჩატარების საკითხებში კოოპერატივის მუშაობას მეთოდიკურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს იმ მართვის ორგანოს, გაერთიანების, საწარმოს შესაბამისი სამსახურები, რომლებთანაც შექმნილია კოოპერატივები, ადგილობრივი საფინანსო ორგანოები.

37. კოოპერატივის თავმჯდომარე და რევიზორი, რომელთაც ვერ გააპართლეს კოოპერატივის წევრთა ნდობა, შეიძლება გაწვეულ იქნენ ვადამდე კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

38. კოოპერატივის საქმეთა მართვა, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე სხვა წესით, თვით კოოპერატივის შეხედულებისამებრ.

VIII. კოოპერატივის წესდების მიღება და რეგისტრაცია

39. ამ სანიმუშო წესდების საფუძველზე კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული წესდება ექვემდებარება რეგისტრაციას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში. შემდგომი ცვლილებანი და დამატებანი წესდებაში შეიტანება ასეთივე წესით.

კოოპერატივის რეგისტრირებული წესდება ინახება კოოპერატივში და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში.


 IX. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა
 ქართული
საქმიანობა

40. კოოპერატივის ლიკვიდაცია ხდება, თუ დაირღვა კანონმდებლობა და კოოპერატივის წესდება, კოოპერატივის წევრთა რიცხვი შემცირდა სამზე ნაკლებად, შეუძლებელია თავისი საქმიანობა განახორციელოს თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, აგრეთვე თუ ლიკვიდირებულია მართვის ორგანო, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომელთანაც იყო შექმნილი კოოპერატივი, თუ ორი თვის განმავლობაში არ განისაზღვრება მართვის ორგანო, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომელთანაც განახორციელებს იგი თავის საქმიანობას.

41. კოოპერატივის ლიკვიდაცია ხდება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

კოოპერატივის წევრთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატივის ლიკვიდაციის შესახებ, ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით კოოპერატივის ლიკვიდაციისას იგი ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას.

42. ლიკვიდირებული კოოპერატივის ვალის დადგენილი წესით გასტუმრების შემდეგ მისი დარჩენილი სახსრები ნაწილდება კოოპერატივის ყოფილ წევრთა შორის საერთო კრების მიერ დადგენილი წესით. უსასყიდლო სარგებლობაში ან კოოპერატივის მიერ იჯარით მიღებული შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა და სხვა ქონება უბრუნდებათ მათ მფლობელებს დადგენილი წესით.

43. კოოპერატივის მიზეზით მუშაკის დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების, ანდა გარდაცვალების გამო იმ დროებრივ გადასახდელებს, რომლებიც ლიკვიდირებულ კოოპერატივს უნდა გადაეხადა, გადაიხდის მართვის ორგანო, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომლებთანაც იყო შექმნილი კოოპერატივი.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 1051

1987 წლის 16 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

მიწების მელიორაციის საფუძაოთა დაგეგმვის სამეურნეო აპროსამო
რჩევალო კომიტეტების როლის გაძლიერების შესახებ

მიწების მელიორაციის დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისა და მელიორირებული სავარგულების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მოყოლებული 1988 წლის გეგმის პროექტიდან:

მიწების მელიორაციისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტებს, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლუატაციოდ გადაცემის, მათი კომპლექსური რეკონსტრუქციისა და აღდგენის, იმ მიწებზე, რომლებიც დაშრობას არ მოითხოვენ, კულტურტიქნიკურ სამუშაოთა განხორციელების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მაგისტრალური წყალსადენების, საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მოცულობებს, რომლებიც სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემისათვის სახელმწიფო შეკვეთაში შედის, მოკავშირე რესპუბლიკების ორგანიზაციებს განუსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები, ხოლო სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებს — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის დაწესებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში შემდგომ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის შეტყობინებით, რათა ასახონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესაბამის პროექტებში;

25 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოო დანიშნულების ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის სატიტულო სიებს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიხედვით (გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისა) ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წარდგენით (საკავშირო დაქვემდებარების მშენებლობებისათვის) და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტების წარდგენით (მოკავშირე რესპუბლიკე-



ბის მშენებლობებისათვის), ხოლო 25 მილიონ მანეთამდე სახარკეობის შემცირების მიზნით — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო (საკავშირო დაქვემდებარების მშენებლობებისათვის) და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები (მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობებისათვის), ანდა მათ მიერ დადგენილი წესით;

დასაგეგმი წლისათვის კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებსაც წარუდგენენ სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის დაწესებულებებს დადგენილი ფორმების მიხედვით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო (საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებისათვის) და მოკავშირე რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები (მოკავშირე რესპუბლიკების ორგანიზაციებისათვის), უნდა შეუთანხმდეს შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს.

2. კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის, სიმძლავრეთა ამოქმედებისა და მიწების მელიორაციის სატიტულო სიების დამტკიცების ფუნქციების განსახორციელებლად გადიდდეს სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა 20 ერთეულით, ზელფასის ფონდი — 5780 მანეთით (საშუალო თანამდებობრივი სარგოების მიხედვით) და პერსონალური დანამატების ფონდი მუშაკზე 13 მანეთის გაანგარიშებით, იმ ვარაუდით, რომ შესაბამისად შეუმცირდეს ეს მაჩვენებლები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორი თვის ვადაში უზრუნველყონ მოკავშირე რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოებისაგან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებისა და მათი ადგილობრივი ორგანოებისათვის მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის, მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტების, აგრეთვე პერსონალური დანამატების შესაბამისი ფონდის გადაცემა ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **5. რიშკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **8. სმირტიუკოვი**

64 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციებთან ერთად სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა მოქმედებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით უპირველესი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილებით გათვალისწინებული მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობები ფართო შესაძლებლობებს ქმნიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ინტენსიფიკაციისათვის, უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ დემოკრატიზაციას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას და ამის საფუძველზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ „სახალხო მეურნეობის დარგების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 11 ივნისის № 665 დადგენილების შესასრულებლად გადაიყვანოს 1988 წლის 1 იანვრიდან საქვეუწყებო სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი, საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები*) სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, უზრუნველყოს მათი საქმიანობის პირობები სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ზუსტი შესაბამისობით.

მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის უპირატესობათა სრული გამოყენებით უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანაზე, მნიშვნელოვნად აამაღლოს ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ხარისხი და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციათა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე განახორციელოს სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისათვის დადგენილი წესითა და პირობებით.

2. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოთა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ხორციელდება დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის პირობებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სა-

ქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამ სამინისტროს საწარმოებმა უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988-1990 წლების გეგმების შემუშავება ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლებიდან და ამ წლებისათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუგზავნოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ხოლო ამ სამინისტრომ — თავის საქვეუწყებო საწარმოებს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და გეგმათა ფორმირების საფუძვლად შემდეგი საწყისი მონაცემები:

— საკონტროლო ციფრები შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ტვირთის გადაზიდვის საერთო მოცულობა სახელმწიფო შეკვეთებისა და ადგილებზე ტვირთგამგზავნათა მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით (სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით);

მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის საერთო მოცულობა;

მოგება (შემოსავალი);

სავალუტო ამონაგები;

სატვირთო საავტომობილო პარკის გამოყენების ინტენსიფიკაციის მაჩვენებელი მისი განახლების გათვალისწინებით;

შრომის ნაყოფიერების ზრდა;

სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები.

სამრეწველო საქმიანობის ხაზით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო დაუგზავნის საწარმოებს სამრეწველო პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოების მოცულობის მონაცემებს ლირებულეებითი გამოხატულებით (გაანგარიშებით) ხელშეკრულებათა დასადაბად;

— სახელმწიფო შეკვეთები. სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობაში მტკიცდება:

ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის მოცულობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

უმნიშვნელოვანეს ტვირთგამგზავნათა მიხედვით ტვირთის გადაზიდვის, საექსპორტოდ და სხვა მომხმარებელთათვის სამრეწველო პროდუქციის მიწოდების მოცულობა — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საერთო მოცულობის გეგმებს შეიმუშავენ და ამტკიცებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები დამოუკიდებლად, სახელმწიფო შეკვეთებიდან, ტვირთის გადაზიდვისათვის დადებული ხელშეკრულებებიდან და ხელ-

* შემდგომ ეწოდება „საწარმოები“.

შეკრულებებით გათვალისწინებული ტვირთზიდვის განხორციელებისათვის საჭირო რეზერვიდან გამომდინარე;

— სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების საერთო-სატრანსპორტო დანიშნულების საწარმოთა განვითარებისა და ახალი მშენებლობისათვის, ქალაქებში მგზავრთა გადასაყვანად ავტობუსების შედგენისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის, ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მოძრავი შემადგენლობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნუსხის შესაბამისად (ეკონომიის გათვალისწინებით).

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ საქვეუწყებო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და მათი პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისას გაითვალისწინოს საბითუმო ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობა. საქართველოს სსრ სახელმწიფო სააგემო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ შეამცირონ ცენტრალიზებულად გასანაწილებელი ნაკეთობათა ნომენკლატურის მოცულობანი, ყოველწლიურად განსაზღვრონ სამინისტროსთან ერთად დარგის საბითუმო ვაჭრობის პირობებით სარეალიზაციო კონკრეტული სასაქონლო ჯგუფები (პროდუქციის სახეობანი).

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებს ზემდგომი ორგანოს ნებართვით შეუძლიათ გამოიყენონ სამეურნეო ანგარიშის ფორმები, რომელთაც საფუძვლად უდევს მოგების ან შემოსავლის ნორმატიული განაწილება.

დაუმტკიცდეთ საწარმოებს შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

საწარმოო ფონდების, შრომითი, ბუნებრივი რესურსების გადასახდელებისა; სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა;

სამინისტროს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდსა და რეზერვებში გაანგარიშებითი მოგების (შემოსავლის), აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ანარიცხებისა;

წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის შექმნისა; სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა;

მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და ხელფასის საერთო ფონდის შექმნისა საწარმოებისათვის, რომლებიც იყენებენ მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას;

სავალუტო ანარიცხების ფონდის შექმნისა;

ტვირთზიდვის შემოსავლის საერთო მოცულობის, პროდუქციის, სამუშაოთა მომსახურების რეალიზაციის მოცულობის 1 მანეთზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ზღვრული ღონისა (1988-1990 წლების პერიოდისათვის);

საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის თანაფარდობისა;

საწარმოებს, რომლებისთვისაც ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის მოცულობა გაანგარიშებითი ტარიფის მიხედვით მოცულობის გათვალისწინებით ტვირთშიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საერთო მოცულობის ნახევარზე მეტს შეადგენს, ნორმატიული თანაფარდობა არ უწყსდებათ.

ახალსამოქმედებელი საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა ხელფასის ფონდი (შრომის ანაზღაურების ფონდი), აგრეთვე აღნიშნული საწარმოებისა და ობიექტებისათვის მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდები განისაზღვრება საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადების თანახმად დაწესებული ნორმატივების მიხედვით და გათვალისწინებულ იქნება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ცალკე, სამინისტროს რეზერვების ხარჯზე.

5. მაჩვენებლები, ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები ტვირთის გადაზიდვასთან და მგზავრთა გადაყვანასთან დაუკავშირებელი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაიგზავნება მათი სამეურნეო საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

6. დაუმტკიცდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1988-1990 წლებისათვის ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივები, № 1 დანართის თანახმად, და საწარმოო ფონდების გადასახდელის, შრომითი რესურსების გადასახდელის, ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში, სოციალური განვითარების ფონდსა და მატერიალური წახალისების ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივები, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დაამტკიცოს და დაუგზავნოს ორი კვირის ვადაში ეკონომიკური ნორმატივები საქვეუწყებო საწარმოებს. 1988-1990 წლებისათვის ეკონომიკური ნორმატივების შემუშავებისას უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა, საწარმოებისა და მთლიანად სამინისტროს ხელფასის ფონდისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობის შესაბამისობა.

ეკონომიკური ნორმატივების, როგორც მეურნეობის გაძღოლის სამეურნეო ანგარიშიანი მექანიზმის საფუძვლის, დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოს მათი სტაბილურობა და დასაბუთებულობა, დაიცვას თანაბარდაძაბული მთხოვნები საწარმოების მიერ საწარმოო ფონდებისა და რესურსების გამოყენებისადმი.

7. გადაყვანილ იქნენ 1988 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე „სამეცნიერო ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის

№ 1192 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ყველა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორული და საკონსტრუქტო-ტექნოლოგიური ორგანიზაცია, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ამ ორგანიზაციების განვითარება და მათი მუშაობა შრომის ანაზღაურება პირდაპირ არის დამოკიდებული ეფექტიან საქმიანობაზე, ნამუშევართა ხარისხსა და ტექნოლოგიური დონის ამაღლებაზე, აგრეთვე წარმოებაში მათ გამოყენებაზე.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ბაზაზე ძირეულად გარდაქმნას დარგის სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტო და საკონსტრუქტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა საქმიანობა, მიზნად დაუსახოს მათ გამოკვლევათა და ნამუშევართა მაღალი დონის მიღწევა, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა, რომლებიც სრულყოფენ ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციას, აგრეთვე აფართოებენ გამოსაშვები პროდუქციის განახლების მასშტაბებს.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ განხორციელოს საქვეუწყებო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსი. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დარგში კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას დაგეგმილ-ხარალიანი საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, იმ ვარაუდით, რომ 1990 წელს პრაქტიკულად აღმოფხვრას ტვირთის გადაზიდვის ხარალიანობა.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და საქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის განვითარებისათვის საწარმოთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით გამოიყენოს ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის საანგარიშსწორებო ტარიფი, რაც უზრუნველყოფს ამ საწარმოთა დაგეგმილი დანახარების ანაზღაურებას და საჭირო მოგების მიღებას.

მოქმედი და საანგარიშსწორებო ტარიფების სხვაობა ანაზღაურდება სამინისტროს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდიდან.

10. დაწესდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა მიერ მოგების (შემოსავლის) განაწილების შემდეგი რიგითობა: საწარმოო ფონდების, შრომითი, ბუნებრივი რესურსების გადასახდელი; ბანკის მოკლევადიანი კრედიტისათვის პროცენტების გადახდა; ანარიცხები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში; ანარიცხები სამინისტროს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების შესაქმნელად.

ზემოაღნიშნული გადასახდევებისა და ანარიცხების შეტანის შემდეგ საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგება (შემოსავალი) წარიმართება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით:

წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში
 სოციალური განვითარების ფონდში;

მატერიალური წახალისების ფონდში (საწარმოებში, რომლებიც იყენებენ მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას).

საწარმოებში, რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი ფორმირდება როგორც კოლექტივის სამეურნეო-ანგარიშობის შემოსავლის ნაშთი მისივე წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის და სოციალური განვითარების ფონდის შექმნის შემდეგ.

11. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა საქმიანობის შეფასებისა და მათი შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მიერ სახელმწიფო შეკვეთებისა და დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით ვალდებულებების შესრულება.

საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდში მოგების ანარიცხების ოდენობა იზრდება (მცირდება) იმის მიხედვით, თუ სრულდება:

ტვირთის გადაზიდვის მოცულობა ტვირთგამგზავნი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად 100 პროცენტით, სახელმწიფო შეკვეთებისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული ტვირთ-ზიდვის საერთო მოცულობის გვერის შესრულების კვალობაზე, მატერიალური წახალისების ფონდი იზრდება 15 პროცენტით, ხოლო ტვირთგამგზავნი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად ტვირთის გადაზიდვის მოცულობის შეუსრულებლობისას მცირდება 3 პროცენტით შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში;

ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის მოცულობის სახელმწიფო შეკვეთა და საწარმოს მიერ დამტკიცებული მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის საერთო მოცულობა, სამარშრუტო განრიგების შესაბამისად დაგეგმილი ავტობუსის რეისების შესრულების კვალობაზე, მატერიალური წახალისების ფონდი იზრდება 15 პროცენტით, ხოლო მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის საერთო მოცულობის შეუსრულებლობისას მცირდება 3 პროცენტით შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში.

საწარმოებში, რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, 100 პროცენტით ხელშეკრულებათა და მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის შესრულებისას შრომის ანაზღაურების ფონდი იზრდება 1,5 პროცენტით, ხოლო შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში მცირდება 0,3 პროცენტით.

სამრეწველო საწარმოებში 100 პროცენტით პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მიწოდების ვალდებულებათა შესრულებისას მატერიალური წახალისების ფონდი იზრდება 15 პროცენტით, ხოლო შეუსრულებლობისას მცირდება 3 პროცენტით შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში.

საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას, მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) ოდენობა იზრდება (მცირდება) ცალ-ცალკე, შესასრულებელ სამუშაოთა თითოეული სახეობის მიხედვით. ამასთან მატერიალური წახალისების ფონდის საერთო გადიდება არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდისა — 1,5 პროცენტს.

მატერიალური წახალისების ფონდი (შრომის ანაზღაურების ფონდი) იზრდება საწარმოს სამეურნეო-ანგარიშიანი შემოსავლის ან სამინისტროს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების ხარჯზე.

12. შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდი, აგრეთვე რეზერვები საწარმოების მიერ მოგების (შემოსავლის) და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ანარჩებების ხარჯზე სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

ზემოაღნიშნული ფონდისა და რეზერვების სახსრები ხმარდება საერთო-დარგობრივი ხასიათის კონკრეტულ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ბანკის სესხების დაფარვას და მათი პროცენტების გადახდას, მოძრავი შემადგენლობისა და მოწყობილობის შექმნის ხარჯების დაფინანსებას, ზარალის ანაზღაურებას და დაგეგმილ-ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ საწარმოთა სხვა დანახარჯების დაფინანსებას გეგმებით დაწესებული ლიტაციაების მიტების მიხედვით, აგრეთვე ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის მოქმედ და საანგარიშსწორებო ტარიფებს შორის სხვაობის ანაზღაურებას, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევას და სხვა მიზნებს*).

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა მუშაობის თავისებურების, ძირითადი ფონდების რემონტის განსახორციელებლად სახსრების კონცენტრაციის აუცილებლობის გათვალისწინებით შეიქმნას სამინისტროში სარემონტო სამუშაოთა ცენტრალიზებული ფონდი დაწესებული ნორმატივების მიხედვით რემონტისათვის გათვალისწინებული საწარმოთა სახსრების ნაწილის ვადარიცხვის ხარჯზე.

14. გათვალისწინებულ იქნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები დაარღვევენ ხუთწლედის წლების მიხედვით დაწესებულ ნორმატიულ თანაფარდობას საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის, მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) შესაბამისი

*) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მატერიალური წახალისების მოქმედი წესი და ოდენობა შენარჩუნებულია.

ნაწილი რჩება რეზერვში იმისათვის, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ნაკრძალში
 ლი თანაფარდობის მიღწევისას, ან გადაირიცხება სოციალური გზისათვის
 ფონდში კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

15. დაწესდეს, რომ სასწრაფო, წვრილპარტიობრივი ტვირთების გადაზიდ-
 ვის, კომპლექსური სატრანსპორტო მომსახურების, მოსახლეობის მაღალხარის-
 ხოვნად მომსახურების ახალ სახეობათა სახელშეკრულებო ტარიფების გამო-
 ყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის
 სამინისტრო საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხ-
 მებით.

16. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ორ-
 განიზაცია გაუწიოს მეურნეობის გაძღოლის ახალ ფორმებზე საქვეუწყებო
 საწარმოთა გადაყვანისათვის მუშაობას გაშლილი პროგრამების შესაბამისად,
 შექმნას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანო-
 ნის გამოყენებისათვის საპირო პირობები.

ამ მიზნით:

უზრუნველყოს ახალ პირობებში სამუშაოდ საწარმოთა მზადყოფნა მათ-
 თვის დასავსეანი მაჩვენებლების, ნორმატივებისა და ლიმიტების ურთიერთ-
 დაკავშირება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს შინააწარმოო სამეურ-
 ნეო ანგარიშის განვითარებასა და გაღრმავებას;

კონტროლი გაუწიოს საწარმოთა მომზადებას სრული სამეურნეო ანგარი-
 შისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ, განუწყვეტლივ აღმოუჩი-
 ნოს მათ ყოველმხრივი დახმარება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

უზრუნველყოს კადრების ეკონომიკური მომზადება და ამ მუშაობაში
 დარგის საწარმოთა შრომითი კოლექტივებისა და სპეციალისტების აქტიური
 მონაწილეობა, ფართოდ გამოიყენოს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვით-
 დაფინანსების პირობებში მომუშავე საწარმოთა მოწინავე გამოცდილება.

პერსონალური პასუხისმგებლობა საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგა-
 რიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად მომზადებისა და გადასვლისა-
 თვის დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხიშიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ხ. რიგვაპა**

65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 დეკემბრის № 627 დადგენილების მე-2 პუნქტის ქალაქის კალაძის რაიონის ჩათვლის შესახებ

„დიზაინის შემდგომი განვითარების და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და საცხოვრებელი, საწარმოო და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების სრულყოფისათვის მისი გამოყენების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 ნოემბრის № 1248 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 დეკემბრის № 627 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ტექნიკური ესთეტიკის მიღწევების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩირაქიანი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვაპა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 25 დეკემბერი, № 625

66 „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა საბითუმლო სივრცის დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილებას შემდეგი შინაარსის პუნქტები:

1. კინოთეატრების, სპორტული ნაგებობების, კულტურის სახლებისა და კლუბების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების, ადმინისტრაციული შენობების 2 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სივრცე (გარდა ზემოაღნიშნული ობიექტებისა, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალოდ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალურ საბჭოს, აგრეთვე ადმინისტრაციული შენობებისა სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის) დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ

კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — საქართველოს სსრ-ს მინისტრთა საბჭო.

2. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს და 4 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობის დაზუსტებულ მონაცემებს, ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტების გარდა, დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავეისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. პანიშვიძე**



67 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ს. ჩიქობავას ხსოვნის უკვდავოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას ხსოვნის უკვდავოების შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს ა. ს. ჩიქობავას სახელი:

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს;

— ცხაკაიას რაიონის სოფელ ძეგლი სენაკის საშუალო სკოლას;

— ქალაქ ცხაკაიას ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაარსდეს:

— ა. ს. ჩიქობავას სახელობის ერთი პრემია 2 ათასი მანეთის ოდენობით, რომელიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ნამუშევრებისათვის ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დარგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდის ხარჯზე;

— ა. ს. ჩიქობავას სახელობის ერთი სტიპენდია ასპირანტებისათვის ენათმეცნიერების დარგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე;

— ა. ს. ჩიქობავას სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური და ქართველური ენების განყოფილების ფრიადოსანი სტუდენტებისათვის (ქართული და რუსული სექტორიში) უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა:

— გამოსცეს 1988-1997 წლებში ა. ს. ჩიქობავას შრომების შეესებული ბიბლიოგრაფიული ცნობარი და მრავალტომიანი კრებული;

— აავსოს ა. ს. ჩიქობავას საფლავზე განსვენებულის ძეგლი.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ა. ს. ჩიქობავას სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფები სახლს ქალაქ თბილისის ი. ჭავჭავაძის პროსპექტის № 19-ში და სახლს ოქროყანაში, სადაც ცხოვრობდა ა. ს. ჩიქობავა.

5. ა. ს. ჩიქობავას ანდერძის შესაბამისად:

— გადაეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს განსვენებულის კუთვნილი აგარაკი ოქროყანაში (ქ. თბილისი) შემოქმედებითი სახლის მოსაწყობად;

— მოეწეოს ა. ს. ჩიქობავას ბინაში ი. ჰავჭავაძის პროსპექტის № 19 სახელ-
ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის
იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების კაბინეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩიკაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 31 დეკემბერი, № 643

68 საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საქ-
მიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შე-
სახება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქვეყანაში სტა-
ტისტიკის საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტე-
ტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ შემუშავებულ მიმართულებათა რეა-
ლიზაციამ სრულად უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის, მისი დარგე-
ბისა და რეგიონებისადმი ხელმძღვანელობის ყველა დონის მოთხოვნილებანი
საიმედო, ღრმად ანალიზურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე.

სტატისტიკა მეურნეობის გაძლიერის უპირატესად ეკონომიკურ მეოთხეებზე
გადასვლის, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა
ფართო გადაყვანის პირობებში უნდა გახდეს ეკონომიკის გეგმიანი მართვის
ქმედითი ინსტრუმენტი, უზრუნველყოს მოსახლეობის ყველა ფენის სწორი ინ-
ფორმირება საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
შესახებ, ხელი შეუწყოს დემოკრატიის განმტკიცებასა და სახელმწიფოს საქ-
მეთა მართვაში მშრომელთა ჩაბმას.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, როგორც რეს-
პუბლიკის მთავარი სააღრიცხვო-სტატისტიკური ცენტრი, ხელმძღვანელობს რა
სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987
წლის 17 ივლისის № 822 დადგენილებით, საქართველოს კპ ცენტრალური კო-
მიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 8 სექტემბრის
№ 482 დადგენილებით, პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებებით
ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ, სათავეში უნდა ჩაუდგეს
ამ მუშაობას, მიზანდასახული ხასიათი მისცეს მას, მიაღწიოს სტატისტიკის
ორგანოთა საქმიანობის, რესპუბლიკაში სტატისტიკის საქმის მოვლი ორგანი-
ზაციის რეალურ გაუმჯობესებას.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა პრაქტიკულად განახორციელოს 1987-1988 წლებში სტატისტიკის ორგანოთა საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის ღონისძიებათა კომპლექსი, ამასთან მიზნად დაუსახოს მათ ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა, ანგარიშგების მოწესრიგება და მისი უტყუარობის უზრუნველყოფა, სტატისტიკის საჯაროობის გაფართოება და სახალხო მულტნობისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში სტატისტიკის ორგანოთა როლის გაძლიერება.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა ძირითადად მოსმარდეს თავიდან ბოლომდე ეფექტიანი სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის შექმნას ერთიანი მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე, მოეწყოს რესპუბლიკურ, დარგობრივ და რეგიონალურ დონეებზე ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის მოთხოვნილებების საიმედო ხარისხობრივი საინფორმაციო უზრუნველყოფა.

გაგრძელდეს სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო ანგარიშგების შემდგომი ცენტრალიზაცია, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ამ მუშაობას თან უნდა ახლდეს ანგარიშგების მოწესრიგება, საინფორმაციო ნაკადების მოცულობის, დოკუმენტბრუნვის შემცირება და ყველა სტატისტიკური მასალის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა დაუცხრომლად იმუშაოს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების, ოპერატიული დამუშავებისა და წარდგენისათვის, სრულად გამოიყენოს ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტები თვალისახვევის, წამატებების წინააღმდეგ ბრძოლაში, გააძლიეროს ამ საქმიანობის კოორდინაცია ეკონომიკურ, მაკონტროლებელ და სამართალდამცველ ორგანოებთან.

2. გაფართოვდეს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის უფლებამოსილებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის დარგში, ამასთან უფლება მიეცეს მას:

— გააკონტროლოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სტატისტიკის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულება;

— შეამოწმოს სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის და მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის მუშაობის მდგომარეობა, მოისმინოს მათი ანგარიშები ამ საკითხებზე და მისცეს შესრულებისათვის სავალდებულო მითითებანი გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

გაძლიერდეს მისი ურთიერთმოქმედება სხვა რესპუბლიკურ ეკონომიკურ ორგანოებთან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და რეგიონალური პრობლემების გადაჭრის მიზნით ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

3. ამალღდეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკის სამმართველოთა, სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალური და რაიონულ ორგანოთა როლი შესაბამისი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, ამასთან გამლიერდეს მათი ურთიერთმოქმედება ტერიტორიული მართვის სხვა ორგანოებთან. დაეკისროთ ამ სტატისტიკურ ორგანოებს სტატისტიკისა და აღრიცხვის საქმისადმი უშუალო ხელმძღვანელობა, აღრიცხვის, ანგარიშგების მდგომარეობისა და მისი უტყუარობის შემოწმებათა კოორდინაცია შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

დამთავრდეს 1988 წლის პირველ კვარტალში სტატისტიკის ორგანოებთან სახელმწიფო სტატისტიკის საზოგადოებრივ ინსპექტორთა საბჭოების შექმნა, ამასთან ფართოდ იქნენ ისინი გამოყენებული სტატისტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად, აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფისათვის მუშაობაში.

4. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 1988 წლი 1 თებერვლამდე გადასინჯოს და ხელახლა დამტკიცოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, ამასთან მთლიანად შეუსაბამოს ისინი სსრ კავშირის კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და ახალი სამეურნეო მექანიზმის ძირითად დებულებებს, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საწარმო ადგენს ანგარიშგებას, ხელმძღვანელობს რა სახელმწიფო ანგარიშგების ფორმების ტაბელით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი ან საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი შესაბამის სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით. ამ ტაბელით გაუთვალისწინებელი ანგარიშგება ითვლება უკანონოდ, რომლის მოთხოვნა და წარდგენა აკრძალულია. დაბეჭდვით და თანამიმდევრულად წარმართოს საქმე იქეთკენ, რომ საწარმოს მიერ ერთგვის წარდგენილი ანგარიშგება შემდგომ გამოყენებულ იქნეს სტატისტიკურ ორგანოებში მართვისა და კვლევის სხვადასხვა საჭიროებისათვის.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე არსებული საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის რიცხოვნობას შეამცირებს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.

6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

განისაზღვროს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობა 11 კაცის რაოდენობით, მათ შორის ამ კომიტეტის თავმჯდომარის ერთი პირველი მოადგილე და თავმჯდომარის ოთხი მოადგილე.

ამალღდეს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა როლი და მათი პერსონალური პასუხისმგებლობა სტატისტიკური მუშაობის ეფექტიანი განვითარების უზ-

რუნველსაყოფად. დაწესდეს, რომ კომიტეტის სამ წამყვან ქვედანაყოფს — სათავისუფლო უფლებების დაცვის განყოფილებაში მოადგილეები.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ შემდგომი ორგანოების დადგენილებით:

— სტატისტიკის საოლქო (სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების) სამმართველოთა და მათ შემადგენლობაში შემავალ სტატისტიკის საქალაქო, რაიონულ განყოფილებათა საქმიანობა წარიმართება სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მიხედვით;

— დაწესდა, რომ სტატისტიკის ზემოაღნიშნული ორგანოები აფორმირებენ სტატისტიკურ და ანალიზურ სამუშაოთა გეგმებს შემკვეთებთან სახელმწიფო ხელშეკრულებათა საფუძველზე და რომ სტატისტიკის ორგანოების მიერ ყოველგვარი სამუშაოების (მომსახურების) შესრულებით მიღებული მოგება (შემოსავალი) არის მათი საწარმოო და სოციალური განვითარების, აგრეთვე მატერიალური სტიმულირების მთავარი წყარო;

— სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს უფლება მიეცა დააწესოს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით იმ სამუშაოთა და მომსახურების ტარიფები, რომელთაც ახორციელებენ სამეურნეო ანგარიშიანი სტატისტიკური ორგანოები;

— მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიას და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს დაევალებათ განსაზღვრონ ზემოაღნიშნულ ორგანოთა მეურნეობის გაძღოლის პირობები;

— სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს დაევალებათ დაამტკიცონ სამეურნეო ანგარიშიანი სტატისტიკურ ორგანოთა შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების პირობები სკვპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პირობების მიხედვით;

— სტატისტიკის რესპუბლიკური კომიტეტების, საოლქო (სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების) სამმართველოთა, საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ დაამტკიცონ შესაბამის ორგანიზაციათა საშტატო განრიგები შემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობისა და დაწესებული ნორმების გაუთვალისწინებლად და დაუწესონ მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად;

— 1988 წლის 1 იანვრიდან სტატისტიკის საოლქო (სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების) სამმართველოების, საქალაქო და რაიონული განყოფილებებისათვის გაუქმდა მმართველობის აპარატის მუშაკთა საერთო რიცხოვნობისა და მათი შენახვის ზღვრულ ასივნებათა საერთო ოდენობის ლიმიტი-

რება, აგრეთვე კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისი დაწესებულებების შტატების რეგისტრაცია საფინანსო ორგანოებში;

— კომიტეტის სტრუქტურის სრულყოფისათვის განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით განთავისუფლებულ მუშაკებს უნარჩუნდებათ თანამდებობრივი სარგოები, რომელთაც იღებენ ისინი წინანდელ სამუშაო ადგილზე, შრომითი მოწყობის პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ამ მუშაკებს უნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ მუშაობის წყვეტილობა არ აღემატება სამ თვეს;

— სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილ იქნებიან სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით ამ კომიტეტის ცენტრალურ აპარატში ან სტატისტიკურ ორგანოებში ხელმძღვანელთა სხვა თანამდებობებზე ნაკლები ხელფასით, მიეცემათ თანამდებობრივი სარგოების სხვაობა; სტატისტიკის ორგანოთა ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ ახალ თანამდებობაზე ამ მუშაკთა ატესტაციის შედეგების მიხედვით შეამცირონ ან გააუქმონ ხელფასის სხვაობის გაცემა საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით;

— ქვეყანაში სოციალურ პროცესთა სტატისტიკური შესწავლის გაღრმავების მიზნით გადიდება სტატისტიკური ორგანოების მიერ მუდმივად გამოკვლეული ოჯახების ქსელი 90 ათასამდე, დაწესდა საოჯახო ბიუჯეტების ჩანაწერების წარმოების სამუშაოთა ანაზღაურება კვარტალში 6 მანეთის ოდენობით ერთ ოჯახზე;

— მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტების ცენტრალური აპარატის მუშაკებზე გავრცელდა შრომის ანაზღაურების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების ის პირობები, რაც დაწესებულია რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტების შესაბამის მუშაკთათვის;

— ანალიზური და საინფორმაციო-პრობანდისტული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტებს ნება დაერთოთ შექმნან სამეურნეო-ანგარიშიანი საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრები სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

8. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შემდეგ არი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ



კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული პროექტი
 დებულებისა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის შე-
 სახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **მ. ჩარაქუცია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ს. რიჟვაძე**

ქ. თბილისი, 1987 წ. 31 დეკემბერი, № 644



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 31 დეკემბრის № 3131-3132
გენილების დანართი

ს ტ რ უ მ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური
აპარატისა

კრებშითი სტატისტიკის სამმართველო
სტატისტიკის ორგანიზაციის სრულყოფის სამმართველო
სახალხო მეურნეობის ბალანსის სამმართველო
სოციალური სტატისტიკის სამმართველო
მოსახლეობის სტატისტიკის სამმართველო
მრეწველობის სტატისტიკის სამმართველო
აგროსამრეწველო კომპლექსის სტატისტიკის სამმართველო
კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკის სამმართველო
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტატისტიკის განყოფილება
მატერიალური რესურსების სტატისტიკის სამმართველო
შრომის სტატისტიკის განყოფილება
ფინანსებისა და ფასების სტატისტიკის განყოფილება
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სტატისტიკის განყოფილება
ვაჭრობისა და მომსახურების სტატისტიკის განყოფილება
კადრებისა და სასწავლებელთა განყოფილება
სამეურნეო სამმართველო
საქმეთა მმართველობა
საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან მოქმედებენ:
მთავარი გამოთვლითი ცენტრი
სასწავლო კომბინატი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ს. რიზვაზა**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6, 1987 წელი

ბავშვების: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-88 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.